პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

[illegible]

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რ ე დ ა ქ ც ი ა
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8 81

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის – 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებული, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

- სარეპარაციო კონფერენცია მოწვეული იქნება 6 აგვისტოს ჰააგაში.
- ლოიდ ჯორჯი იუნგის გეგმის შესახებ.
- საფრანგეთში გრძელდება კომუნისტების დაპატიმრება.
- მექსტონის გამოსვლა ანტი-იმპერიალისტურ ლიგის კონგრესზე.
- „საბჭოთა ფრთები“ ლონდონში გადასაფრენად ემზადება.
- მოსკოვში ჩამოვიდა გერმანელ პიონერთა დელეგაცია.
- აზერბეიჯანის პროფკავშირების გამოკვლევის შედეგები.

სამშაბათი, 30 ივლისი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 172 (2518)

დღეს, ივლისის 30-ს მთავრობის სასახლეში
შესდგება
საქ. სახალხო კომისართა საბჭოს მორიგი სხდომა
დასაწყისი საღამოს 7 საათზე.
საქართველოს სსრ. სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს საქმეთა მმართველის მაგიერ
გ. ფალავა.

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა აგვისტოსათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81.

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ხელის მოწერა, როგორც მოსალოდნელი იყო, მასიურ ხასიათს ღებულობს. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ შინაურ სესხის იდეას ქალაქისა და სოფლის მასებში ღრმა ფესვები აქვს. საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ მუშა-მოსამსახურენი ერთხმად ადგენენ მოაწერონ ხელი ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე. კოლექტიურად ხელის მოწერამ ბევრ შემთხვევაში დაასწრო მთავრობის დადგენილებას ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის გამოშვების შესახებ. მშრომელი მასები უაღრესად დაინტერესებული არიან სოციალისტური მეურნეობის წარმატებით. უმთავრესად ამით აიხსნება, რომ დღემდე გამოცემული ყველა შინაური სესხი ფართოდ გავრცელდა. მაგრამ ამასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ჩვენი შინაური სესხი მეტად ხელსაყრელია არა მარტო სახელმწიფოსათვის, არამედ თვით სესხზე ხელის მომწერთათვისაც. მოგებათა სიმრავლე, მოგებებზე გადადებულ თანხის სიდიდე, გათამაშებაში მასების აქტიური მონაწილეობა და სხვ. დიდათ უწყობს ხელს მშრომელთა ფართო ფენების უცხოველეს მონაწილეობას შინაური სესხის წარმატებით ჩატარებაში.

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი ამ მხრივ განსაკუთრებით იპყრობს ყურადღებას. როგორც უკვე ცნობილია, აღნიშნული სესხი გამოშვებულია ათი წლის ვადით და 750 მილიონი მანეთის რაოდენობით. სესხი იქნება ორი სახის: პროცენტიან-მომგებიანი—250 მილიონ მანეთის რაოდენობით და უპროცენტო-მომგებიანი—500 მილიონ მანეთის რაოდენობით. პირველი სახის ობლიგაციებს შეხვდება 84.512.000 მანეთი მოგება, რომელთა რიცხვი 405.800 უდრის. ამრიგად სესხის ამ სახის ობლიგაციებიდან ყოველ 12 ობლიგაციას შეხვდება ერთი მოგება. ასეთივე ხელსაყრელი პირობებია დაწესებული უპროცენტო მომგებიან ობლიგაციების შემძენთათვისაც. სესხის ამ კატეგორიის ობლიგაციებზე გადადებულია 380.096.000 მანეთი მოგება, რომელნიც შეხვდება 1.861.200 ობლიგაციას. საშუალოდ ყოველ ხუთ უპროცენტო მომგებიან ობლიგაციას 1 მოგება ხვდება. მოგებების რაოდენობა დაწესებულია 200 მან., 1.000 მან. და 5.000 მანეთის რაოდენობით. ამრიგად 750 მილიონ მანეთიდან მთავრობა მოგებაზე გამოჰყოფს 464 მილიონ მანეთზე მეტს. ამასთანავე მოგების შანსებიც ერთობ დიდია.

ყოველივე ეს უთუოდ მეტად შეუწყობს ხელს ინდუსტრიალიზაციის სესხის ფართოდ გავრცელებას. მაგრამ ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია რამდენადმე მაინც შევანელოთ სესხის იდეის პოპულიარიზაციისა და ობლიგაციების მასიურად გავრცელებისათვის წარმოებული მუშაობა. პირიქით, მუშაობა ამ მიმართულებით კიდევ უფრო უნდა გავაცხოველოთ, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ის საკმაოდ დიდი გამოცდილება, რომელიც ჩვენ მივიღეთ წინანდელ შინაურ სესხების გავრცელების დროს. ინდუსტრიალიზაციის პირველი და მეორე სესხის ერთ-ერთ მთავარ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ აღნიშნულ სესხთა ობლიგაციები სათანადო რაოდენობით არ იქნა გავრცელებული სოფლად. ჩვენ უმეტეს შემთხვევაში ვკმაყოფილდებით მუშა-მოსამსახურეთა მასების აქტიური გამოხმაურებით ამ სესხზე, რის გამოც ინდუსტრიალიზაციის პირველი და მეორე სესხი დიდი წარმატებით გავრცელდა ქალაქებში, სოფლად კი არ იქნა გამოყენებული სავსებით ის დიდი შესაძლებლობანი, რომელნიც ამ შემთხვევაში იქ უსათუოდ არსებობდნენ. ეს ნაკლი აქედანვე უნდა იქნას გათვალისწინებული. საჭიროა მუშაობის გაძლიერება იმისათვის, რომ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის ობლიგაციები ღრმად შეიჭრას გლეხთა ფართო მასებში. ამ მხრივ განსაკუთრებული ფხიანობა უნდა გამოიჩინონ სოფლად მომუშავე ყველა სახის დაწესებულება-ორგანიზაციებმა.

ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება, რომელიც წინ ეღობება სესხის ობლიგაციების ფართოდ გავრცელებას, ეს არის ის, რომ მშრომელ მასების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის გაცნობილი ჩვენი შინაური სესხის მიზნებს და, რაც მთავარია, სესხზე ხელის მოწერის პირობებს. მშრომელი მასების ამ ნაწილისათვის ხშირად სრულიად გაურკვეველია ის სარგებლობა, რომელიც მოაქვს სესხს სახელმწიფოსა და თვით ობლიგაციის შემძენისათვის. განსაკუთრებით ცუდია მდგომარეობა ამ მხრივ სოფლად. ყოველი ზომები უნდა იქნას მიღებული იმისათვის, რომ მშრომელ მოსახლეობას ფართოდ განემარტოს ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის მნიშვნელობა და სესხზე ხელის მოწერის პირობები.

მთავარი, რაც უნდა გვახსოვდეს სესხზე ხელის მოწერის კამპანიის წარმოების დროს, ეს არის ის, რომ სასტიკად უნდა განიდევნოს ამ კამპანიიდან ყოველგვარი ადმინისტრატიულ ძალდატანების ცდა. ნებაყოფლობითი პრინციპი რაც შეიძლება მტკიცედ უნდა იქნას დაცული. ის, ვინც შეეცდება უხეში ზეგავლენით ჩაატაროს სესხზე ხელის მოწერა, დათვურ სამსახურს გაუწევს საქმეს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შინაური სესხის გავრცელებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე, როგორც ისეთ კამპანიას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მასების პოლიტიკურ და კულტურულ თვითშეგნების განვითარებას. ამიტომ საავიტაციო-საპროპაგანდო მუშაობამ და სათანადო საზოგადოებრივ განწყობილების შექმნამ სესხის გავრცელების საქმეში პირველხარისხოვანი ადგილი უნდა დაიკავოს.

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ხელის მოწერისათვის მუშაობის გაცხოველებასთან ერთად, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების გაყიდვისა და დაგირავების წინააღმდეგ ღონისძიებათა მიღების აუცილებლობა. აქ გარდა იდეურ, ამხანაგურ ზეგავლენისა, საჭიროა მეტი უნარი გამოიჩინონ პროფკავშირის ადგილობრივ ორგანიზაციათა ურთიერთ დამხმარე სალაროებმა და კოოპერატივებმა. (ცხადია, ობლიგაციების გაყიდვა ან დაგირავება ხშირად იმის შედეგია, რომ სეზონურ ან სხვა მოულოდნელ შემთხვევის გამო ირღვევა მუშა-მოსამსახურის ნორმალური ბიუჯეტი. ურთიერთ დამხმარე სალაროებმა ფულით და კოოპერატივებმა საქონლის ფართო კრედიტით ხელი უნდა მოუმართონ მათ, ვინც რაიმე პატივსადებ მიზეზით იძულებულია ობლიგაციის გაყიდვას ან დაგირავებას მიმართოს.

მხოლოდ ასეთი საშუალებით და მასების თვითშეგნების ამაღლებით შევძლებთ ჩვენ იმ დიდი მიღწევების განმტკიცებას, რომელნიც გვაქვს შინაურ სესხების რეალიზაციის დარგში, რაიც კიდევ უფრო გაამაგრებს სოციალისტურ მშენებლობის პოზიციებს.

საფრანგეთის მთავრობის გადადგომა

პუანკარეს მთავრობა, რომელიც გადადგა, უწინარეს ყოვლისა გამოხატავდა მსხვილი კაპიტალის უფრო კონსერვატიული ჯგუფების ინტერესებს. მის წინაშე დასმული ძირითადი ამოცანა იყო სტაბილიზაცია საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობისა, რომელიც მთლად დაარღვია ომმა და ომის შემდგომმა ნგრევამ. ამავე დროს ეს მთავრობა ეყრდნობოდა იმ ეგრედ წოდებული „მემარცხენე“ პარტიების (რადიკალები, რადიკალ-სოციალისტები და სხვ.) დახმარებას, რომელნიც გამოხატავდნენ წვრილი ბურჟუაზიისა და მსუბუქ მრეწველობაში დაბანდებული კაპიტალების ინტერესებს. ეს „მემარცხენე“ ჯგუფები მორჩილად გაჰყვნენ პუანკარეს, რომლის წინააღმდეგაც წინად ვითომ დიდ ბრძოლას აწარმოებდნენ.

ამრიგად, პუანკარეს მთავრობამ ძველი „ნაციონალური მთლიანობის“ პარტიებისა და დაშლილი „მემარცხენე“ ბლოკის უდიდესი ნაწილისაგან შექმნა საკმაოდ მტკიცე უმრავლესობა თავის სასარგებლოდ. ფართო მშრომელი მასების ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მთელი რიგი ზომების წყალობით პუანკარემ რამდენადმე გადაჭრა ის ამოცანა, რომელიც დაუსახა მას მსხვილმა საბანკო კაპიტალმა და მოახდინა ფრანკის სტაბილიზაცია. ამ პროცესს მოჰყვა სიძვირის ზრდა, გადასახადების ტვირთის გადიდება და მთელი რიგი სხვა ზომები, რომლებმაც არამარტო მუშათა კლასის ინტერესებს მიაყენეს მწვავე ზიანი, არამედ შეეხნენ წვრილი ბურჟუაზიის თვალსაჩინო ფენებსაც. პუანკარეს პოლიტიკა ხელს უწყობდა იმ ფენების ჩამოცილებას, რომელნიც „მემარცხენე“

ფებს მისდევდნენ. ეს მთავრობა, რომელიც თანდათან ჰკარგავდა დასაყრდენს თავის ქვეყანაში, თანდათან ამხედრებდა თავის წინააღმდეგ საფრანგეთის მშრომელთა მასებს, ამ ბოლო დროს შეეცადა განმტკიცებას იმით, რომ შეუტია პროლეტარულ ორგანიზაციებსა და პარტიების არაჩვეულებრივად გააფთრებულ დევნას საფრანგეთში. მაგრამ ამან ვერ უშველა. ინგლისის და ამერიკის ვალების შესახებ შეთანხმებათა რატიფიკაციის საკითხი გადაიქცა იმ საკითხად, რომელმაც გამოიწვია ამ მთავრობის დამხობა. მას კი ამ ბოლო დრომდე მუდმივი საპარლამენტო უმრავლესობა ჰყავდა და ეს უმრავლესობა მხარს უჭერდა მას თვით უკანასკნელ კენჭის ყრამდე.

მაგრამ პუანკარეს მთავრობამ, მიუხედავად ფორმალური გამარჯვებისა, თავი ვერ დააღწია ამ საკითხთან დაკავშირებულ სიძნელეებს. აღმოჩნდა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა უიმედოდ დაბნეულ საფრანგეთის პოლიტიკას შეეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი უსიტყვოდ მოიხრიდა ქედს საფრანგეთის კრედიტორების მოთხოვნის წინაშე. პუანკარეს გადადგომას მას შემდეგ, როცა ორივე პალატამ შეთანხმებათა რატიფიკაცია მოახდინა, ვერ დავუკავშირებთ იმ მერყეობას, რომელიც შეიქნა დეპუტატთა პალატაში რატიფიკაციის საკითხის განხილვის დროს.

შეთანხმებათა რატიფიკაცია, ამერიკის ულტიმატიურ პოზიციასთან დაკავშირებით, იმდენად აუცილებელი იყო, რომ მისგან თავის დაღწევის იმედი საეჭვო არავისთვის იყო. ამ-

ხანგრძლივი კამათის შემდეგ, პალატამ, ბოლოს, მოახდინა 1926 წელს დადებულ შეთანხმებათა რატიფიკაცია მოულოდნელი აღმოჩნდა არა თვით რატიფიკაციის ფაქტი, არამედ მთავრობის არაჩვეულებრივად მცირე უმრავლესობა (სულ 8 ხმა). ამ ციფრის სიმცირემ აშკარა გახადა, რომ პუანკარეს მდგომარეობა საკმაოდ შერყეულია, ამასთან არა მარტო „მარცხნიდან“, არამედ მემარჯვენე ჯგუფებიდანაც ნაწილობრივ ხმა მისცეს რატიფიკაციის წინააღმდეგ. აღმოჩნდა, რომ რატიფიკაციაზე უარის თქმის შესაძლებლობა საკმაოდ რეალური იყო, თუმცა იგი ძალზე ეწინააღმდეგებოდა საფრანგეთისა და მის ამერიკელ კრედიტორების ობიექტიურ ძალთა განწყობილებას.

ასეთი ვითარების ფესვები ჩამარხულია იმ წინააღმდეგობაში, რომელსაც საფრანგეთში იწვევდა ინგლისისა და ამერიკის ვალების გადახდის აუცილებლობა. ამ წინააღმდეგობის საფუძველს შეადგენს ის ილუზია, რომლითაც საფრანგეთის მმართველი კლასები ომის დროს და ომის შემდგომ პერიოდში ჰკვებავდნენ საფრანგეთის ხალხის ფართო მასების შეგნებას. იმ დაპირებებს, რომ „გერმანელი გადიხდის“ ომის ხარჯს და მის მიერ მიყენებულ ზარალს, შეეფერებოდა ის აზრი, რომ შეერთებული შტატები და ინგლისი ხელს აიღებენ იმ ვალზე, რომელიც მათ საფრანგეთს მისცეს ომის დროს.

მართალია, ასეთი იმედი უსაფუძვლო იყო. ომის დამთავრების მომენტიდან ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკას არავითარი სურვილი არ გამოუჩენია, რომ უარი ეთქვა იმ ფულზე, რომელიც მან საფრანგეთს ასესხა. 1926 წლის შეთანხმებაში ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკა დასთანხმდა, რომ თავისი მოთხოვნები დაახლოვებით ნახევრად შეემცირებია, ამერიკის მხრით ამაზე უფრო მეტი დათმობის იმედი კი საფრანგეთს არ უნდა ჰქონოდა. მაგრამ არ ჰქრებოდა სამხედრო ვალების გაბათილების შესაძლებლობის ილუზია, და მთავრობას ანგარიში უნდა გაეწია მასების იმ სულის კვეთებისათვის, რომელიც მთავრობამვე შექმნა. მასებს გულუბრყვილოდ ეგონათ, რომ საფრანგეთს არ მოუხდება სამხედრო ვალების გადახდა. სწორედ ამ ილუზიების ძალით შესძლო ოპოზიციამ რატიფიკაციის აუცილებლობასთან დაკავშირებით შექმნილი სიტუაციის გამოყენება მთავრობის წინააღმდეგ.

შეერთებული შტატების რესპუბლიკა არაფერს სთმობდა და პუანკარეც იძულებული შეიქნა გადაედგა ნაბიჯი და პარლამენტისაგან მოეთხოვა სასწრაფო რატიფიკაცია ყოველივე შენიშვნის გარეშე.

რადიკალებმა გამოიყენეს შექმნილი მდგომარეობა იმ მიზნით, რომ დაერღვიათ ის უმრავლესობა, რომელზედაც პუანკარე ეყრდნობოდა და პალატაში მოემზადებიათ კადრები რაღაც ახალი კომბინაციისათვის, რომელშიაც, იმედი აქვთ, რომ ისინი ხელმძღვანელ როლს ითამაშებენ. ფორმალურად ბრძოლა სწარმოებდა შემდეგი საკითხის გარშემო: მოხდეს თუ არა ვალების შესახებ დადებულ შეთანხმებათა რატიფიკაცია შენიშვნით, რომ საფრანგეთის ვალების გადახდა დაუკავშირდეს გერმანიისაგან ვალების მიღებას, თუ ყოველივე შენიშვნის გარეშე. შეერთებული შტატების რესპუბლიკა არავითარ შენიშვნებზე არ თანხმდებოდა. ამიტომ პუანკარეს კაბინეტის მთელი ღონისძიება მიმართული იყო იქითკენ, რომ არ ყოფილიყო მიღებული არავითარი შენიშვნა ან, უკიდურეს შემთხვევაში, ეს შენიშვნა ცალკე უწყინარი რეზოლიუციის სახით ყოფილიყო მიცემული. პუანკარეს ამოცანა გაართულა იმან, რომ ამ საკითხში მის წინააღმდეგ გამოვიდნენ მემარჯვენეები მორენის ჯგუფიდან, რომელნიც წინად მის დასაყრდენს წარმოადგენდნენ. მართალია, პუანკარეს შესანარჩუნებლად მემარჯვენეთა უმრავლესობამ შესაძლებლად დაინახა—გამოთხოვებოდა ილუზიებს ვალების გაბათილების შესახებ, მაგრამ მაინც მთავრობის უმრავლესობა, ის უმრავლესობა, რომლის საშუალებითაც იმდენად პუანკარეს არა, რამდენად ბრიანს, (რომელმაც პალატის გადამწყვეტ სხდომაზე პუანკარე შეცვალა), მოუხდა რატიფიკაციის გატარება, ძალზე მცირე აღმოჩნდა.

ავადმყოფობის მომიზეზებით მსხვილი ფინანსიური კაპიტალის ყველაზე უფრო თვალსაჩინო მსახური იძულებული შეიქნა გადამდგარიყო მთელი თავისი კაბინეტით. მართალია, წარსულში პუანკარე არა ერთხელ გადამდგარა, რომ გადადგომის მოკლე ხნის განმავლობაში უფრო კარგად მოემზადებია ხიადაგი დასაბრუნებლად. მიღებული დეპეშების მიხედვით, ყველაზე მეტი შანსი კაბინეტის შედგენაში აქვს ბრიანს, რომელსაც გადამდგარ კაბინეტში საგარეო საქმეთა მინისტრის ადგილი ეჭირა. მის მიერ ძალა-უფლების ხელში აღება შეესაბამება იმ ცვლილებას, საგარეო - საერთაშორისო მდგომარეობაში, რომელსაც ადგილი აქვს მას შემდეგ, რაც შარშან გერმანიაში ძალა-უფლება ხელში აიღეს სოციალ-დემოკრატებმა, ხოლო ინგლისში—ლეიბორისტებმა.

მაგრამ ცხადია, რომ ბრიანის კაბინეტი ვერ განახორციელებს წვრილი ბურჟუაზიის იმედებს და თვით საკუთარ არსებობის უზრუნველყოფას ის მხოლოდ იმ შემთხვევაში შესძლებს, თუ დახმარების ძებნას დაიწყებს შორს—მარჯვნივ. ამიტომ ნაკლებად საფიქრებელია, რომ ახალმა კაბინეტმა მნიშვნელოვნად შესცვალოს საფრანგეთის პოლიტიკა.

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობისათვის პუანკარეს კაბინეტის პერიოდი 1926 წ. წარმოადგენდა ერთ ადგილზე ტკეპნის პერიოდს. მისი წინამოადგილეების დროს ერთგვარი წარმატებით დაწყებული მოლაპარაკება, პუანკარეს მთავრობის დროს შესწყდა არა საბჭოთა კავშირის წყალობით. მას შემდეგ არ იყო არავითარი პერსპექტივა, რომ გადაჭრილიყო ის საკითხები, რომლებიც საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ურთიერთობას შეეხებიან. ამ სამი წლის განმავლობაში საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება არ დაძრულა მკვდარი წერტილიდან. შესძლებს თუ არა კაბინეტის შეცვლა ამ დამოკიდებულების დაძვრას მკვდარი წერტილიდან, ჯერ არ ვიცით.

„იზვესტია“, 28 ივლისი.

ბრიანმა იკისრა საფრანგეთის ახალი მთავრობის შედგენა

ჩინეთის მშრომელები საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე

შანხაიში გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია საბჭოთა კავშირის დასაცავად

ჰენდერსონი ინგლის-ეგვიპტის ურთიერთობის შესახებ

„ინგლისის უზენაესი კომისრის გადადგომა ეგვიპტეში სრულიადაც არ ნიშნავს რაიმე ცვლილებას ინგლისის პოლიტიკაში ეგვიპტის მიმართ“

ბრიანს მიენდო ახალი კაბინეტის შედგენა

პარიზი, 28 ივლისი. როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, პრეზიდენტმა დუმერგმა მიიღო დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე ბუისონი და სხვა მოღვაწენი, რომელთაც აზრი გამოსთქვეს, რომ ახალი კაბინეტის შედგენა მხოლოდ ბრიანს შეიძლება მიენდოს. ბრიანმა მიიღო პრეზიდენტის დავალება ახალი კაბინეტის შედგენის შესახებ. (ადს).

ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკების წინ

„ნიუ ლიდერ“ დოვგალევსკის ლონდონში ჩასვლის შესახებ

ლონდონი, 28 ივლისი. დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ორგანო „ნიუ-ლიდერ“ თვლის, რომ საბჭოთა ნოტა დოვგალევსკის გაგზავნის შესახებ ლონდონში მეგობრული კილოთია შედგენილი. გაზეთი სწერს: „საბჭოთა მთავრობის პირობა, რომ მომავალი აზრთა გაცვლა-გამოცვლა უნდა შეეხებოდეს მხოლოდ მომავალი მოლაპარაკების პროცედურის საკითხებს, მეტად გონიერულია, ვინაიდან ორივე ქვეყანას შორის ნორმალური ურთიერთობის აღდგენის პროცესის დაწყება ვაჭრობითა და პირობების წამოყენებით, ცუდი დასაწყისი იქნებოდა“.

ჰენდერსონის და დოვგალევსკის შეხვედრის წინ

ლონდონი, 28 ივლისი. კონსერვატორ ტომპსონის შეკითხვის საპასუხოდ საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ ჰენდერსონმა დოვგალევსკი მიიწვია ლონდონში და შეხვედრის დღეთ დაუნიშნა 29 ივლისი. (ადს)

ოფიციალური ცნობა კელოგის პაქტის ძალაში შესვლის შესახებ

მოსკოვი, 29 ივლისი. 29 ივლისს საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. კარახანი ინახულა საფრანგეთის ელჩმა მოსკოვში ბატონმა ერბეტმა და გადასცა მას ნოტა, რომელშიაც ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მინდობილობით ჰცნობა საბჭოთა მთავრობას, რომ 24 ივლისს კელოგის პაქტი ძალაში შევიდა.

ინგლისის პოლიტიკა ეგვიპტეში არ შეიცვლება

ლონდონი, 28 ივლისი. სესიის დახურვის წინ ბოლდუინი პარლამენტში ჰკიცხავდა მაკდონალდის მთავრობას ინგლისის კომისარის (ეგვიპტეში) ლორდ ლოიდის გადაყენებისათვის.

საპასუხო სიტყვაში ჰენდერსონმა განაცხადა, რომ ლოიდის გადადგომა სრულიადაც არ ნიშნავს რაიმე ცვლილების შეტანას ინგლისის პოლიტიკაში ეგვიპტეს მიმართ. ჰენდერსონმა მოიყვანა ისეთი მაგალითები, რომლებიც მოწმობენ, რომ არსებობდა პოლიტიკური უთანხმოება ლოიდსა და იმ ჩემბერლენს შორის, რომელიც, ჰენდერსონის სიტყვით, „ეგვიპტეში ლიბერალურ პოლიტიკას“ ატარებდა.

მთავრობის წინააღმდეგ ცხარედ გაილაშქრა ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა ჩერჩილმა, რომელმაც მთავრობას უსაყვედურა—თქვენ სცდილობთ უცხოეთში ყველგან თქვენი პოლიტიკის ყურმოჭრილი გამტარებლები დანიშნოთო. ამის შემდეგ საკითხი ამოწურულ იქნა მაკდონალდის განცხადებით, რომელმაც სთქვა—„მთავრობა გრძნობს თავის პასუხისმგებლობას და მან იცის, თუ რას მოითხოვს ეგვიპტეში ინგლისის ინტერესები“. (ადს).

კმაყოფილნი არიან ლოიდის წასვლით

ლონდონი, 28 ივლისი. ეგვიპტის პრესა კმაყოფილია ინგლისის უზენაესი კომისრის ლოიდის გადადგომით. ევროპიული წრეების ორგანო „ლია პატრი“, რომელიც ვაფდს თანაუგრძნობს, აღნიშნავს, რომ ჰენდერსონის გადაწყვეტილება ლოიდის გადადგომის შესახებ „მამაცური და გაბედულია“-ო.

გაზეთის აზრით, ლოიდის წასვლა გაადვილებს ინგლის-ეგვიპტის სადაო საკითხების გადაჭრას (ადს).

რეპარაციების გარშემო

სარეპარაციო კონფერენცია დანიშნულია 6 აგვისტოსათვის

პარიზი, 29 ივლისი. პოლიტიკური სარეპარაციო კონფერენციის მოწვევა დანიშნულია 6 აგვისტოსათვის ჰააგაში (ადს).

პოლონეთის პოლიტიკური წრეები ღელავენ

ვარშავა, 28 ივლისი. პოლონეთის პოლიტიკურ წრეებს და პოლონურ გაზეთებს მომავალი პოლიტიკური სარეპარაციო კონფერენციის გამო მღელვარება ემჩნევათ. გაზეთი „ვარშავსკა“ აღნიშნავს, რომ რუმინეთმა და სამხრეთ-სლავიამ მოითხოვეს კონფერენციაზე დაშვებაო. „ვარშავსკა“ მოითხოვს, რომ პოლონეთმაც მიიღოს მონაწილეობა კონფერენციაზე (ადს).

ლოიდ ჯორჯი იუნგის გეგმის შესახებ

ლონდონი, 28 ივლისი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, თემთა პალატის საზაფხულო სესიის უკანასკნელი სხდომა მოუნდა კამათს სარეპარაციო საკითხის გამო. კამათი გახსნა ლოიდ ჯორჯმა. მან, სხვათა შორის, სთქვა: „ყველა ის მსხვერპლი, რომელიც მოკავშირეებმა დაუესის გეგმის მიღების დროს გაიღეს, ინგლისის ხარჯზე იქნა გაღებული. იუნგის გეგმით, ინგლისი არაფერს არ მიიღებს სარეპარაციო გადასახადების „უდაო ნაწილიდან“ (რომელიც დანიშნულია ომის მიერ მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად, ამავე დროს კი ინგლისმა ძველებურად უნდა აძლიოს ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებს წლიურად 34 მილიონი სტერლინგი“.

შემდეგ ლოიდ-ჯორჯმა გააკრიტიკა იუნგის გეგმის ის დადგენილება, რომელიც გადასახადის ნატურით შეტანას გულისხმობს და სთქვა, რომ ამან შეიძლება გაანადგუროს ინგლისიო. ამაზე ფინანსთა მინისტრმა სნოუდენმა უპასუხა, რომ მთავრობა სრულებითაც არ არის ვალდებული მიიღოს ექსპერტების გეგმა. ინგლისი მზადაა მიიღოს იუნგის გეგმით გათვალისწინებული ფულად სარეპარაციო გადასახადების წესი. რაც შეეხება ნატურით გადახდას, ინგლისი ამის შესაფერ დადგენილებებს იუნგის გეგმიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ იძულებული გახდება ეს ჩაიდინოს. გარდა ამისა, ინგლისი უნდა გამოვიდეს განცხადებით სარეპარაციო გადასახადების ეგრეთწოდებული „უდაო ნაწილის“ შესახებ. იუნგის გეგმა ახალ მსხვერპლს აკისრებს ინგლისს. ამავე დროს ინგლისის ფინანსიური მდგომარეობა საკმაოდ სერიოზულია. ინგლისი უკვე მივიდა შესაძლებელი დათმობების უკიდურეს საზღვრამდე (ადს).

ამერიკა და საბჭოთა კავშირი

ნიუ-იორკი, 28 ივლისი. „უორლდ“-ი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი იწონებს ამერიკა-საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობის სწრაფ ზრდას და მოხარულია, რომ საბჭოთა კავშირი კელოგის პაქტს შეუერთდა. მეტიც: იგი შუამავლების შემწეობით შეეცადა მიემართა საბჭოთა კავშირისათვის ჩინეთ-საბჭ. კონფლიქტის გამო. მიუხედავად ყოველივე ამისა, იგი უარს აცხადებს საბჭოთა კავშირის ცნობაზე. გაზეთი აღნიშნავს ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის არა თანმიმდევრობას საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხში (ადს).

„საბჭოთა ფრთები“ იტალიაში

რომი, 28 ივლისი. „საბჭოთა ფრთები“-ს იტალიაში ყოფნა ჯერ კიდევ იწვევს საზოგადოებრივ ინტერესს. იტალიის ავიაციის ოფიციალური წარმომადგენლები განსაკუთრებულის ყურადღებით და პატივისცემით ეპყრობიან გადაფრენის მონაწილეებს. ეს უკანასკნელნი დიდ ყურადღებას იწვევენ რომის უცხოელ წრეებშიაც. უცხოელების კლუბმა, რომელიც ასამდე ჟურნალის და უცხოეთის გაზეთების წარმომადგენლებს აერთიანებს, გადაფრენის მონაწილეებს გაუმართა მხურვალე შეხვედრა. ორშაბათისათვის განზრახულია „საბჭოთა ფრთები“-ს ლონდონში გაფრენა, თანახმად მიწვევისა. (ადს).

ჩინელი მშრომელები საბჭ. კავშირს იცავენ

ნანკინის მთავრობის წინააღმდეგ — საბჭოთა კავშირის დასაცავად

შანხაი, 28 ივლისი. გაზეთები იუწყებიან, რომ შანხაის უნივერსიტეტში ყოველ დღე ვრცელდება პროკლამაციები, რომლებშიც სტუდენტებს მოუწოდებენ საბრძოლველად ნანკინის მთავრობის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის დასაცავად. ასეთივე პროკლამაციები ფართოდ ვრცელდება შანხაის ყველა მუშურ რაიონებში. (ადს).

შანხაი, 28 ივლისი. შანხაის უცხოელთა პრესა იტყობინება, რომ 25 ივლისს, ქალაქის სხვადასხვა უბნებში გაიმართა მრავალრიცხოვანი მფრინავი მიტინგები და დემონსტრაციები, რომლებზედაც წარმოთქმული იქნა მხურვალე სიტყვები. ორატორები მოუწოდებდნენ მასებს ბრძოლისაკენ ნანკინის მთავრობის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის დასაცავად. მიტინგების დროს ვრცელდებოდა ფურცლები, რომლებშიაც აღნიშნული იყო, რომ ნანკინის მთავრობის და იმპერიალისტების პროვოკაციასთან დაკავშირებით საჭიროა გაცხოველებული მზადება საერთაშორისო წითელი დღისათვის.

საღამოთი, საერთაშორისო უბანში, საბჭოთა საკონსულოს შენობის მახლობლად, შესდგა ჩინეთის კომპარტიის მიერ მოწყობილი დიდი საპროტესტო დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ სტუდენტები და მუშები. საღამოთი, ასეთივე დემონსტრაციები გაიმართა შანხაის სხვა უბნებში.

ცხენოსან და ქვეითა პოლიციის გაძლიერებული რაზმები ფანტავდნენ დემონსტრანტებს. ერთმა პოლიციელმა რევოლვერით მძიმედ დასჭრა სტუდენტი. მძიმედ დაჭრილია აგრეთვე ერთი პოლიციელიც.

შანხაიში დემონსტრაციებთან დაკავშირებით, მოხდა დაპატიმრებანი. საღამოთი ქუჩებში დადიოდნენ პოლიციის პატრულები.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ კედლებზე, ტელეფონის და ელექტრო-გასანათებელ ძელის ბოძებზე გაჩნდა წარწერები, რომლებიც მოუწოდებდნენ მუშებს მიეღოთ მონაწილეობა 1-ლ აგვისტოს მასიურ დემონსტრაციაში იმპერიალიზმთან და გომინდანთან საბრძოლველად საბჭოთა კავშირის დასაცავად.

ჩინეთის ხელისუფლებამ შანხაიში და თვით ნანკინის მთავრობამ წინადადება მისცეს ადგილობრივ ხელისუფლებას, გამოიჩინონ მეტი სიფხიზლე. 1-ლ აგვისტოს აკრძალულია ყოველგვარი მიტინგები და კრებები. (ადს).

„ჩინეთი არ აპირებს საბჭოთა უფლებების გაუქმებას“

პეკინი, 28 ივლისი. შანჰაის ყოველკვირეულ ორგანოს „უიკლი რევიუ“-ს რედაქტორთან საუბარში ჩან-სუე-ლიანმა განაცხადა: „უცხოელები სცდებიან, თუ ფიქრობენ, რომ ჩინეთს აქვს განზრახვა გააუქმოს საბჭოთა კავშირის უფლებები აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე ან დაარღვიოს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის—1924 წლის ხელშეკრულება, რაშიაც მას ბრალს სდებს საბჭოთა მთავრობა.

ჩინელის დანიშვნა რკინის გზის მმართველის მოვალეობათა ასასრულებლად დროებით ზომას წარმოადგენს.

ჩვენ განზრახვა არა გვაქვს სამუდამოთ ჩავიგდოთ ხელში რკინის გზა და ამავე დროს არ გაუწიოთ ანგარიში საბჭოთა კავშირის უფლებებს ამ გზაზე“. (ადს).

საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურეთა გამგზავრება ჩინეთიდან

პეკინი, 28 ივლისი. საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურეთა პირველი ჯგუფი 25 ივლისს გაემგზავრა ტიან-ცზინიდან ვლადივოსტოკში. 26 ივლისს პეკინის საბჭოთა საკონსულოს ყველა თანამშრომლები და ტიან-ცზინის საკონსულოს თანამშრომლები და საბჭოთა კონსული კალგანში მიხაილოვი ტიან-ცზინიდან გაემგზავრნენ დაირენში. (ადს).

ორპირი ხალხი

შანხაი, 28 ივლისი. მიუხედავად იმისა, რომ ნანკინის მთავრობის წარმომადგენლებმა ცოტათი შეანელეს თავისი მტრული გამოსვლები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, გომინდანის განყოფილებები სცდილობენ მოაწყონ ანტისაბჭოთა კამპანია და გამართონ მიტინგები და დემონსტრაციები. ეს მიტინგები და დემონსტრაციები ყოველთვის უშედეგოთ თავდებიან, რადგან მათ ხალხი არ ესწრება.

ერთი ასეთი მიტინგი შესდგა შანხაის ჩინურ ნაწილში. ამ მიტინგზე გომინდანის წარმომადგენლები მოითხოვდნენ, რომ საბჭოთა კავშირს გამოეცხადოს „ომი ბოლომდე“.

საბჭოთა მოქალაქეების გაძევება

შანხაი, 28 ივლისი. ხარბინში ჩაიდა 137 საბჭოთა მოქალაქე, რომლებიც აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის აღმოსავლეთ ხაზზე ცხოვრობდნენ და რომლებიც ჩინელებმა მანჯურიის გზით საბჭოთა კავშირში გაგზავნეს (ადს).

საბჭოთა კავშირის საკონსულოს წამოსვლა მანჯურიიდან

დაურია, 29 ივლისი. აქ გზად გაიარა ხარბინის საკონსულო შემადგენლობამ მელნიკოვის მეთაურობით. მას მთელს გზაზე მოსახლეობა დიდის აღფრთოვანებით ხვდებოდა. მანჯურიიდან მელნიკოვის წამოსვლის შემდეგ ჩინეთთან ურთიერთობა საბოლოოდ შესწყდა.

გაიარა სადგ. პოგრანიჩნაიას საბაჟოს უფროსმა კუზოვლევმა. მან განაცხადა, რომ საკონსულოს სამჯერ დაესხნენ თავს, ხოლო საბაჟოს—ორჯერ. მუშაკები დააპატიმრეს და ხარბინში წაიყვანეს. ჩხრეკის დროს ბევრს სცემეს. გრძელდება პოგრანიჩნაიაში ჩინეთის ჯარის კონცენტრაცია. საბჭოთა მოქალაქეებს ბინებიდან აძევებენ. ადგილი ჰქონდა გაუპატიურების ორ შემთხვევას (ადს).

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა აკლება

ხაბაროვსკი, 29 ივლისი. მიღებული ცნობების მიხედვით, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებს მასიურად შეაქვთ რკინის გზის სამმართველოში განცხადებანი სამსახურიდან წასვლის შესახებ, მიუხედავად აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მმართველის ორი ბრძანებისა, რომლებითაც გადაჭრით აკრძალულია ასეთი განცხადებების შეტანა, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებისა და პროფმუშაკების დაპატიმრება ხარბინში გრძელდება. განსაკუთრებულ უმსგავსოებას სჩადიოდნენ თეთრგვარდიელები, რომელნიც სრულიად უმიზეზოდ სცემდნენ ყველას, ვინც, მათის აზრით, საბჭოთა მოქალაქე იყო. არის შემთხვევები, როდესაც საბჭოთა მოქალაქენი უკვალოდ გაჰქრნენ.

ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენელნი იარაღს ურიგებენ რუს ფაშისტებს და ავალებენ მათ გზის სამმართველოს დაცვას. ფაშისტებმა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე გაგზავნეს თავიანთი წევრები თავისი უჯრედების მოსაწყობად. მათ შეიმუშავეს დარბევის გეგმა ხარბინში. ვაჭრობა ხარბინში ჩაკვდა. ჩინელები ძალმომრეობით გაჰყავთ ჯარში. მათ იჭერენ ქუჩებში, სახელოებზე უკეთებენ განსაკუთრებულ ნიშნებს და საზღვარზე სამხედრო ნაწილებში გზავნიან. ჯარში ძალზე გახშირდა დეზერტირობა. პოგრანიჩნაიას რაიონში 450 თოფიანი ჯარისკაცი გაიქცა (ადს).

აღმ.-ჩინ. რკინის გზის მუშაობა საფრთხეშია

შანხაი, 28 ივლისი. ხარბინის გაზეთების ცნობით, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა შორის თავი იჩინა „ავადმყოფობამ მოჩვენების ნიადაგზე“, რის გამო „ავადმყოფები“ ითხოვენ სამსახურიდან განთავისუფლებას. ამ მოვლენამ მიიღო მასიური ხასიათი და ემუქრება რკინის გზის ნორმალურ მუშაობას. ამას მოწმობს ჩინეთის ადმინისტრაციის განსაკუთრებული ბრძანება, რომელშიაც ნათქვამია, რომ თხოვნები სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ განხილული იქნება, როგორც რკინის გზის მუშაობის შეფერხების ცდა.

ამასთანავე გაზეთები აღნიშნავენ დისციპლინის დაცემას აღმოსავლეთ რკინის გზაზე. ჩინეთის ხელისუფლება შეუთანხმდა თეთრგვარდიელთა ორგანიზაციებს თეთრგვარდიელების გამოყენების შესახებ რკინის გზის სამსახურში.

თეთრგვარდიელთა გაზეთებში გამოქვეყნებულია ყოფ. გენერალ ხორვატის განცხადება. ხორვატი წინადადებას აძლევს ყველა იმ პირთ, რომლებსაც წინეთ უმსახურიათ რკინის გზებზე და წყლის ტრანსპორტზე, გატარდნენ რეგისტრაციაში. (ადს).

ჩჟან-ცზო-სიანის განცხადება

პეკინი, 28 ივლისი. იაპონიის პრესის ცნობით, გირინის გენერალ-გუბერნატორმა ჩჟან-ცზო-სიანმა თითქო განაცხადა, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის დუბანმა გადააჭარბა თავის უფლებებს რკინისგზის ყველა საბჭოთა თანამშრომლების დათხოვნის შესახებ ბრძანების გაცემით.

ჩჟან-ცზო-სიანის სიტყვით, ჩინეთი ძველებურად სცნობს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის საერთო მმართველობის პრინციპს. (ადს).

ენ-სი-შანი კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მომხრეა

პეკინი, 28 ივლისი. გოვენის სააგენტოს ცნობით, ენ-სი-შანმა გადაწყვიტა დეპეშა გაუგზავნოს ნანკინის მთავრობას და ურჩიოს კონფლიქტის მოგვარება მშვიდობიანი გზით. (ადს).

ჩინელ ჯარისკაცებს არ უნდათ ომი

ჩიტა, 29 ივლისი. მიღებული ცნობების მიხედვით, ჩინეთის ჯარი პანიკამ მოიცვა. ჯარისკაცებს არ უნდათ ომი. თანდათან ძლიერდება დეზერტირობა. 24 ივლისს გაიქცა 250 ჯარისკაცი. მთლად ჩაკვდა ქ. მანჯურია, იქ აღარავითარი ვაჭრობა აღარ არის. მოსახლეობა დილიდან საღამომდე სანოვაგეს დაეძებს, მოსახლეობის დასამშვიდებლად ქალაქში გაკრულია დიპლომატიური კომისარის განცხადება იმის შესახებ, რომ მოსახლეობამ უნდა განაგრძოს მშვიდობიანი მუშაობა, მას არავითარი საფრთხე არ მოელის, რადგან კონფლიქტი საბჭოთა კავშირთან მშვიდობიანის გზით იქნება მოგვარებული. ხარბინის წმინდა ჩინურ ნაწილში, ფუძიაძანში, რომელიც ყველაზე უფრო მჭიდროთ არის დასახლებული, აჯანყდა მთელი ჩინური პოლკი. მე-16-ე ქუჩაზე გაძარცვეს ვაჭრების მაღაზიები და ბინები, სავაჭრო ფირმები თავს ანებებენ ოპერაციებს და ხარბინიდან გარბიან, მიუხედავად ხელისუფლების დამამშვიდებელი განცხადებებისა (ადს).

ინტერვიუ ყოფილ რწმუნებულთან

ჰელსინგფორსი, 28 ივლისი. აქ ჩამოვიდა ნანკინის მთავრობის ყოფილი რწმუნებული მოსკოვში სია ვეი-სუნი, რომელიც გაზეთების წარმომადგენლებთან საუბრის დროს დაწვრილებით შეეხო თავის მოლაპარაკებას საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის წინ. ყოფილ რწმუნებულს შეეკითხნენ, თანახმაა თუ არა ჩინეთის მთავრობა, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზას ორივე სახელმწიფო მართავდეს და ორივე ჰფლობდეს.

სია ვეი-სუნმა უპასუხა: „მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა დათხოვნილი მოსამსახურეების ნაცვლად ჩინელები დანიშნეს, ჩინეთის მთავრობამ თავიდანვე განაცხადა, რომ ეს მხოლოდ დროებითი ზომაა და რომ ახლად დანიშნული ჩინელები თავიანთ თანამდებობებზე იმ დრომდე დარჩებიან, სანამ საბჭოთა მთავრობა დათხოვნილების ადგილზე ახლებს არ დანიშნავს“.

სია ვეი - სუნმა დაუმატა: „ლაპარაკიც შეტია პროლეტარული სახელმწიფოს საკუთრების ძალმომრეობით მითვისებაზე. ჩინეთის მთავრობა თანახმაა, ორივე სახელმწიფომ განაგრძოს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მმართვა-გამგეობაო“ (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ამხ. დოვგალევსკი ლონდონში

ლონდონი, 29 ივლისი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი პარიზში დოვგალევსკი 28 ივლისს ღამით ჩამოვიდა ლონდონში. სადგურზე დოვგალევსკის შეხვდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები და აგრეთვე გერმანიის საელჩოს წარმომადგენელი ხაბენი. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში დოვგალევსკიმ გამოსთქვა იმედი, რომ „განახლდება მეგობრული ურთიერთობა ორივე ქვეყნის შორის“.

ამხ. დოვგალევსკი საგარეო საქმეთა სამინისტროში

ლონდონი, 29 ივლისი. დღეს, ნაშუადღევის 3 საათზე დოვგალევსკი მივიდა საგარეო საქმეთა სამინისტროში ჰენდერსონთან მოსალაპარაკებლად (ადს).

რადიკალ-სოციალისტები არ იღებენ მონაწილეობას მთავრობაში

პარიზი, 29 ივლისი. ჰავასის სააგენტო იუწყება,—რომ რადიკალ-სოციალისტების პარტიამ უარი განაცხადა მომავალ მთავრობაში მონაწილეობაზე (ადს).

საფრანგეთის კომპარტიის მოწოდება მუშა-ზანგებისადმი

პარიზი, 29 ივლისი. საფრანგეთის კომპარტია მუშა ზანგებისადმი პირველი აგვისტოს შესახებ გამოქვეყნებულ მიმართვაში მოუწოდებს მათ შეუერთდენ ყველა ქვეყნის მუშების საერთო ფრონტს. მოწოდებაში ხაზგასმულია, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოები ზანგებისაგან ჰქმნიან უდიდეს არმიებს, რათა პირველ რიგში მიუსიონ ისინი კოლონიალური ხალხების ერთად-ერთ დამცველს—საბჭოთა კავშირს (ადს).

ოზოლსის საქმე

რიგა, 29 ივლისი. ლატვიის სეიმის საპეტიციო კომისიამ განიხილა ლატვიის ყოფილი სრულუფლებიანი წარმომადგენლის (მოსკოვში) ოზოლსის საქმე. როგორც ცნობილია, ოზოლსმა სცადა დიპლომატიური ბარგის სახით გაეტანა დიდძალი ძვირფასი ნივთები. კომისიამ დაადგინა საქმე გადასცეს სასამართლოს. კომისია ბრალს სდებს ოზოლს სახელმწიფო ბეჭდის უკანონოდ გამოყენებაში და კონტრაბანდისტობაში (ადს).

მუშა-ქალთა კონფერენცია

ბერლინი, 29 ივლისი. შესდგა ბერლინ-ბრანდენბურგის ოლქის მუშა-ქალთა კონფერენცია, დაესწრო 172 დელეგატი საწარმოებიდან. გაკეთებულ იქნა მოხსენება ქალების ამოცანების შესახებ ბრძოლაში იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. მოხსენების შემდეგ გაიმართა გაცხოველებული კამათი. სხვათა შორის, გამოვიდა ერთი სოფლის მეურნეობის მუშა-ქალი, რომელმაც ქალაქის მრეწველობის და სოფლის მეურნეობის მუშა-ქალთა სოლიდარობის ნიშნად კონფერენციას მიუძღვნა მინდვრის ყვავილების თაიგული წითელი ბანტით. დელეგაციები, განსაკუთრებით უპარტიოები, მოუთხრობდნენ კონფერენციას, თუ რა საშინელ ექსპლოატაციას განიცდიან მუშა-ქალები. მინსკის მუშა-ქალების წერილის საპასუხოდ კონფერენციამ გაუგზავნა მათ მისასალმებელი დეპეშა. მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნა აგრეთვე მუშა-ქალთა კონფერენციას პრაღაში. კონფერენციის შემდეგ შესდგა ქალთა წითელი შეკრება რამდენიმე ათასი ქალის მონაწილეობით.

შეერთებული შტატების მთავრობა მხარს უჭერს სტატუს ქვოს აღმ.-ჩინეთის რკ. გზაზე

ვაშინგტონი, 26 ივლისი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ შეერთებული შტატების მთავრობა მოითხოვს სტატუს ქვოს (კონფლიქტის წარმოშობამდე არსებული მდგომარეობის) აღდგენას აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე (ადს).

პარიზის საპყრობილეების პატიმართა შიმშილობა

პარიზი, 29 ივლისი. პარიზის საპყრობილე სანტეს, ქალთა საპყრობილე სენ-ლაზარის და საბავშო საპყრობილე პტიტ-როკეტის პოლიტიკურმა პატიმრებმა, რიცხვით 150 კაცმა, შიმშილობა გამოაცხადეს. „ლუმანიტე“ აღნიშნავს, რომ ეს წარმოადგენს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და შრომის უნიტარული კონფედერაციის ბიუროს მიერ მოწონებულ პოლიტიკურ აქტს, ნიშნად პროტესტისა ნაციონალური მთლიანობის მთავრობის ფაშისტურ ძალადობათა წინააღმდეგ. პოლიტიკურმა პატიმრებმა იუსტიციის მინისტრს გაუგზავნეს პროტესტი მათი უკანონოდ დაპატიმრების წინააღმდეგ (ადს).

მრავალრიცხოვანი დაპატიმრებანი პოლონეთში

ვარშავა, 29 ივლისი. 1 აგვისტოსათვის მზადებასთან დაკავშირებით ვარშავასა და პროვინციაში მოხდა მრავალი დაპატიმრება. ვარშავაში დააპატიმრეს 80-ზე მეტი კაცი. კვირას მუშათა რაიონებში გამოჩნდნენ წითელი დროშები და პლაკატები, რომლებიც მოუწოდებდნენ მუშებს გაიფიცონ 1 აგვისტოს. დომბროვის ქვანახშირის რაიონში შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგები (ადს).

მუშათა ახალგაზრდობის კონფერენცია

ბერლინი, 29 ივლისი. შესდგა მუშათა ახალგაზრდობის კონფერენცია. 120 დელეგატიდან 74 უპარტიოა. კონფერენციის უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია ახლად მოწყობილი ანტი-ფაშისტური გვარდიის და აგრეთვე დაშლილი ორგანიზაციის „იუნგ-ფრონტ“-ის რაზმის გამოჩენამ. სიტყვები წარმოსთქვეს: ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის წარმომადგენელმა ამხ. კოსარევმა, ჩინეთის კომკავშირის და ბერლინის მახლობლად მყოფი ვოროშილოვის სახელობის პიონერთა ბანაკის წარმომადგენლებმა; დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: საანგარიშო მოხსენება ახალგაზრდობის ანტი-იმპერიალისტური კონგრესის შესახებ და მოხსენება ახალგაზრდობის ამოცანების შესახებ ომის საფრთხესთან ბრძოლაში. გაცხოველებული კამათის შემდეგ მიღებულ იქნა ანტი-იმპერიალისტური საბრძოლველი პროგრამა. შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია მუშათა ახალგაზრდობის ამოცანების შესახებ 1 აგვისტოს დღის ჩატარების დროს.

კონფერენციამ დაადგინა გაუგზავნოს მისასალმებელი წერილები ჩინეთის კომკავშირს, ვოროშილოვის სახელობის ბანაკის პიონერებს და ამხ. ბუდიონის (ადს).

იწონებენ კომინტერნის აღმასკომის მე-10 პლენუმის გადაწყვეტილებებს

მოსკოვის პარტაქტივის რეზოლიუცია

მოსკოვი, 29 ივლისი. მოსკოვის პარტორგანიზაციის აქტივმა მოისმინა მანუილსკის მოხსენება კომინტერნის აღმასკომის მე-10 პლენუმის შედეგების შესახებ და მთლიანად და სავსებით მოიწონა პლენუმის ყველა გადაწყვეტილება. საკავშირო კ. პ. (ბ) აქტივის აზრით, სწორია კომინტერნის აღმასკომის პლენუმის დადგენილება კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის წევრის მოვალეობიდან ბუხარინის, სერას და გიტლოუს განთავისუფლების შესახებ, რომელნიც მსოფლიო რევოლიუციონური მოძრაობის ძირითად საკითხებში არ გამოხატავენ კომინტერნის ხაზს. აქტივი აგრეთვე იწონებს ილიკის, ლოვსტონისა და სპექტორის გამორიცხვას, რომელნიც აშკარად ოპორტუნიზმისა და რენეგატობის ჭაობში ჩაიფლნენ. აქტივი მთლიანად და სავსებით უერთდება პლენუმის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ მემარჯვენეების შეხედულება შეუთავსებელია კომინტერნში ყოფნასთან, და სავსებით მხარს უჭერს—შემარიგებლებისადმი წარდგენილ მოთხოვნებს—გადაჭრით გაემიჯნონ მემარჯვენე უკლონისტებს, აქტიურად ებრძოლონ მემარჯვენეებს, აგრეთვე ყოველი პირობის გარეშე შეასრულონ კომინტერნის ყველა გადაწყვეტილება, რადგან ეს აუცილებელი პირობაა კომპარტიის რიგებში მათი შემდგომი დარჩენისათვის. აქტივი არწმუნებს კომინტერნის აღმასკომს, რომ მოსკოვის ორგანიზაცია, როგორც წინად, ეხლაც პარტიის მოწინავე რიგებში იბრძოლებს ლენინური ხაზიდან ყველა და ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ—მემარჯვენე და „მემარცხენე“ (ტროცკისტული) ლიკვიდატორების მთლად განადგურებლად (ადს).

ფაშისტური ტერორი საფრანგეთში

ჩხრეკა კომპარტიის ორგანიზაციების სადგომებში

პარიზი, 28 ივლისი. ტულაზა და ბეზიერაში გაჩხრიკეს კომპარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების სადგომები.

გაჩხრიკეს აგრეთვე ბორდოში პარტიის ბევრი წევრი, აგრეთვე უნიტარულ პროფკავშირთა მდივნების ბინები სენტეტიენში—რკინის გზელთა კოოპერატივი და რკინის გზელთა უნიტარული პროფკავშირის წევრთა ბინები, რეიმსში—სახალხო სახლი, ლიონში, ამიენის მახლობლად, მუნიციპალიტეტის მდივნის ბინა, ბურჟეში—კომპარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის სადგომი, კომუნისტურ ორგანოს „ემანსიპეტერ“-ის რედაქცია და უნიტარული პროფკავშირთა მდივნების ბინები.

მემარჯვენე პრესა შხამს ანთხევს კომუნისტების მისამართით; იგი „მოაგონებს“, ვისაც ჯერ არს, რომ ჯერ კიდევ არ არის დაპატიმრებული ცხრა მოღვაწე, რომელთა შეპყრობის შესახებ ბრძანება უკვე გაცემულია. ამათ შორის ირიცხებიან შრომის უნიტარული კონფედერაციის მდივანი რაკომანი, ყოფილი დეპუტატ ვაიან კუტიურიე და მუშურ-გლეხური ბანკის დირექტორი მარანი, კომკავშირის ც. კ.-ის წევრი გოლოპენი, იუვარის (პარიზის გარეუბანი) მუნიციპალიტეტის წევრი მოშე და კომპარტიის ც. კ.-ის წევრი ბერიმოვი (ადს).

„სოციალისტის“ ბრძანება

ლილი, 28 ივლისი. ქალაქ სალანვროს მერის (სოციალისტის) ბრძანებით, მთელ ქალაქში გაკრულია აფიშები, რომლებიც მოუწოდებდნენ მუშებს—არ დასტოვონ პირველ აგვისტოს საწარმოები და „ამნაირად ხელი შეუწყონ იმ წითელი დღის ჩაშლას, რომელსაც ბოლშევიკები აწყობენ“ (ადს).

კომუნისტების ჩხრეკა

პარიზი, 28 ივლისი. როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, პოლიციამ ლილსა და ლიონში გაჩხრიკა კომუნისტების ბინები და ხელთ იგდო მრავალი საბუთი. ლილში დააპატიმრეს 2 კომუნისტი. დანარჩენების დაპატიმრება ვერ შესძლეს, რადგან მათ მოასწრეს საზღვარგარეთ გასვლა (ადს).

პროტესტი დაპატიმრებათა წინააღმდეგ

პარიზი, 28 ივლისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, უკანასკნელ დღეებში დაპატიმრებულმა კომუნისტებმა იუსტიციის მინისტრს პროტესტი განუცხადეს დაპატიმრების გამო და უარი სთქვეს გამომძიებლისათვის ჩვენების მიცემაზე (ადს).

ახალი ჩხრეკა

პარიზი, 28 ივლისი. ჰავასის ცნობით, პოლიციამ გაჩხრიკა წითელ ფრონტელთა კავშირის სადგომი, ჟურნალ „ემანსი პასიონის“ რედაქცია, ამის ყოფილ მონაწილეთა საერთაშორისო გაერთიანება და ყოფილ მეზღვაურთა კავშირი. დააპატიმრეს წითელ ფრონტელთა კავშირის მდივანი (ადს).

საბჭოთა კავშირის დასაცავად

ლილი, 28 ივლისი. მუშათა ორგანიზაციები პროტესტს აცხადებენ მთავრობის რეპრესიების გამო და მოუწოდებენ მშრომელთ—იბრძოლონ რეპრესიების წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის დასაცავად (ადს).

(დეპეშების გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მდგომარეობა მანჯურიაში

მოსკოვი, 29 ივლისი. მიღებულია ცნობა იმის შესახებ, რომ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ მთელ მანჯურიაში და ხარბინში ჩაკვდა კომერციული ცხოვრება. მაღაზიები დაცალიერდა. ჩინეთის დოლარი, რომელიც წინად ორი ცენტით ეცემოდა დღეში, ეხლა 30 ცენტით ეცემა ყოველდღიურად.

მოქალაქეებს ეშინიათ, რომ არ მოხდეს ებრაელ მოსახლეობის დარბევა და ანტისაბჭოთა ხულიგნური გამოსვლები. განწყობილება მეტად მძიმეა. ჯერ კიდევ 19 ივლისს ჩინეთის ხელისუფლებამ ნება დართო თეთრგვარდიელებს შეადგინონ თავიანთი რაზმები. ერთ-ერთი ასეთი რაზმი 1.200 კაცის შემადგენლობით, რომელთაც მეთაურობს გენერალი სახაროვი, გაემგზავრა ხარბინიდან საბჭოთა კავშირის საზღვარზე.

„დიდი მოღალატეობის პატარა რეპეტიცია“

მოსკოვი, 29 ივლისი. ამ სათაურით „პრავდა“-ში დაბეჭდილია ამხ. გ. ზინოვიევის წერილი. ავტორი ეხება მსოფლიო სოციალ - დემოკრატიის პოზიციას ჩინეთ - საბჭოთა კონფლიქტის საკითხში. ამხ. ზინოვიევს პარალელი გაჰყავს თეთრგვარდიელ გენერალ კოლჩაკისა და ჩინეთის რევოლიუციის ჯალათის ჩან-კაი-შის შორის. მსოფლიო სოციალ - დემოკრატიის, განსაკუთრებით კი გერმანიის სოციალ-დემოკრატიის როლი, აცხადებს ავტორი, უკვე გამოაშკარავებულია ჩინეთის კოლჩაკის — ჩან-კაი-შის მიერ ჩადენილ ბანდიტურ თავდასხმის საქმეში. ყველა ქვეყნის რეფორმისტები იცავენ კოლჩაკს. მაგრამ ეს კიდევ არაფერია. მთავარი წინ არის. ეხლა უკვე ყველასათვის ცხადია, რომ, ვინც არ უნდა დაესხას თავს საბჭოთა კავშირს, სოციალ - დემოკრატია ყოველთვის გაამართლებს მას.

ეროვნული

აზერბეიჯანის პარტორგანიზაციის მდგომარეობა და ამოცანები

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკა-ს დადგენილება

აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ც. კ-ს მოხსენების გამო

1. ც. კ. აღნიშნავს დიდ მიღწევებს აზერბეიჯანის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში: ნავთის მრეწველობის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია, სოფლის მეურნეობის ამაღლება (ნათესი სივრცის ზრდა ომის წინადროინდელ დონეზე მეტად), ეროვნული მშვიდობიანობის განმტკიცება ლენინური ეროვნული პოლიტიკის ნიადაგზე, სამრეწველო კერების განვითარება, ეროვნული პროლეტარული კადრების შექმნა, ეროვნული კულტურის ზრდა, ახალი თურქული ანბანის შემოღება. ძალიან გაიზარდა მუშათა მასების მატერიალური და რამდენადმე კულტურული დონე, უაღრესად მოიმატა მათმა პოლიტიკურმა აქტივობამ და ნდობამ პარტიისადმი. წარმატებით მიმდინარეობს წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური გავლენის (მუსავატისტები, იტიხადისტები და დაშნაკელები) დაძლევა, აგრეთვე ინტერნაციონალური სოლიდარობის განმტკიცება პროლეტარულ მასებში. ანტილენინურ გადახრებთან და მერყეობებთან ბრძოლაში აზერბეიჯანის კომპარტია, კერძოდ, ბაქოს ორგანიზაცია, ყოველთვის იყო პარტიის ლენინური პოლიტიკის მტკიცე დასაყრდენი.

აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ც. კ-მა, ყველა ამ პოლიტიკურ და სამეურნეო მიღწევებთან ერთად, ვერ უზრუნველჰყო ორგანიზაციაში პირობები თვითკრიტიკის გაშლისთვის და მუშათა ახალი კადრების ნამდვილად დაწინაურებისა და აღზრდისთვის, ვერ დასძლია ამოცანა ფართო მასების მობილიზაციის შესახებ კონკრეტულ დეფექტებთან საბრძოლველად, რაც უმთავრესად აიხსნება იმით, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ჩამორჩებოდა მუშათა მასების აქტიობის ზრდას. თვითკრიტიკა ბევრ შემთხვევაში ატარებდა დეკლარატიულ ხასიათს, ზოგჯერ კი ნამდვილად ტარდებოდა თვითკრიტიკის შეზღუდვის პრაქტიკა (არტაკის საქმე). ბრძოლა გახრწნის ელემენტებთან არ სწარმოებდა სათანადო გაბედულობით და ამ ბრძოლას არ ეძლეოდა ზოგად—პოლიტიკური მნიშვნელობა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, ძმაბიჭობით ერთგვარი გატაცების გამო, ადგილი ჰქონდა ამ ელემენტების აშკარა მიჩქმალვას ცალკე ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების მხრივ. მუშების დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოზე მეტად სუსტად სწარმოებდა, რის გამოც ხელმძღვანელ შემადგენლობაში პროლეტარული ფენა უმნიშვნელო იყო და არ სწარმოებდა მისი სისტემატიურად განახლება. მასიური მუშაობა, მიუხედავად საკავშირო კომპარტიის ც. კ-ის წინანდელი მითითებებისა ამ მხრივ არსებული მთავარი დეფექტების შესახებ, მთელ რიგ საწარმოში არადამაკმაყოფილებელია. განსაკუთრებით სუსტად სწარმოებდა მასების ჩაბმა წარმოების რეკონსტრუქციის ნამდვილი ხელმძღვანელობის საქმეში. საკმაო არ არის მუშაობა სოფლად პროლეტარული გავლენის გასაძლიერებლად, რაც ერთგვარად დაკავშირებულია იმასთან, რომ აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ც. კ-ი საერთოდ სუსტ ყურადღებას აქცევდა სოფლად მუშაობას. ც. კ. განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ აზერბეიჯანის კომპარტიის ზოგიერთ ორგანიზაციაში (ყაზახის და ლენქორანის), ბაქოს პროლეტარული ცენტრის ორგანიზაციაშიაც კი (ბინაგადინის და სადგურის გადაღმა რაიონი) ხელმძღვანელ მუშაკთა ნაწილს შორის ადგილი ჰქონდა როგორც ყოფა-ცხოვრების გახრწნის, ისე აშკარა ანტიპარტიული მოქმედების შემთხვევებს (გორობჩენკოს, გორონის და ლენინის რაიკომის აქტივის ნაწილის — ვირიპაევის, სხვების და სხ. საქმე).

გამოდის რა ყველა აქედან, ც. კ. აზერბეიჯანის ორგანიზაციის მდგომარეობას სთვლის საერთოდ დამაკმაყოფილებლად, ხოლო ხელმძღვანელობის მდგომარეობას (მის შეცვლამდე ც. კ-ის ა.-წ. 1 აგვისტოს დადგენილებით) სთვლის არადამაკმაყოფილებლად. ამასთან ერთად ც. კ. ავალებს ა.-კ. სამხარეო კომიტეტს უზრუნველჰყოს შემდეგში ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის ნამდვილი ხელმძღვანელობა ეროვნული კომპარტიების (აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს) ცენტრ. კომიტეტის მიმართ. ც. კ-ი წინადადებას იძლევა უზრუნველყოფილი იქნას თვითკრიტიკის ნამდვილი გაშლა, კერძოდ, პარტორგანიზაციების წმენდის და პარტორგანოების არჩევის დროს, ამასთან მიღწეულ იქნას მათი განმტკიცება მუშათა ახალი კადრების გაბედულად დაწინაურების საფუძველზე, განსაკუთრებით ადგილობრივ ეროვნებათაგან. ენერგიული ბრძოლა უნდა გაუწიოს ბიუროკრატიულ დამახინჯებებს პარტორგანოების მუშაობაში; ამასთან ფართოდ გაიშალოს შინაპარტიული დემოკრატია და პასუხისგებაში იქნას მიცემული ყველა, მიუხედავად პიროვნებისა, ვინც ზღუდავს მასების კრიტიკას.

ც. კ. აღნიშნავს რა საბჭოთა ორგანოების ნაწილის არადამაკმაყოფილებელ შემადგენლობას, უცხო ელემენტების შერევას და პროლეტარული შემადგენლობის უმნიშვნელო პროცენტს, ხოლო ცალკე შემთხვევაში ამ პროცენტის შემცირებასაც კი, წინადადებას იძლევა—დაიწყოს საბჭოთა აპარატის განმტკიცება. პირველ რიგში უზრუნველყოფილ იქნას მუშათა და გლეხთა ფართო მასების ნამდვილი მონაწილეობა საბჭოთა ორგანოების შემადგენლობის შემოწმებაში და ამით განმტკიცდეს საბჭოთა აპარატის ავტორიტეტი და მისი კავშირი მასებთან. პარტორგანიზაციამ ძირითად ამოცანად უნდა დაისახოს მუშათა ფართო მასების მობილიზაცია, განსაკუთრებით სოციალისტური შეჯიბრების ნიადაგზე, აზერბეიჯანის ორგანიზაციის ძირითადი ამოცანების გადაწყვეტის ირგვლივ. ეს ამოცანებია: მრეწველობის რაციონალიზაცია, თვითღირებულების შემცირება, სოფლად მუშაობა, ბრძოლა ბიუროკრატიზმთან და ახალი კადრების დაწინაურება. ც. კ-ი, ითვალისწინებს რა სიძნელეებს მასიურ მუშაობაში, რომლებიც გამომდინარეობენ აზერბეიჯანის პროლეტარიატის განსაკუთრებულ თვისებათაგან, მუშათა მასის გაფანტულობას ნავთის სარეწაოებში, სოფელთან დაკავშირებულ მუშების სიჭარბეს საფეიქრო და აბრეშუმის მრეწველობაში, პროლეტარიატის მრავალეროვან შემადგენლობას და მისი სხვადასხვა ეროვნული ფენების სხვადასხვაგვარ პოლიტიკურ და კულტურულ დონეს,—ავალებს აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ც. კ-ს და ბაქოს კომიტეტს შეიმუშაონ ღონისძიებანი პროლეტარული ორგანიზაციების,—პირველ რიგში პროფკავშირების—მასიური მუშაობის გამოსაცოცხლებლად (აპოლიტიკურობის ელემენტების და ცეხური კარჩაკეტილობის ლიკვიდაცია მათ მუშაობაში, მასებთან დაახლოვება და ჩამორჩენილი ფენების ჩაბმა); ამასთან ამ ღონისძიებათა შესრულება უზრუნველყოფილ უნდა იქნას იმით, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ამის შესახებ წარედგინოს სათანადო ანგარიში.

2. ნავთის მთელი მრეწველობის ნაციონალიზაციის და ამ მრეწველობის რეკონსტრუქციაზე გაწეული უდიდესი მუშაობის შედეგად (კაპიტალური დაბანდება აღემატება ნახევარ მილიარდს) ნავთის მრეწველობის განვითარებაში არსებობს დიდი მიღწევები: მოხდა სრული ელექტროფიკაცია, 5 წელიწადში ნავთის მოპოება ორჯერ გადიდდება და თვითღირებულება საგრძნობლად შემცირდა. ნავთის მეურნეობის შემდგომი განვითარება და ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების განხორციელება მოითხოვს ბურღვის საქმისადმი ყურადღების გაძლიერებას, კვლევა-ძიების გაუმჯობესებას, ახალი ნავთიანი ადგილების გამოძებნას და სამეურნეო ორგანოების პრაქტიკაში არსებული მრავალი სერიოზული ნაკლის მოსპობას. ასეთ ნაკლად ჩაითვლება არასაკმაო გეგმიანობა რაციონალიზაციის გატარებაში და კაპიტალურ მშენებლობაში, თავ-გამგეობის გადაჭარბებული ცენტრალიზმი, მომჭირნეობის რეჟიმის სუსტი გატარება მრავალ საწარმოში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალი სამეურნეო კადრების მომზადებას და არსებულის გადამზადებას, მეტადრე ადგილობრივი ეროვნებიდან. ამასთან ერთად, უნდა გადაიჭრას პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების მუშაობა ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას ფართო მასების ჩაბმა წარმოების რეკონსტრუქციის ხელმძღვანელობაში და მის გასატარებლად წარმოებულ მთელ პრაქტიკულ მუშაობაში (სოციალისტური შეჯიბრება, საწარმოო თათბირები, მუშათა გამომგონებლობა და სხვ.). განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივ ეროვნებათა (სპარსელები, თურქები) მუშების კვალიფიკაციის გადიდებას და მუშათა კადრების ცვალებადობასთან ბრძოლას.

3. აზერბეიჯანის რესპუბლიკანური მრეწველობის განვითარებაში იმ მიღწევებთან ერთად, რომლებიც პროდუქციის გადიდებისა და მუშათა ძალების ზრდის საქმეში არსებობენ, შემჩნეულია უდიდესი დეფექტები, რაც მის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას ჰქმნის: უმომჭირნეობა, არაგეგმიანობა კაპიტალურ მშენებლობაში, თვითღირებულების შეუმცირებლობა მრავალ საწარმოში და სხვ. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს —შეიმუშაოს ღონისძიებათა სისტემა აზერბეიჯანის რესპუბლიკანური მრეწველობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით კაპიტალური მშენებლობის გასაჯანსაღებლად და რაციონალიზატორული მუშაობის გასაშლელად.

4. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ძლიერია კულაკობის პოზიციები და რომ კულაკობა იყენებს მასების ყოფაცხოვრებით და სარწმუნოებრივ ჩამორჩენილობას, მასთან ბრძოლა პრაქტიკაში დღემდე ძალიან მოსუსტებს. ფენებად დაყოფას, მჩეცურ ექსპლოატატორულ ურთიერთობას და ამასთან დაკავშირებით ღარიბთა ინტერესების დაცვის ამოცანებს არ ექცეოდა სათანადო ყურადღება, მიუხედავად იმ სიმწვავისა, რომელიც მათ აქვთ მრავალეროვან რაიონში. ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებით აღნიშნავს დიდ დეფექტებს აზერბეიჯანის წყალთა მეურნეობაში, რომელსაც სოფლის მეურნეობის ამაღლებისა და გარდაქმნის საქმეში გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს, კაპიტალურ მშენებლობაში გეგმიანობის სისტემის არ არსებობას, ყურადღების სისუსტეს ადგილობრივი საირიგაციო სისტემისადმი, სამელიორაციო კოოპერაციის არ არსებობას, რაც ხელს უშლიდა წყალთა სამეურნეო მშენებლობაში ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების ჩაბმას. ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს და აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, შეიმუშაონ ღონისძიებანი აზერბეიჯანის წყალთა მეურნეობის განსამტკიცებლად და წყლის გამოყენების მოსაწესრიგებლად და შესაფერ ღონისძიებათა გეგმა წარმოუდგინონ დასამტკიცებლად საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს. სოფლის რეკონსტრუქციისათვის წარმოებული მუშაობა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის (აბრეშუმი, ბამბა, მატყლი, თამბაქო, ყურძენი) გადამამუშავებელი დარგების განვითარების საშუალებით უფრო მეტად უნდა შეუთანხმდეს აზერბეიჯანის სამრეწველო განვითარებას. უფრო ფართოდ უნდა განვითარდეს აზერბეიჯანის სოფელთან საწარმოო დაკავშირების ფორმები და ენერგიულად გაიშალოს სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა: ბამბისა და პარკის კონტრაქტაცია, საწარმოო კოოპერაცია, განსაკუთრებით მესაქონლეობისა და მებამბეობის რაიონებში, მებამბეობის მსხვილი საბჭოთა მეურნეობები, კოლექტიური მეურნეობები და აბრეშუმის თესლის დამამზადებელი სადგურები. ღარიბ და საშუალო მასების მეურნეობის ზრდის გაძლიერების მიზნით, გამოსწორებულ იქნას მიწის განაწილების დროს დაშვებული შეცდომები, აგრეთვე შემუშავებულ იქნას ღონისძიებანი მომთაბარეთა ბინადრობის განსამტკიცებლად და იაილადების საკითხის მოსაგვარებლად. ც. კ-ი, თვლის რა მუშების სრულიად არა საკმაო გავლენას სოფელზე, წინადადებას იძლევა — მოხდეს პროლეტარული მასების ფართო დარაზმვა სოფლის დასახმარებლად; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მუშათა ისეთი კადრების მომზადებას და აღზრდას, რომლებიც იმუშავებენ სოფლად, აგრეთვე სოფლის მუშაობის ხელმძღვანელ ორგანიზაციებში (მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, სასოფლო-სამეურნეო კრედიტი, აზერბეიჯანის წყალთა სამმართველო, ფინანსთა სახალხო კომისარიატი და სხვ.).

5. კულტურულ მუშაობაში მეტი ყურადღება მიექცეს კულტურული მშენებლობის მასიურ ფორმებს: წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, საყოველთაო დაწყებით სწავლებას, პროლეტარული მასების ინდუსტრიალურ-ტექნიკური ცოდნის ამაღლებას, აგრო-ტექნიკურ და კოოპერატიულ პროპაგანდას გლეხურ მასებში, ახალ თურქულ ანბანს, ბრძოლას კარჩაკეტილობისა და ჩადრის წინააღმდეგ. გადამჭრელი ბრძოლა გამოეცხადოს კულტურულ ამოცანებისადმი (ჩადრის მოხსნა და სხვ.) შემჩნეულ ვიწრო ადმინისტრატიულ მიდგომას, მოხდეს მუშებისა და გლეხების ფართო მასების მობილიზაცია იმ კულტურულ ღონისძიებისათვის აქტიურად მხარის დასაჭერად, რომლებსაც პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ატარებენ. ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულად აღნიშნავს, რომ აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის დროზე არ შეუდგა იმ დიდი შეცდომების გამოსწორებას, რომლებიც დაშვებული იქნა ანტი-სარწმუნოებრივ მუშაობაში (მეჩეთების მასიური დახურვა უბრალო ადმინისტრატიული მიდგომის გზით) და წინადადებას იძლევა მომავალში გაძლიერდეს იდეოლოგიური ბრძოლა სარწმუნოებრივი გავლენის წინააღმდეგ.

6. პარტიაში მუშების შეყვანის დროს ხშირია გატაცება რიცხვით, რის გამოც ადგილი აქვს მიღებულთა ცვალებადობას (მათი „გაცხრილვა" აღწევს 25 პროცენტს), ხოლო ცალკე შემთხვევებში ადგილი აქვს ორგანიზაციების ნამდვილ გაბერვას (ბინაგადში). პარტიაში უკანასკნელ ხანებში იღებდნენ უმთავრესად საზოგადოებრივ მუშაობაში გამოუცდელ მუშებს (60 პროცენტი არ არის ნამყოფი მუშათა აქტივში) და ისეთებს, რომელთაც უმნიშვნელო საწარმოო სტაჟი ჰქონდათ, საჭიროა მომავალში მთავარი ყურადღება მიექცეს იმას, რომ ორგანიზაციების ზრდა, თანახმად საერთო პარტიული დირექტივებისა ხდებოდეს ნამდვილი მოწინავე მუშების ხარჯზე, ხოლო მათი პარტიაში განმტკიცება—ლენინური აღზრდის გაძლიერების ნიადაგზე. ც. კ-ი აღნიშნავს რა სოფლის ორგანიზაციათა ნაწილის არადამაკმაყოფილებელ შემადგენლობას (უცხო ელემენტებთან კავშირი), სოფლის კომუნისტების უკიდურესად დაბალ პოლიტიკურ და კულტურულ დონეს, მათი პოლიტიკური ზრდის სისუსტეს, სოფლის მოჯამაგირეების უმნიშვნელო ჩაბმას, სუსტ შერჩევას პარტიაში მიღების დროს და სოფლის ორგანიზაციების მნიშვნელოვან გაცხრილვას, ანდობს აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს—შეიმუშაოს და გაატაროს ღონისძიებანი სოფლად პარტიული ქსელის განსამტკიცებლად.

7. იმ თვალსაჩინო მუშაობის მედიგად, რომელიც ჩატარებულ იქნა აზერბეიჯანის მშრომელ ქალთა მასების მონობიდან განთავისუფლების საქმეში (ბრძოლა ყოფა-ცხოვრებითი ცრუმორწმუნეობასთან, საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური და კულტურული ღონისძიებანი), შემჩნეულია ქალთა პოლიტიკური აქტივობის ზრდა, რაც განსაკუთრებული სიცხადით საბჭოების გადარჩევის კამპანიის დროს გამოჩნდა. ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა—მიექცეს ყურადღება მშრომელ ქალთა პოლიტიკური აქტივობის განმტკიცებას მათი ჩაბმით საბჭოთა და კოოპერაციის პრაქტიკულ მუშაობაში და ხელმძღვანელ სამუშაოებზე მათი გაბედული წამოყენებით (განსაკუთრებით მუშა და მოჯამაგირე ქალების). ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს მთელ რიგ გამრუდებებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ქალთა საყოფაცხოვრებო მონობისაგან განთავისუფლებისთვის წარმოებულ მუშაობაში და წინადადებას იძლევა, არავითარ შემთხვევაში არ იქნეს მომავალში დაშვებული ადმინისტრატიული ჩარევა და სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნას ეკონომიური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ღონისძიებათა გაშლაზე, მშრომელ ქალთა კულტურული დონის ასამაღლებელი მუშაობის გაძლიერებაზე, თურქ პროლეტარ ქალთა კადრების მომზადებაზე, მათ უფრო ენერგიულად ჩაბმაზე მრეწველობის ძირითად დარგებში, ქალთა გაერთიანებაზე კოოპერატივებში და მათს კოლექტიურ მეურნეობებში ჩაბმაზე.

მოსკოვი. გადმოცემულია ტელეგრაფით.

ბაქოს გაკვეთილები

ძნელია ცუდი რამე დასწერო ბაქოზე. ბაქოს ორგანიზაცია არის ერთ-ერთი უძველესი ბოლშევიკური ორგანიზაცია, საკავშირო კომპარტიის (ბ) ერთ-ერთი საუკეთესო ორგანიზაცია, რომელსაც აქვს ტრადიციები ბაქოს პროლეტარიატის ოცდაათი წლის გმირული ბრძოლისა სოციალიზმისათვის. პროლეტარული რევოლუციის ისტორიაში ბაქომ ბრწყინვალე ფურცლები ჩასწერა. ბაქოს კომუნა, თეთრგვარდიელთა ტყვიებით განგმირული, თავისი 26 კომისრით ამ გმირული ბრძოლის ერთ-ერთი უდიდესი მაგალითია. ბაქო აზერბეიჯანის ცენტრია, ხოლო აზერბეიჯანი არის ცენტრი კომუნიზმის მძლავრი გავლენისა მთელ სამუსლიმანო აღმოსავლეთზე. ბაქოში მოხდა აღმოსავლეთის ხალხების ყრილობა, რომელმაც პან-ისლამიზმისა და პან-თურქიზმის იდეებს დაუპირისპირა აღმოსავლეთის ყველა ხალხის ინტერნაციონალური სოლიდარობის იდეა. ადგილი, რომელიც უჭირავს აზერბეიჯანს, ხოლო აზერბეიჯანში ბაქოს,— ეს ადგილი მოპოვებულია ათი წლის ბრძოლით პოლიტიკურ და კულტურულ ფრონტზე.

აზერბეიჯანში ვხედავთ რთულ პირობებს, რთულ ნაციონალურ გადახლართვას, კულტურათა სხვადასხვაობას და სამეურნეო წყობათა სხვადასხვაობას. აზერბეიჯანს ხარბი თვალით შემოსცქერიან იმპერიალისტები, აქ მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატისტები ყოველ ღონეს მიმართავენ მასების დასაპყრობად. ყველა ამ მტერთან ბრძოლაში იზრდებოდა და მაგრდებოდა ბაქოს ორგანიზაცია, რომელიც ხელმძღვანელობდა აზერბეიჯანის მუშათა კლასის ბრძოლას.

ბაქოზე ძნელია ცუდი რამე დასწერო, მაგრამ ის, რაც ცუდია ბაქოში, მაინც უნდა ითქვას, რათა ბაქოს პროლეტარიატმა და აზერბეიჯანის მშრომელი მოსახლეობის მთელმა მასამ შესძლოს წინსვლა უფრო სწრაფი ტემპით. ბაქო თავისი სიდიდით მესამე ქალაქია საბჭოთა კავშირში. იგი სხვა ქალაქებზე უფრო სწრაფად იზრდება, მასში ეხლავე ირიცხება აზერბეიჯანის მთელი ინდუსტრიალური მუშათა 77 პროცენტი, იგი იძლევა საბჭოთა კავშირის მთელი ნავთის მრეწველობის 62 პროცენტს.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ბაქო თვალსაჩინოდ გაიზარდა სამრეწველო მნიშვნელობის მხრივ. მის მეურნეობაში დაბანდებულ იქნა დიდი თანხები—რამდენიმე ასი მილიონი მანეთი. ბუმბერაზულად გაიზარდა მუშათა საბინაო მშენებლობა, გაყვანილ იქნა ტრამვაი და მოხდა მიმოსვლის ელექტროფიკაცია ქალაქიდან სამრეწველო რაიონამდე. და აი ამ სწრაფ ზრდაში პროლეტარული მასების ჯანსაღი აქტივობის ნიადაგზე, ბაქოს ხელმძღვანელობის ნაწილმა ვერ შეამჩნია მთელი რიგი ავადმყოფური მოვლენანი, რომელთა გამომჟღავნება ბევრად უფრო ადრე იყო საჭირო და შესაძლებელიც. ხოლო როდესაც ამ მოვლენებმა თავი იჩინეს და გაისმა გამაფრთხილებელი ხმები, ბაქოს ორგანიზაციის ზოგიერთმა ხელმძღვანელებმა ბაქოს პროლეტარიატის მთელი ავტორიტეტი გამოიყენეს არა იმისათვის, რომ გაეღვივებიათ მასების აქტივობა ამ ავადმყოფურ მოვლენებთან საბრძოლველად, არამედ იმისათვის, რომ ჩაეხშოთ თვითკრიტიკის ხმა. ბაქოს ორგანიზაცია არაჩვეულებრივად სწრაფად იზრდებოდა, პარტიაში მიღება ხდებოდა საკმაო შერჩევის გარეშე. ხელმძღვანელობას აქა-იქ მიეტმასნენ უვარგისი ელემენტები, ხოლო ორგანიზაციის ხელმძღვანელნი მეტად კმაყოფილნი იყვნენ თავიანთი მუშაობით და დარწმუნებულნი იყვნენ ამ მუშაობის სისწორეში. ასეთი კმაყოფილება და ასეთი რწმენა ხელს უშლიდა მათ კრიტიკულად მოპყრობოდნენ თავიანთი საკუთარი ორგანიზაციის ნაკლს, ხოლო ბაქოს პროლეტარიატის მასიდან ხელმძღვანელობისათვის დაწინაურებულ პირთა მეტად ვიწრო წრემ ვერ გამოიჩინა საკმაო ალღო და საკმაოდ მჭიდრო კავშირი ფართო მასასთან, რათა თავის დროზე სათანადოთ გამოხმაურებოდა მუშაობის ნაკლს. ახალ პირთა არასაკმაოდ დაწინაურება მუშათა მასიდან პარტიული და საბჭოთა აპარატის ხელმძღვანელ პოსტებზე ხელს უწყობდა „ოჯახური" დამოკიდებულების შექმნას. თუ „თავისიანები" შეცდომას სჩადიან, ეს შეცდომები უნდა მიიჩქმალოს, რათა ფართო მასამ ვერაფერი გაიგოს ამ შეცდომების შესახებ,—აი როგორი საშიში ფსიქოლოგია ვითარდება ასეთ ნიადაგზე.

ჯერ კიდევ 1928 წელს თავი იჩინეს ასეთმა საშიშარმა ნიშნებმა სადგურის გადაღმა რაიონში, როდესაც მუშებმა მიუთითეს, რომ ყველაფერი თავის რიგზე ვერ არისო, ბაქოს ორგანიზაციამ ვერ შესძლო თავის დროზე ენერგიულად გამოხმაურებოდა ამ შემთხვევას.

როდესაც თვითკრიტიკის განვითარებისა და მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით, ბაილოვის რაიონის მდივანმა ამხ. არტაკმა გაბედა მითითებია ბაქოს კომიტეტის უმრავლესობისათვის, რომ მემარჯვენე საფრთხის საკითხს საკმაო ყურადღება არ მიექცა ამ საანგარიშო საარჩევნო კამპანიის დროს, რომელიც წინ უძღოდა ბაქოს კონფერენციას, ბაქოს ხელმძღვანელობამ და აზერბეიჯანის ხელმძღვანელობამ მკაცრად გაილაშქრა ამხ. არტაკის წინააღმდეგ. იქ, სადაც საჭირო იყო სათანადო გამოხმაურება კონკრეტულ მითითებებზე, ბაქოს კომიტეტმა ბაქოს პროლეტარიატის მთელი ძალები და მთელი ავტორიტეტი ისევ იმისათვის აამოძრავა, რომ დაემტკიცებია— „შიპკაზე სიწყნარეაო" და ბაქოს ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში არავითარ ნაკლს ადგილი არა აქვსო.

ჩვენ მაშინ ძალიან თავდაბლად მოვაგონეთ ბაქოს ორგანიზაციას, თუ „როგორ არ უნდა დავიცვათ ორგანიზაციის ავტორიტეტი" („პრავდა", № 11, 13 იანვარი 1929 წ.) ბაილოვის რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელობა თითქმის მთლიანად შეცვლილ იქნა იმ უბრალო გახსენებისათვის, რომ „საანგარიშო-საარჩევნო კამპანია დაკავშირებული არ იყო ახსნა-განმარტებით მუშაობასთან, რომელიც სწარმოებდა მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლის საკითხის ირგვლივ". ჩვენ მაშინ ვამბობდით, რომ, თუ ბაქოს ორგანიზაცია თავისი ავტორიტეტის დასაცავად ასეთ ზომებს მიმართავს, ეს „ყოველგვარი თვითკრიტიკის აღსასრულს" მოასწავებსო. ჩვენ ვამბობდით: „გროშად არა ღირს მთელი ჩვენი ლაპარაკი თვითკრიტიკაზე, თუ უბრალო მითითებაც კი იმ ნაკლზე, რასაც საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს ჰქონდა ადგილი, მიჩნეული იქნება ორგანიზაციის ავტორიტეტის შელახვად". ჩვენს წინააღმდეგ მაშინ მთელი ბაქოს ორგანიზაცია დააყენეს ფეხზე. აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამაც კი ვერ შეიკავა თავი იმ ცთუნებისაგან, რომ ბაქოს პროლეტარიატის ავტორიტეტით დაეფარა ბაქოს ორგანიზაციის დეფექტები. მაშინდელი პოლემიკა, რომელშიაც ბაქოს კომიტეტმა დიდი ცალმხრივობა გამოიჩინა, მე დავამთავრე „პრავდა"-ს და „ბაკინსკი რაბოჩი"-ს რედაქციებისადმი მიმართული წერილით. მე ვწერდი: „მე კიდევ უფრო ვრწმუნდები იმაში, რომ ბაქოს კომიტეტის არასწორმა, ჩემის თვალსაზრისით, ნაბიჯებმა ზიანი მიაყენეს თვითკრიტიკას".

ჩვენი გამაფრთხილებელი ხმა არ იქნა მიჩნეული მეგობრულ ხმად, თუმცა ბაქოს კომიტეტს მაშინაც ჰქონდა ცნობები ისეთი ფაქტების შესახებ, როგორიცაა პროლეტარული დიქტატურის ზოგიერთ მეტად მნიშვნელოვან ორგანოებში გახრწნის არსებობა, რასაც იგი უფრო სერიოზულად უნდა დაეფიქრებინა ხელმძღვანელობის სისწორის საკითხზე. რომ ამხ. არტაკის საქმე გაბერილი იყო, ამას ეხლა თვითონ ბაქოს ორგანიზაციის ხელმძღვანელნი აღიარებენ. ამან გამოხატულება ჰპოვა ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის რეზოლუციაში და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში. მაგრამ განა ეს რამდენიმე თვის წინად აშკარა არ იყო? მაშინ თვითკრიტიკას დიდი ზიანი მოუვიდა და მისი იმ შეზღუდვის ნიადაგზე, რომლის შედეგიც უეჭველია იყო ამხ. არტაკის მთელი საქმე, შეიძლებოდა აღმოჩენილიყო არა მარტო ასეთი მტკივნეული მოვლენები. ყველაზე საშიში და ცუდი ის იყო, რომ ბაქოს ორგანიზაცია ამის შემდეგ განაგრძობდა თავისი უცოდველობის მტკიცებას. მაშინაც კი როდესაც ბევრ ორგანიზაციაში უკვე აღმოჩენილ იქნა მტკივნეული მოვლენები, ბაქოს კომიტეტის მდივანმა ბაქოს კომიტეტის მეოთხე პლენუმზე 1 ივნისს სთქვა, რომ „ზოგიერთ საფეხურებზე არსებობენ, გახრწნის ელემენტები, რომ „ჩვენი ორგანოების ზოგიერთ წევრთა შორის და ზოგიერთ საფეხურებზე არსებობს შინაურულობის ნიშნები", პარტიისა და მუშათა კლასისაგან მოწყვეტის შემთხვევები, რომ ზოგჯერ არა სურთ აწყენინონ ამხანაგს, თუნდაც გრძნობდნენ, რომ ამ ამხანაგმა ჩაიდინა, ისეთი შეცდომა, რომლისთვისაც იგი უნდა დაისაჯოს, რომ „პარტიის ზოგიერთი წევრი სცილდება პარტიულ იდეოლოგიას და ითვისებს ბურჟუაზიულ ჩვეულებებს, ზნეს, ტრადიციებს და სხვ.", რომ „ზოგიერთი კომუნისტი მეშჩანობის ჭაობში ჩაიძირა" და სხვ., მაგრამ მას არაფერი უთქვამს ხელმძღვანელობის ნაკლზე. ბაქოს კომიტეტის აზრით, ხელმძღვანელობა ფრიად დიდ სიმაღლეზე იდგა. ბაქოს კომიტეტის მდივანმა ამხ. მირზოიანმა იმავე სიტყვაში მოიხსენია უვარგისი ხელმძღვანელობის ყველა ნიშანი და იკითხა: შეიძლება თუ არა ასეთი დიდი ნაკლი დაბრალდეს აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელ ორგანოებს, და თითონვე უპასუხა: „თუ ხელმძღვანელობის მიმართ საკითხს ასეთნაირად დავსვამთ, დავინახავთ, რომ ხელმძღვანელობის უვარგისობის შესახებ ლაპარაკი ოდნავადაც არ შეიძლება".

თუ სწორედ ასეთი თვალსაზრისით მიუდგებით ჩვენს ხელმძღვანელობას, ყველა დაინახავს, რამდენად იდგა თავის სიმაღლეზე აზერბეიჯანის ცენტრალური კომიტეტის და ბაქოს კომიტეტის პრეზიდიუმი. ამ ხელმძღვანელობის სისუსტის მითითების ყოველგვარ ცდას ბაქოს კომიტეტი ხვდებოდა იმით, რომ „ბაკინსკი რაბოჩი"-ში იმათ წინააღმდეგ, ვინც ნებას აძლევდა თავს გაეკრიტიკებინა ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელობა, „იბეჭდებოდა წერილები სათაურებით: „ცილისწამების ნებას არავის მივსცემთ", „გამანადგურებელი წინააღმდეგობა ცილისწამებლებს, რომლებიც ჩრდილს ხსნიან პარტიულ ხელმძღვანელობას" და სხვ.

ასეთ პირობებში, როდესაც საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისთვის აშკარა გახდა, რომ ბაქოს ორგანიზაციის ხელმძღვანელობას არა აქვს უნარი კრიტიკულად შეხედოს საკუთარ ნაკლს და უზრუნველჰყოს წინსვლა, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს არადამაკმაყოფილებლად უნდა ეცნო ეს ხელმძღვანელობა და დაესვა საკითხი მისი შეცვლის შესახებ.

მხოლოდ ამას წინად დამთავრდა ბაქოს ორგანიზაციის ხელმძღვანელი შემადგენლობის წმენდა. მან გვიჩვენა, რომ, ახალ პროლეტარულ ძალთა დაწინაურების თვალსაზრისით ეს შემადგენლობა არა საკმაო სერიოზულობით იყო შერჩეული. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას საკონტროლო ორგანოების შემადგენლობის შესახებ. შეიძლება აზერბეიჯანის ორგანიზაციაში ეს ყველაზე უფრო სუსტი ადგილია.

რა მთავარი გაკვეთილების გამოტანა შეიძლება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან აზერბეიჯანის ორგანიზაციის შესახებ?

თვით საღი ორგანიზაციაც კი,—ხოლო აზერბეიჯანის ორგანიზაცია ძირითადად საღ ორგანიზაციას წარმოადგენს,—შეიძლება საფრთხეში ჩავარდეს, თუ ორგანიზაციის ხელმძღვანელები ყურს მოიყრუებენ იმ გამაფრთხილებელი ხმების მიმართ, რომლებიც გაისმის მტკივნეული მოვლენების შესახებ, თუ ისინი ვერ შესძლებენ დროზე დარაზმონ პარტიის და მთელი მუშათა კლასის საზოგადოებრივი აზრი ამ მტკივნეული მოვლენების წინააღმდეგ საბრძოლველად.

თვით ყველაზე საღი ორგანიზაციაც შეიძლება სერიოზულ საფრთხეში ჩავარდეს, თუ თავის ორგანიზმში დაუშვებს თუნდაც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი უჯრედის დაავადებას.

დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს შინაურულობას, ერთმანეთის დაფარვას და დაუზოგველად და სწრაფად უნდა გამომჟღავნდეს მტკივნეული ადგილები, განსაკუთრებული გაბედულობით უნდა გამოეცხადოს მათ ბრძოლა, როდესაც ისინი ჩნდებიან ხელმძღვანელ ორგანოებში, ვინაიდან აქ ისინი შეიძლება ყველაზე დამღუპველნი აღმოჩნდნენ.

თვითკრიტიკა და შინაპარტიული დემოკრატია—არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით, დაუნდობელი ბრძოლა ამ თვითკრიტიკის დევნის წინააღმდეგ და ამ ბრძოლის მიყვანა ბოლომდე! ამ ბრძოლაში შეუძლებელია შუა გზაზე შეჩერება, ვინაიდან ასეთ რთულ მდგომარეობაში თვითკრიტიკის განვითარების გარეშე უბრალო გაფხაჭნილიც კი, რომელიც დროზე არ იქნება მორჩენილი, შეიძლება სენის გავრცელების კერად გადაიქცეს.

მეტი სიმართლე მთელს მუშაობაში! არ უნდა გამოვეკიდოთ ზერელე მიღწევებს და პარტიული ორგანიზაციის ზერელე ზრდას.

მეტი ყურადღება, სოფლის და სასოფლო ორგანიზაციას! ჩვენ ამ საკითხზე საგანგებოდ არ შევჩერდებით, რადგან ამ მოვლენების შეფასება მოცემულია რეზოლუციაში, მაგრამ ჩვენ განსაკუთრებით საჭიროდ მიგვაჩნია ამ მხარეს მივაქციოთ ყურადღება. აზერბეიჯანის სოფელში მუშაობა განსაკუთრებით რთულია, ვინაიდან ეს სოფელი მრავალეროვანია. აქ არიან თურქები, სომხები, ქურთები, ლეკები და ტალიშები. იგი ჯერ კიდევ ვერ ეზიარება სოციალისტურ კულტურას.

საჭიროა მუშათა კადრების, კერძოდ, ადგილობრივი თურქული პროლეტარიატის რიგებიდან უფრო სერიოზული და ინტენსიური დაწინაურება და აღზრდა.

აზერბეიჯანის და, განსაკუთრებით, ბაქოს ორგანიზაციას უდიდესი პროლეტარული აქტივი მოეპოვება და მას რევოლუციის წინაშე დიდი დამსახურება მიუძღვის. მით უფრო ვალდებულია იგი დარაზმოს საუკეთესო პარტიული ძალები და მთელი პარტია იმ დეფექტებთან საბრძოლველად, რომლებიც აღნიშნულია ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციაში. მას, როგორც ძირითადათ საღ ორგანიზაციას, მოეპოვება საკმაო ძალა, რომ სწრაფად გამოასწოროს ის მტკივნეული მოვლენები, რომელთა შესახებაც ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაშია ლაპარაკი.

პარტკონფერენციამ არ უნდა დაივიწყოს განსაკუთრებით ის, რომ მას დიდი პასუხისმგებლობა აწევს აღმოსავლეთის მრავალეროვანი მასების წინაშე და რომ მისი მიღწევები ნიშნავს სოციალიზმის გამარჯვებას არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებშიაც. დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ხელს შეუწყობს ბაქოს ორგანიზაციას უფრო მეტად განამტკიცოს კომუნიზმის საქმე აზერბეიჯანსა და მთელ აღმოსავლეთში.

ე. იაროსლავსკი

მოსკოვი, გადმოცემულია ტელეგრაფით.

ხელმძღვანელობა ჩამორჩებოდა მუშათა მასების აქტივობის ზრდას

აზერბეიჯანის პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა

აზერბეიჯანს, კერძოდ, ბაქოს სამრეწველო რაიონს, უდიდესი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა აქვს ამიერ-კავკასიისა და საბჭოთა კავშირისათვის. აქ არის თვალსაჩინო კვალიფიციური მუშათა უდიდესი უმრავლესობა. მათ უმეტესობას შეადგენენ მკვიდრი ეროვნებანი—თურქები, სპარსელები და სომხები. საკმაოა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირის აზერბეიჯანის ნაწილში 115 ათასი ინდუსტრიალური მუშაა, რომელთა უმრავლესობა თავმოყრილია ბაქოში—კავშირის ამ უდიდეს პროლეტარულ ცენტრში. ბაქო გვაძლევს მთელი საბჭოთა კავშირის ნავთის პროდუქციის 62,5 პროცენტს. აზერბეიჯანი იძლევა ამიერ-კავკასიის მთელი ბამბის 80 პროცენტს, აზერბეიჯანის მაგალითი ნათლად გვიხატავს იმ უდიდეს ყურადღებას, რომელსაც საბჭოთა კავშირი აქცევს ეროვნული რესპუბლიკების სამეურნეო და კულტურულ განვითარებას. საკმაოა აღვნიშნოთ, რომ კაპიტალური ხარჯები „აზნეფტ"-ში უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში შეადგენენ ნახევარ მილიარდ მანეთზე მეტს (546 მილიონ მანეთს). გარდა ამისა, სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის აზერბეიჯანში, სადაც სულ 2.301 ათასი კაცი სცხოვრობს, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში რესპუბლიკანური მრეწველობის კაპიტალურ მშენებლობაში დაბანდებულ იქნა 30 მილიონი მანეთი, სოფლის მეურნეობის აღსადგენად 48 მილიონი მანეთი, კულტურული მშენებლობის საბიუჯეტო ხარჯები (გარეშე ხაზინის სახ. კომისარიატის ხაზით) — 69 მილიონი მანეთი.

სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი აზერბეიჯანში

სოციალისტურ მშენებლობას აზერბეიჯანში ბევრი მიღწევა აქვს. ამის ძირითად მაჩვენებლად შეიძლება მოვიყვანოთ: ნავთის მეურნეობის ძირიანი გარდაქმნა ბაქოში, ამოღების ძველი სისტემიდან ამოქაჩვის სისტემაზე გადასვლა, ღრმა საქაჩავების გამოყენება ნავთის ამოსაღებად, სარეწაოების 95 პროც.-ის ელექტროფიკაცია, კრეკინგების შემოღება, და, ბოლოს, ბაქო-ბათუმის მძლავრი ნავთსადენის გაყვანა. ამის შედეგად 5 წლის განმავლობაში ამობურღვა აზერბეიჯანში გაიზრდება ერთი-სამად, ნავთის გადამუშავება ერთი-ორად, ბენზინის დამუშავება—ერთი ორად. ძალიან მოიმატებს ექსპორტი.

რესპუბლიკანური მრეწველობის განვითარების ტემპი 1 ნახევარჯერ უფრო სწრაფია, ვიდრე საბჭოთა კავშირში. საერთო პროდუქცია სამი წლის განმავლობაში გაიზარდა 26-დან 45 მილიონ მან.-მდე. ვითარდებიან ახალი სამრეწველო კერები განჯაში (სართავ-საქსოვი ფაბრიკა 4.000 კაცით) და ნუხაში (აბრეშუმის სართავი ფაბრიკა 2.000 კაცით).

სოფლის მეურნეობაში ნათესის სივრცე, 1914 წელთან შედარებით, გაიზარდა 7 პროცენტით, მემინდვრეობა ავიდა 1913 წლის დონემდე, მუშა-საქონლის მხრივ ეს დონე გადაცილებულია 13 პროც.-ით. მანქანების მიწოდება 5 წლის განმავლობაში გაიზარდა 7-ჯერ. მიმდინარე წლის გაზაფხულზე გაყიდული გუთნების რაოდენობა უდრის ექვსი წლის განმავლობაში გაყიდული გუთნების 23 პრ.-ს. აგებულ იქნა ძლიერი საცდელ-საჩვენებელი სასელექციო და ზოოტექნიკური სადგურები 2 მილიონი მანეთზე მეტი ღირებულებისა.

ფართოვდება სკოლებისა და კულტურულ დაწესებულებების ქსელი. სკოლების რაოდენობა, ომის წინადროსთან შედარებით, გაიზარდა ერთი-ორად. თურქი ბავშვების რიცხვი სკოლებში გაიზარდა 15-დან 140 ათასამდე. რევოლუციამდე წერა-კითხვის მცოდნენი თურქ მოსახლეობას შორის სრულებით არ იყვნენ, ეხლა კი წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი 10 პრ.-ს უდრის. აზერბეიჯანის მიღწევა კულტურულ ფრონტზე გამოიწვია ახალი თურქული ანბანის გავრცელებამ, რომელიც საძირკველს უთხრის ძველ არაბულ ანბანს. აზერბეიჯანი ამ საქმეში პიონერი და ინიციატორია. ამ ქვეყნის პოლიტიკური და სამეურნეო განმტკიცების ფონზე და პარტიის სწორი ეროვნული პოლიტიკის ნიადაგზე მაგრდება ეროვნული მშვიდობიანობა და თანამშრომლობა ამიერ-კავკასიის ხალხებს შორის.

აქ უნდა მოვიგონოთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აზერბეიჯანში ძალიან იყო განვითარებული ეროვნული შუღლი და მტრობა. მუსავატელების, დაშნაკელების და მენშევიკების მთავრობების დროს ამიერკავკასიაში 1920 წელს ცნობილმა სომეხთათართა ჟლეტამ შეიწირა მრავალი ათასი ადამიანი, ასობით გაანადგურა სოფლები, მიწამდე დაანგრია ისეთი ქალაქები, როგორიცაა შუშა, სადაც მხოლოდ ერთ ღამეს ამოჟლიტეს 8.000 სომეხი. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში კი ადგილი არა ჰქონია თურქებსა და სომხებს შორის მასიური ან ჯგუფური მტრული შეტაკების არც ერთ შემთხვევას. შეიქმნა ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ წარმატებით მუშაობას ეროვნებათა შორის.

იზრდება ფართო მასების აქტივობა აზერბეიჯანის სოც. მშენებლობაში. საბჭოების გადარჩევის დროს ამომრჩეველთა მონაწილეობა 60 პრ.-დან გაიზარდა 72 პრ.-მდე, შეკავშირებულ მუშებს შორის კი—70 პრ.-დან 89 პრ.-მდე, მოჯამაგირეებს შორის—59 პრ.-დან 84 პრ.-მდე. განსაკუთრებით გაიზარდა თურქი ქალების პოლიტიკური აქტივობა. საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო თურქი ქალების 60 პრ.-მა. მასიური ხასიათი მიიღო თურქი ქალების მოძრაობამ კარჩაკეტილობის და ყოფა-ცხოვრების ძველი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში. მუშათა მასების ამ აქტიობის ზრდის ნიადაგზე იზრდება მათი ნდობა მუშათა კლასის პარტიისადმი. წარმატებით მიმდინარეობს მუსავატისტ-იტიხადისტ-დაშნაკელთა და სამღვდელოების სხვადასხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ კლერიკალური გავლენის დაძლევა.

ორგანიზაციის ავადმყოფური მოვლენები და ფაქტები

აზერბეიჯანის კომპარტიას მთლიანად, განსაკუთრებით მის მოწინავე პროლეტარულ ორგანიზაციას—ბაქოს ორგანიზაციას უდიდესი მიღწევები აქვს. მან ბოლო მოუღო მუსავატისტების, იტიხადისტების და დაშნაკელების პოლიტიკურ გავლენას. მან სძლია ნაციონალისტური გადახრები თავის წრეში და მიაღწია თავისი რიგების მეტ იდეურ დარაზმვას ლენინიზმის საფუძვლებზე. იგი სასტიკად ებრძვის ტროცკიზმს და სხვა ანტილენინურ გადახრებს, მკაცრი იერიშით უკუაგდებს მემარჯვენე უკლონისტებს.

მაგრამ მიუხედავად ყველა ამ მიღწევისა და მასების დიდი აქტივობისა, აზერბეიჯანის კომპარტიის მუშაობაში არის მთელი რიგი უდიდესი დეფექტები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მთავარ ფრონტზე. მეტიც: მრავალი ცნობა ამტკიცებს, რომ დამაკმაყოფილებელი არ არის აზერბეიჯანის კომპარტიის ხელმძღვანელობა. ამას მოწმობენ ის ავადმყოფური მოვლენები, რომლებიც უკანასკნელ დროს გამომჟღავნდნენ. აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის მიერ 1929 წელს განხილულ საქმეთა შორის არის სადგურის გადაღმა რაიონის კომიტეტის ზედაფენის გახრწნის საქმე (მიხაილოვის საქმე). რაიკომის ზედაფენა მისდევდა ლოთობას, პირადი საჭიროებისათვის იყენებდა დიდ ავანსებს, მას კავშირი ჰქონდა უცხო ელემენტებთან და სხვ. იგივე მოხდა ლენინის რაიონში აგიტპროპგანყოფილების პასუხისმგებელ მუშაკთა შორის (ვირიპაევის საქმე). ბინაგადის რაიონის გამოკვლევამ აღმოაჩინა ხელმძღვანელების მოწყვეტა მასებისაგან, კომუნისტების ნაწილის შეზრდა კულაკებთან (სადილის გამართვა კულაკებთან 26 ბაქოელი კომუნარის დახვრეტის წლის თავზე) ყაზახის მაზრაში აღმოჩენილი „იარა" გვიჩვენებს სამაზრო კომიტეტის ზედაფენის სრულ გახრწნას, სამაზრო კომიტეტის მდივნის კავშირს კულაკებთან, ლოთობას, გაფლანგვას, მოწყვეტას ღარიბ-საშუალო მასებისაგან, რასაც მოჰყვა ყოფილი მუსავატისტების მოკალათება სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელ ხაზებში. ლენქორანის მაზრაში ხელმძღვანელი შემადგენლობის ნაწილის კინკლაობის, ინტრიგების და გახრწნის გამო, სამაზრო კომიტეტმა ვერ შესძლო თავის დროზე აღეკვეთა კლასობრივი ხაზის და ეროვნული პოლიტიკის დამახინჯება. პერმანენტულმა კინკლაობამ და ინტრიგებმა მთიანი ყარაბახის საოლქო ორგანიზაციაში გამოიწვიეს აქტივის დასუსტება და ქვედა-საფეხურის პარტიულ საბჭოთა აპარატის დაშლა (ჯერაბერტი). ბოლოს, გორბაჩენკოს, მოროზის და სხვათა საქმე—მათ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებანი მოწმობენ ხელმძღვანელი მუშაკების ნაწილის თითქმის სრულ გახრწნას.

მეორე დიდ ნაკლს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ, მიუხედავად უდიდესი პროლეტარული რეზერვებისა ბაქოში, მათი გავლენა სახელმწიფო აპარატსა და სოფელზე ყოვლად უმნიშვნელოა. ისეთ მეტად მნიშვნელოვან ორგანოებში, როგორიც არიან ს. მ. უ. საბჭო, დიდი ტრესტები, მათ შორის „აზნეფტ"-ი, კასპიის სანაოსნო საზოგადოება, ხელმძღვანელების, განყოფილებათა და ქვეგანყოფილებათა გამგეების, ინსტრუქტორების და ინსპექტორების შემადგენლობაში 448 კაციდან მუშების რიცხვი უდრის მხოლოდ 44 კაცს. განათლების და ფინანსთა სახ. კომისარიატის კოლეგიებში, იუსტიციის სახ. კომისარიატის და პროკურატურის პასუხისმგებელ მუშაკებს შორის არც ერთი მუშა არ არის. ფინანსთა, მიწათმოქმედების და იუსტიციის სახ. კომისარიატების განყოფილებათა და ქვეგანყოფილებათა გამგეებს შორის 46 კაციდან მუშაა მხოლოდ ხუთი. ინსპექტორებს შორის მხოლოდ 1 მუშაა. განსაკუთრებით ნათლად გვცემთ თვალში პროლეტარული გავლენის სისუსტე იმ დაწესებულებებში, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სოფლად მუშაობასთან. ასე, მაგალითად, აზერბეიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველოში 44 კაციდან არც ერთი არ არის მუშა, კოლმეურნეობათა ცენტრში—15 კაციდან მუშაა მხოლოდ 1 კაცი, სამომხმარებლო, ბამბის და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში 159 კაციდან მუშაა მხოლოდ 8, ამ ორგანოების განყოფილებათა და ქვეგანყოფილებათა გამგეებს შორის 49 კაციდან არის მხოლოდ ერთი მუშა, ინსპექტორებს შორის 52 კაციდან მუშა ერთია.

მესამე ნაკლს წარმოადგენს ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის და ცალკე კომუნისტის მეტად უმნიშვნელო როლი აზერბეიჯანის სამეურნეო-კულტურულ მშენებლობაში. თუმცა წარმოებაში არის ზოგიერთი გაუმჯობესება, მაგრამ უჯრედებმა, რაიკომებმა და მაზრკომებმა, მცირეოდენი გამონაკლისით, ჯერ კიდევ ვერ დარაზმეს მასები თვითღირებულების შემცირების, შრომის დისციპლინის განმტკიცების სხვა თვისებრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების ირგვლივ. უფრო მეტიც—ზოგიერთ საწარმოში ადგილი ჰქონდა ისეთ ფაქტებს, როცა კომუნისტები, იმის მაგივრად, რომ ებრძოლათ რაციონალიზაციისათვის, მეთაურობდნენ პროტესტებს, სამუშაო დღის შემჭიდროვების წინააღმდეგ. კოლხელშეკრულებათა კამპანიაში და სამეურნეო სიძნელეებთან ბრძოლაში კომუნისტებს ხშირად ეჭირათ მაჩანჩალური პოზიცია (ვოლოდარსკის სახელობის ქარხანა, მონტინის და სხვ. ქარხნები).

უმნიშვნელოა კომუნისტების როლი სოფლის მეურნეობის გარდაქმნაში. 440 კოლმეურნეობიდან უჯრედი არსებობს მხოლოდ სამ კოლმეურნეობაში. პარტშემადგენლობა კოლმეურნეობათა წევრებს შორის შეადგენს სულ 3 პროცენტს. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ზოგიერთ მაზრაში (სალიანის და აღდამის) კომუნისტები ხშირად კოლმეურნეობის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. ქურდისტანში 1928 წელს სამაზრო კომიტეტის მდივანმაც კი აუკრძალა პარტიულებს კოლმეურნეობებში მონაწილეობა. აქ უნდა აღვნიშნოთ კომუნისტების სუსტი მონაწილეობა სიძნელეებთან, კერძოდ სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლაში. ავიღოთ, მაგალითად, კალიებთან ბრძოლის ფრონტი ჯებრაილში, სადაც მობილიზაცია უყვეს მოსახლეობას კალიასთან საბრძოლველად. სულ გამოცხადდა 300 კაცი, მათ შორის კომუნისტი იყო მხოლოდ ორი. სალიანში, მიწურსალის არხის გარღვევის დროს 500 მომუშავე გლეხიდან კომუნისტი იყო მხოლოდ სამი. ამავე დროს თვითეული ზემოხსენებული რაიონის პარტიულ ორგანიზაციაში ირიცხება 100 კაცზე მეტი.

კიდევ უფრო სუსტია კომუნისტების როლი კულტურულ მშენებლობაში. კომუნისტებს შორის სოფლად წერა-კითხვის სრული უცოდინარია 67 პროცენტი, პოლიტუცოდინართა რიცხვი 80 პრ.-ს აღწევს. ამასთან არის დაკავშირებული მათი სუსტი გავლენა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში—კომუნისტების 40 პროცენტი ზოგიერთ რაიონში, ბაქოს ორგანიზაციაც კი, აიძულებს ცოლებს ატარონ ჩადრი, ხოლო ნაწილი კვლავ დადის მეჩეთში.

კარჩაკეტილი აქტივი

რა არის აზერბეიჯანის კომპარტიის მუშაობის ჩამოთვლილი დეფექტების მიზეზი?

უპირველესად ყოვლისა ის, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელ ნაწილში, დაახლოვებით ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში, შესდგა მჭიდროდ შეკავშირებული ჯგუფი, რომელიც ორგანიზაციის მუშაობას აფერხებდა. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ბაქოს ცხრა რაიონში ადგილი არ ჰქონია ქვედა საფეხურებიდან რაიკომების ხელმძღვანელ აპარატში დაწინაურებას. ყველა 14 სამაზრო კომიტეტში აღნიშნულ დროს განმავლობაში მდივნებად ერთი და იგივე პირნი რჩებოდნენ. ეს ჯგუფი ემიჯნებოდა პარტიულ მასას. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ.-ის პრეზიდიუმის 1929 წლის 4 თებერვლის დადგენილება, რომლის ძალითაც პრეზიდიუმის სხდომაზე დასწრების უფლება ჰქონდა მხოლოდ ცხრა ამხანაგს.

შინაურულობის მაჩვენებელია „თავისიანების" დეფექტებისა და შეცდომების მიჩქმალვის ფაქტები. სასტიკი გადაწყვეტილებებისა და საჩვენებელი პროცესების ნაცვლად, ამ უარყოფითი მოვლენების ლიკვიდაცია ხდებოდა აპარატის გზით, საჭირო გაბედულობის გარეშე. ასე, მაგალითად, ვირიპაევს სასწავლებელში მგზავნიან, მიხაილოვი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის მიერ ორი წლით საპასუხისმგებლო სამუშაოდან მოხსნილი, ჯერ საწარმოში რჩება, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ მას ისევ რაიკომის წევრად ირჩევენ. რაიონული საბჭოს თავმჯდომარესა და მდივანს გაფლანგვისათვის, ქეიფობისათვის და კერძო ვაჭართან კავშირის დაჭერისათვის პირობითი სასჯელი გადაუწყვიტეს. ლენინო-სურახანის საარაიონო საბჭოს პასუხისმგებელ მუშაკთა საქმე, რომელიც დაკავშირებული იყო ყოფილ ნავთის მეპატრონეთაგან მიწის ყიდვასთან, თითქმის მთელი წლის განმავლობაში უმოძრაოდ რჩება.

დეფექტების მისაფუჩეჩებლად მთელი რიგი პასუხისმგებელი მუშაკები ხანდისხან სიყალბესაც მიმართავდნენ. მაგალ., როდესაც ჩვენ ნუხაში ორგანიზაციის მუშაობას ვიკვლევდით (1929 წლის აპრილში), აღმოჩნდა, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ.-ის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი ქარხნის უჯრედებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ განხილული. იმავე ღამეს შედგენილ იქნა მე-3 და მე-5 ქარხნის უჯრედების ყალბი ოქმები ფიქტიური დადგენილებებით თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების შესახებ.

შინაურულობისა და ერთმანეთის დაფარვის აშკარა მაგალითს წარმოადგენს აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ.-ის დაჟინებითი მოთხოვნა, მიმართული ამ.-კავკასიის სამხარეო კომიტეტისადმი, იმის შესახებ, რომ გორობჩენკოს, მოროზსა და სხვებს პირობითი სასჯელი გადაუწყვიტონ და არ დააპატიმრონ. უფრო მეტიც: აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის ხელმძღვანელების ინიციატივით, ძველი ბოლშევიკების სახელით მოსკოვში იგზავნება კომისია, რომელშიაც შედის აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრ. საკ. კ. პარტკოლეგიის პასუხისმგებელი მდივანი, რათა აღძრათ შუამდგომლობა გორობჩენკოს, მოროზისა და სხვებისათვის სასჯელის შემსუბუქების შესახებ.

ავადმყოფურ მოვლენათა მეორე მიზეზს წარმოადგენს თვითკრიტიკის სუსტი გაშლა. ეჭვს გარეშეა, რომ ორგანიზაციაში ადგილი ჰქონდა მასების თვითკრიტიკის შეზღუდვას. ეს აშკარად სჩანს ეგრედ წოდებული არტაკის საქმიდან. მისი და ბაილოვის რაიონის აქტივის გამოსვლა რამდენადმე უკვე მაჩვენებელი იყო ბაქოს ორგანიზაციის არანორმალური რეჟიმისა. მიუხედავად ამისა, ამ აქტივის შენიშვნებს არა თუ არ გაუწიეს ანგარიში, პირიქით, იმ დეფექტების კრიტიკისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელობაში, თითქმის მთელი ბაილოვის აქტივი დათხოვნილ იქნა.

პრესას წვრილმან კონტროლს უწევდა აპარატი. გაზეთების რედაქტორებად, „ვიშკო"-ს გარდა, პარტკომების მდივნები და საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეები იყვნენ. გაზეთებში უკანასკნელი ადგილი ეჭირა იმ შენიშვნებს, რომლებიც პარტიული ორგანიზაციების მუშაობის დეფექტებს ეხებოდა. ზოგიერთ გაზეთში (მაგ., „ბაკინსკი რაბოჩი"-ში) ასეთს შენიშვნებს სულ არ ათავსებდნენ.

მესამე მიზეზს წარმოადგენს ის, რომ უდიდესი პროლეტარული რეზერვებისა და მასების აქტივობის ზრდის პირობებში თითქმის არ ხდებოდა მუშათა დაწინაურება. ავიღოთ, მაგალითად, იგივე ბაქოს საბჭო, მისი უდიდესი საწარმოებით და 40 მილიონიანი ბიუჯეტით: იქ ხუთი წლის განმავლობაში საპასუხისმგებლო სამუშაოზე დაწინაურების წესით წამოუყენებიათ სულ 10 მუშა წარმოებიდან. ისეთს პროლეტარულ ორგანიზაციაში, როგორიც არის ბაქოს ორგანიზაცია, რევოლუციის მე-12 წელს პროპაგანდისტებს შორის მარტო 26 დაწინაურებული მუშაა.

მეოთხე მიზეზად უნდა ჩაითვალოს ხელმძღვანელობის ხარისხი. ამ ხელმძღვანელობას, კონკრეტიულ ხელმძღვანელობის ნაცვლად, დეკლარატიული ხასიათი ჰქონდა. ხშირად გამოჰქონდათ საერთო ხასიათის რეზოლუციები, რომელთაც ადგენდნენ აჩქარებით, საკითხის დაწვრილებით შეუსწავლელად. მხედველობიდან გამოშვებული იყო მშენებლობის მთელი რიგი ძირითადი პრობლემები, ისეთი საკითხები, როგორიც არის რესპუბლიკანური მრეწველობა, სოფლის მეურნეობის გარდაქმნა, წყალთა მეურნეობა, საადგილმამულო, ბამბისა და სხვა საკითხები. დამახასიათებელია ის, რომ სრულებით შესწავლილი არ არის ფენებად დაყოფის საკითხი. ბევრ შემთხვევაში ადგილი აქვს საკითხებისადმი არასერიოზულ მიდგომას. ყოვლად დაუშვებლად მიუდგნენ ურთულეს საკითხს, რომელიც შეეხება ყოფა-ცხოვრების ნაშთებთან ბრძოლას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეჩეთების მასიურად დახურვა, გამოცემა ბრძანებებისა იმის შესახებ, რომ ქალებს ეკრძალებათ ჩადრის, ხოლო კაცებს—ფაფახის ტარება; ბრძანება იმის შესახებ, რომ მოსწავლეებს ეკრძალება სიარული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათ შორის კლუბებში, კინოებში და თეატრებში.

მეხუთე მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ პარტიულ-აღმზრდელობით მუშაობას განყენებული ხასიათი აქვს. მაგ., სკოლის პროგრამებში სულ არ არის გამოხატული ხუთწლიანი გეგმისა და კოლექტივიზაციის მნიშვნელობა. მასიური პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა თავისი შინაარსით სულ არ ექვემდებარება კულტურული დონის აწევის საქმეს, აგრეთვე ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებს. აღმზრდელობითი მუშაობის არადამაკმაყოფილებელი შინაარსის წყალობით ბევრი შორდება ორგანიზაციას. ასე, მაგ., ბაქოს ორგანიზაციის კანდიდატებიდან კომგანათლების ქსელში მოქცეულია, 30,7 პროცენტი, ხოლო ბინაგადის რაიონში — 8 პროც.

პარტიის რიგებიდან ჩამოშორება

იმ დეფექტებთან, რომელთაც ადგილი ჰქონდა მასიურ მუშაობაში, დაკავშირებულია აზერბეიჯანის კომპარტიის შემადგენლობის ორგანიზაციული განმტკიცების დეფექტები. ბაქოს ორგანიზაცია უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში 18 ათასიდან 28 ათას კაცამდე გაიზარდა, ხოლო საწარმოს მუშათა რიცხვი —55 ათასიდან 69 ათასამდე. კომპარტიის საერთო ზრდასთან და მისი მუშური ნაწილის რიცხვის გადიდებასთან ერთად ადგილი ჰქონდა მრავალ უარყოფით მოვლენას. ბაქოს ორგანიზაციას ყოველწლიურად შორდება მუშათა საგრძნობი ნაწილი. 1928 წელს ორგანიზაციამ დაჰკარგა ამ პერიოდში მიღებულთა საერთო რიცხვის 18,2 პროცენტი. ამასთან 1928 წელსა და 1929 წლის პირველი 4 თვის განმავლობაში ორგანიზაციამ დაჰკარგა საწარმოს 1.413 მუშა ანუ ამ დროს განმავლობაში მიღებულთა საერთო რიცხვის 25 პროც. „მკვდარი" სულების სიმრავლე უპირველესად ყოვლისა აიხსნება მასების, განსაკუთრებით თურქი და სპარსელი მუშების სუსტი მომზადებით პარტიაში შესასვლელად და კანდიდატთა შორის არადამაკმაყოფილებელი მუშაობით. პარტიაში მიღებულთა შორის 63 პროცენტს არ გაუვლია საზოგადოებრივი მუშაობის სკოლა, ხოლო 54 პროცენტს არ გაუვლია პოლიტიკური ანბანის სკოლა. აქედან სავსებით აშკარაა, რომ პარტიაში შესვლა სტიქიურად მიმდინარეობდა და უპარტიო აქტივთან მუშაობას საკმაო ხელმძღვანელობა არ ეწეოდა.

უფრო სამწუხარო სურათს ვხედავთ სოფლის ორგანიზაციების ზრდისა და ხელმძღვანელობის საქმეში. აღსანიშნავია, რომ სოფლის მოჯამაგირეები ნაკლებად ეტანებიან პარტიას. აზერბეიჯანში აღრიცხულია 38 ათასი სოფლის მოჯამაგირე. აქედან 1929 წლამდე სოფლის ყოველ 4 უჯრედს სამი თვის განმავლობაში პარტიაში მხოლოდ თითო მოჯამაგირე ჩაუბამს. ლენქორანში, ნახიჩევანის ოლქში და ნუხის მაზრაში ამ დროს განმავლობაში არც ერთი სოფლის მოჯამაგირე არ მიუღიათ. ამასთან ერთად ორი წლის განმავლობაში საგრძნობლად შემცირდა გლეხური ნაწილიც 42-დან 27 პროცენტამდე.

ამნაირად, თუმცა საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ.-ის ნოემბრის პლენუმზე ამხ. მოლოტოვმა აღნიშნა, რომ ბაქოს ორგანიზაციაში პარტიის კანდიდატებად ახლად მიღებულთა შორის მუშაობა დამაკმაყოფილებლად არ სწარმოებსო, მაინც აზერბეიჯანის კომპარტიის მუშაობაში ჯერ კიდევ არ მომხდარა გარდატეხა იმ მხრივ, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ.-ის პლენუმის გადაწყვეტილებანი პრაქტიკულად შესრულებულ იქნან.

აზერბეიჯანის კომპარტიის უარყოფითი მოვლენების ის დახასიათება, რომელიც ზემოდ მოვიყვანეთ, გვიჩვენებს, რომ უდიდეს პროლეტარულ ორგანიზაციაში, სადაც ეგრე მაღლა სდგას მასების პოლიტიკური აქტივობა, ხელმძღვანელობა ჩამორჩებოდა ამ აქტივობას, მან თავი ვერ გაართვა უდიდეს ამოცანებს. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ იმ უდიდეს მიღწევათა პროცესში, რომლებიც თვალსაჩინოდ განსაზღვრა საბჭოთა კავშირის სწრაფი სოციალისტური მშენებლობის მთელმა მსვლელობამ, აზერბეიჯანის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, განსაკუთრებით უკანასკნელი ორი მთელ წლის განმავლობაში, ჩვენ ვხედავთ რიგ უდიდეს დეფექტებს (ადს).

პშენიცინი.

მოსკოვი, გადმოცემულია ტელეგრაფით.

იმპერიალიზმთან მებრძოლ ლიგის კონგრესზე

სპეციალური თათბირი

მაინის ფრანკფურტი, 28 ივლისი. ანტიიმპერიალისტური კონგრესის პლენარულ სხდომებთან ერთად აქ მოხდა სხვადასხვა სპეციალური თათბირიც. კონგრესის დელეგატებმა ჩაატარეს ცალკე სხდომა, რომელზედაც შეიმუშავეს რეზოლუცია კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში ქალთა პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის შესახებ და იმპერიალიზმთან ბრძოლაში მათი ამოცანების შესახებ.

კონგრესის ზანგი დელეგატების კონფერენციამ გადასწყვიტა—მოიწვიოს 1930 წელს ბერლინში ზანგი მუშების საერთაშორისო კონფერენცია. მოხდა თათბირი, რომელზედაც განხილულ იქნა კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში რკინისგზის ორგანიზაციების განმტკიცების საკითხი.

კოლონიალური და ნახევრად კოლონიალური ხალხების მდგომარეობა

მაინის ფრანკფურტი, 28 ივლისი. 25 ივლისს საღამოთი იმპერიალიზმთან მებრძოლი კონგრესის სხდომაზე გაგრძელდა კოლონიალური და ნახევრად კოლონიალური ხალხების მდგომარეობის განხილვა.

იაპონიის წარმომადგენელმა კუნიაკამ ილაპარაკა ფორმოზას კუნძულის მოსახლეობის მდგომარეობაზე, რომელსაც სძარცვავს იაპონია. მან იაპონიის რევოლუციონური მუშათა კლასის სახელით ფორმოზისათვის დამოუკიდებლობა მოითხოვა.

სენ-კატაიამამ ხაზი გაუსვა იმას, რომ საჭიროა ჩინეთის, იაპონიის და კორეის რევოლუციონური მშრომელების მჭიდრო თანამშრომლობა იაპონიის იმპერიალიზმის დასამხობად.

სპარსელმა დელეგატმა ალი თეირანიმ აღნიშნა, რომ ინგლისის იმპერიალიზმს განზრახვა აქვს სპარსეთი გამოიყენოს პლაცდარმად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შეტევისათვის.

ეგვიპტის წარმომადგენელმა [illegible] აღნიშნა, რომ არაბეთის ქვეყნები გმინავენ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და ესპანეთის იმპერიალიზმის მონობის უღელ ქვეშ. მან მკაცრად გააკრიტიკა იმ ეროვნულ-რევოლუციონური წრეების პოლიტიკა, რომელთაც იმედი აქვთ, რომ განთავისუფლებას მიაღწევენ სხვადასხვა ჯურის იმპერიალისტების წაქეზებით.

ირაქის წარმომადგენელმა ხუდავირიმ ილაპარაკა ირაქის ხალხის საშინელი ჩაგვრის შესახებ.

საფრანგეთის კომპარტიის დელეგატმა გილბამ კონგრესს განუცხადა, რომ საფრანგეთის კომპარტია და საფრანგეთის მუშათა კლასი მუდამ დიდ დახმარებას გაუწევენ არაბეთის ქვეყნების განმათავისუფლებელ მოძრაობასო.

ებრაელთა პარტიის „პოალეციონ"-ის წარმომადგენელმა ბენ საულმა განაცხადა, რომ პალესტინა ებრაელ პროლეტარიატს ეკუთვნისო. მან გააკრიტიკა არაბეთის და ევროპის ბურჟუაზიის მოქმედება. ბენ საულის ასეთი გამოსვლის საპასუხოდ არაბეთის დელეგაციებმა წაიკითხეს მკაცრი განცხადება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ სიონისტთა მოძრაობა წარმოადგენს ბრიტანეთის იმპერიალიზმის იარაღს; საფრანგეთის და გერმანიის დელეგატები შეუერთდნენ ამ განცხადებას.

საკლატვალამ ანტიიმპერიალისტურ ლიგის აღმასკომის სახელით განაცხადა, რომ ლიგას განზრახვა აქვს გულდასმით შეისწავლოს პალესტინის საკითხი, მით უმეტეს, რომ ამჟამად სიონისტურ მოძრაობის მიზნები ეწინააღმდეგებიან ლიგის ამოცანებს. ლიგა გადაჭრით ჰგმობს იმათ, ვინც ბატონობის მიზნით მიემგზავრება პალესტინაში. (ადს).

პროფკავშირები და ანტიიმპერიალისტური ბრძოლა

ამხ. მელნიჩანსკიმ (საკავშირო პროფსაბჭო) გააკეთა ვრცელი მოხსენება პროფკავშირებისა და ანტიიმპერიალისტური ბრძოლის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალი, რომელსაც რეფორმისტები ხელმძღვანელობენ, კლასთა თანამშრომლობას უჭერს მხარს და პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით ხელს უწყობს იმპერიალიზმს. რეფორმისტული პროფკავშირული ბიუროკრატია კოლონიალურ ხალხთა განთავისუფლების წინააღმდეგია და საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა პროფკავშირების წინააღმდეგ იბრძვის.

ამსტერდამის ინტერნაციონალმა უარი განაცხადა ჩინეთის რევოლუციისათვის მხარის დაჭერაზე ამ რევოლუციის აღზევების პერიოდში, ამჟამად კი იგი გომინდანს უჭერს მხარს.

ინგლისის რეფორმისტული პროფმოძრაობის ლიდერი პერსელი მოუწოდებს ინდოეთის პროფკავშირებს—ხელი აიღონ პოლიტიკურ ბრძოლაზე. ანტიიმპერიალისტურ ლიგას თავის რიგებში მხოლოდ ისეთი პირებისა და ორგანიზაციების დატოვება შეუძლია, რომლებიც გადაჭრითა და ყოველივე პირობის გარეშე იქნებიან იმპერიალიზმის წინააღმდეგნი.

მელნიჩანსკი წინადადებას აძლევს ანტიიმპერიალისტური ლიგის აღმასკომის თავმჯდომარეს მექსტონს (ინგლისის პარლამენტის დეპუტატი და დამოუკიდებელი მუშათა პარტიის თავმჯდომარე)—პირდაპირ აღიაროს, მომხრეა თუ წინააღმდეგი იმპერიალიზმისა, [illegible] მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლისა, ინდოეთის სრული განთავისუფლებისა და ინდოეთის ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ყველა მსხვერპლის განთავისუფლებისა.

მელნიჩანსკიმ განაცხადა, რომ ყველა პროფკავშირებიდან იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ გადაჭრილ ბრძოლას აწარმოებს მარტო ის რევოლუციონური პროფკავშირები, რომელთაც წითელი პროფინტერნი ხელმძღვანელობს.

კონგრესის დელეგატებს ვიზა არ მისცეს

მაინის ფრანკფურტი, 28 ივლისი. მიუნცენბერგმა განაცხადა: გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაპირების მიუხედავად, გერმანიის საელჩომ მოსკოვში გერმანიაში შესვლის ვიზა არ მისცა მონღოლეთისა და ჩუვაშთა რესპუბლიკების დელეგატებს.

შემდეგ მიუნცენბერგმა განაცხადა, რომ საფრანგეთის ხელისუფლებამ საფრანგეთზე გავლის ნება არ მისცა ტრიპოლიტანიისა და ტუნისის დელეგატებს, ხოლო ეგვიპტის მთავრობამ თავის ტერიტორიაზე არ გაატარა არაბთა პარტიის (პალესტინაში) მემარცხენე ფრთის ლიდერები.

მიუნცენბერგის განცხადებას ჰქუხარე საპროტესტო დემონსტრაციით შეხვდნენ. (ადს).

მექსტონის პასუხი მელნიჩანსკის გამოსვლაზე

მაინის ფრანკფურტი, 28 ივლისი. ანტიიმპერიალისტურმა კონგრესმა მაინის ფრანკფურტში დიდის ინტერესით მოისმინა მექსტონის პასუხი მელნიჩანსკის და ყველა იმ ორატორების გამოსვლაზე, რომლებიც მის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

მექსტონმა, სხვათა შორის, განაცხადა: „ანტი-იმპერიალისტურ ლიგის მეორე მსოფლიო კონგრესს სრული უფლება აქვს მოითხოვოს ჩემგან, რომ მე გარკვევით და მთლად გამოვსთქვა ჩემი შეხედულება სხვადასხვა საკითხებზე. ევროპის პროფკავშირების მოღვაწეებს იმის მაგივრად, რომ დახმარებოდნენ კოლონიალურ ხალხებს, არა ერთხელ შეუწყვიათ ხელი მათ დამარცხებისათვის. ბომბეის ფეიქართა გაფიცვის დროს გენსაბჭომ თავისი მტრული წერილებით პრაქტიკულად შეუწყო ხელი გაფიცვის ლიკვიდაციას. ინგლისის მუშები დარაზმული უნდა იქნენ გადამწყვეტ ბრძოლისათვის, რათა ინგლისის ჯარები გამოწვეულ იქნენ ინდოეთიდან და ინგლისის სხვა კოლონიებიდან.

ამასთანავე განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება დამოუკიდებელ მუშათა პარტიას. ანტი-იმპერიალისტურ ლიგის წინაშე მდგომ ამოცანების სიდიადე მოითხოვს, რომ უთანხმოებანი წვრილ საკითხებზე არ იქნეს გაზვიადებული. აქ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ლიგა გაწმენდილი უნდა იქნეს მერყევ ელემენტებისაგან. მე ამას ვეთანხმები. მე—რევოლუციონური სოციალისტი ვარ და მზად ვარ აშკარა ბრძოლა ვაწარმოო საერთაშორისო კაპიტალის და იმპერიალიზმის დასამხობად. მათ შორის ბრიტანეთის იმპერიალიზმის დასამხობადაც, რომელიც უფრო საშიშია, ვიდრე სხვა ქვეყნების იმპერიალიზმი.

ეხლანდელი მუშათა პარტია, რომელმაც შეადგინა უმცირესობის მთავრობა, მოქმედობს ისე, როგორც ერთგული დარაჯი ინგლისის კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის კარებთან. ამით ის განაგრძობს ინგლისის კაპიტალიზმის შეურიგებელ იმპერიალისტურ პოლიტიკას. ეს მე მავალებს ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიო „მუშათა" მთავრობის იმპერიალისტურ პოლიტიკას. მე და ყველა ისინი, ვინც გაერთიანებულია ჩემთან ანტი-იმპერიალისტურ ლიგაში, მოვალეთ ვსთვლი ჩვენს თავს შევასრულოთ ეს ამოცანა იმპერიალისტურ პოლიტიკასთან ბრძოლის საქმეში.

დასასრულ, უყოყმანოდ ვაცხადებ, რომ ჩემის ღრმა რწმენით, იმპერიალისტური პოლიტიკის შემდგომი გატარება „მუშათა" მთავრობის მიერ წარმოადგენს საშინელ საფრთხეს დაჩაგრულ მასების ინტერესებისათვის კოლონიებში. ჩვენ ინგლისის მუშები უნდა დავრაზმოთ მირუთის პროცესთან დაკავშირებით დაპატიმრებულთა განთავისუფლების მოთხოვნის გარშემო. დამოუკიდებელ მუშათა პარტიის შიგნით მე ვიბრძოლებ რევოლუციონურ პოლიტიკისათვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ და მისათვის, რომ ელემენტები, რომლებიც ზოგიერთი რეფორმების პოლიტიკას იცავენ პარტიაში, გაძევებული იქნენ იქიდან.

კონგრესის დელეგატებმა მექსტონის განცხადება მოისმინეს კმაყოფილებით და მქუხარე ტაშით შეხვდნენ მას, რითაც კრიზისი, რომელმაც თავი იჩინა ანტი-იმპერიალისტურ ლიგაში, თავიდან აცილებული იქნა.

მექსტონის გამოსვლის შემდეგ, ლიგის გენერალურ სამდივნოს მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა მიუნცენბერგმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ანტი-იმპერიალისტური ლიგა განიცდის თანდათანობითი გადასვლას სააგიტაციო-პროპაგანდისტულ ორგანიზაციიდან მასიურ მოქმედების ორგანიზაციისაკენ. საბჭოთა კავშირი იყო და რჩება უდიდეს ანტი-იმპერიალისტურ ძალად მსოფლიოში. ეხლანდელი კონგრესი სერიოზული გამოცდა იყო ანტი-იმპერიალისტურ ლიგისათვის, რომელმაც ეს გამოცდა სავსებით დაიჭირა.

აზერბეიჯანის პროფკავშირების გამოკვლევა

ბაქო, 29 ივლისი. ამ რამდენიმე თვის წინად საკავშირო პროფსაბჭომ გამოიკვლია აზერბეიჯანის პროფკავშირების მუშაობა და აზერბეიჯანის პროფსაბჭოს ხელმძღვანელობა ამ მუშაობის მიმართ. ამ დღეებში საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა გამოკვლევის შედეგები. პრეზიდიუმმა აღნიშნა აზერბეიჯანის პროფმოძრაობის ზოგიერთი დადებითი მხარე, ხოლო განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მრავალ უარყოფით მოვლენას. განსაკუთრებით აღინიშნა, რომ არ მომხდარა გარდატეხა პროფმუშაობის ფორმების გარდაქმნის საქმეში. ამჟამად პროფკავშირებს მოეთხოვებათ აქტიური მონაწილეობა მრეწველობის მუშაობაში, პროფკავშირები პასუხს აგებენ მრეწველობის მდგომარეობისათვის. აზნავთისა და აზერბეიჯანის მრეწველობის მიერ თვითღირებულების შემცირების საქმეში გეგმით გათვალისწინებული ვარაუდების შეუსრულებლობა პროფკავშირების სუსტი მუშაობის შედეგია. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ აზერბეიჯანის პროფკავშირთა და პროფსაბჭოს ხელმძღვანელობა სუსტად ეხმაურებოდა დემოკრატიის დარღვევას საწარმოებში, პროფკავშირები საკმაოდ არ ებრძოდნენ თვითკრიტიკის ჩახშობას, მათ თითქმის არაფერი არ გაუკეთებიათ სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. სუსტია პროფკავშირების გავლენა კოოპერაციის მუშაობაში. პროფმოძრაობაში მცირეა ახალი კადრები. პროფკავშირთა აპარატებშიაც მუშების რიცხვი მცირეა. პროფკავშირთა შორის ძალიან ცოტანი არიან თურქები და უპარტიოები. მუშების დაწინაურება საპასუხისმგებლო სამუშაოზე ამ უკანასკნელ დრომდე სრულიად უმნიშვნელო იყო. ამ დღეებში აზერბეიჯანის პროფსაბჭო შეუდგა პროფკავშირების წევრებისათვის საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებათა გაცნობას და ამ გადაწყვეტილებათა საფუძველზე ახლად მოეწყობა პროფკავშირთა მუშაობა. (ადს).

თავისუფალი თანხები ინდუსტრიალიზაციისათვის

საჰ. კრედიტების ხელის შემწყობი რესპუბლიკანური კომისიის სხდომა

გუშინ საქ. სახკომსაბჭოში ამხ. ფილია, მახარაძის თავმჯდომარეობით შესდგა სახელმწიფო კრედიტების ხელისშემწყობი რესპუბლიკანური კომისიის სხდომა.

ფინანსთა სახ. კომისარიატის სავალუტო სამმართველოს უფროსის ნ. ქოიავას მოხსენების მიხედვით კომისიამ დაამტკიცა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის კამპანიის მთლიანი გეგმა და სესხის რეალიზაციის საკონტროლო ციფრები.

სესხის რეალიზაციის კამპანიის წარმატებით ჩატარების მიზნით კომისიამ საჭიროდ სცნო, ცალკე წარმოება-დაწესებულებათა, სოფლებსა, ოლქებსა და ქალაქებს შორის მოეწყოს სოციალისტური შეჯიბრება სესხის უკეთესად გასაღებაზე.

კომისიამ დაადგინა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეული იქნეს აზერბეიჯანის რესპუბლიკა.

საჩვენებელ რაიონად კომისიამ გამოჰყო სოხუმი და კახეთი, სადაც სამაგალითოდ უნდა იქნეს მოწყობილი როგორც საგიტაციო, აგრეთვე სარეალიზაციო კამპანია, რომ სხვა რაიონებმა მათგან აიღოს მაგალითი.

აღნიშნულ რაიონებს დეპეშით ეცნობა კომისიის დადგენილება და წინადადება მიეცა სასწრაფოდ მიიღონ აუცილებელი ზომები კამპანიის ფართოდ გასაშლელად.

სესხის რეალიზაციისათვის ხელისშემწყობი თბ. საოლქო. კომისია

თბილისსა და მის ოლქში ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის რეალიზაციის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად, თბილისის აღმასკომთან დაარსდა კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ვ. ბოლქვაძე (თავმჯდომარე), ვ. ავაქოვი, ლ. სუხიშვილი, ახრიბეკოვი, ვაშაძე, შოგირაძე, ადამიანი, ბ. მაჩაიძე, ანთიძე, ხომასურიძე და ერისთავი.

გუშინ ამხ. ვ. ავაქოვის თავმჯდომარეობით შესდგა ამ კომისიის პირველი სხდომა. ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის მნიშვნელობის განსამარტავად, კომისიამ დაადგინა—გამოშვებული იქნეს მოწოდება თბილისის და მისი ოლქის მცხოვრებლებისადმი.

კომისიის დადგენილებით ყველა სახის კოოპერატიულ ორგანიზაციებს, პროფკავშირებს, კოლმეურნეობათა ცენტრს, ბინათ კავშირს და გლეხკომებს ევალებათ დაჩქარებით შეიმუშაონ და წარმოუდგინონ კომისიას სესხის რეალიზაციის კამპანიაში თავიანთი მონაწილეობის გეგმა.

ადგილებზე კამპანიის წარმატებით ჩატარების მიზნით დაარსებული იქნება სათემო კომისიები, რომელთა მუშაობას ხელმძღვანელობას გაუწევს საოლქო კომისია.

ამ მიზნით თემებზე მიმაგრებული იქნებიან აღმასკომის პასუხისმგებელი მომუშავეები.

სესხის მიზნების პოპულარიზაციისათვის კომისიამ დაადგინა დაარსდეს საგიტაციო ხუთეული. ხუთეულში შედიან: ამხ. ადამიანი, ქოიავა, რ. ქურქია, სოხიანი და ფანცულაია.

კერძო პირთა შორის სესხის გასავრცელებლად დაარსებული იქნა კომისია ამხ. ვ. ავაქოვის, ხმალაძის და კუხალეიშვილის შემადგენლობით.

დასასრულ კომისიამ მიიღო საკონტროლო ციფრი, რომლის მიხედვით თბილისსა და მის ოლქში გავრცელებული იქნება 5.300.000 მანეთის ობლიგაცია. ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის კამპანიასთან პარალელურად იწარმოებს აგიტაცია წინა სესხების ობლიგაციების შესანარჩუნებლად.

სად რამდენი უნდა გასაღდეს სესხი

სახელმწიფო კრედიტების დამხმარე ა.-კ. ცენტრალური კომისიის დადგენილებით, ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი საქართველოში უნდა გასაღდეს 12 მილიონ მანეთის რაოდენობით. სახელმწიფო კრედიტის დამხმარე რესპუბლიკანურმა კომისიამ აღნიშნული თანხა ავტონომ. ერთეულებსა და მაზრებს შორის ვარაუდით შემდეგნაირად გაანაწილა:

	სულ უნდა გასაღდეს	მათ შორის		
		კოლექტიური ხელისმოწერით	გლეხებს შორის	კერძო ხელის მომწერთა შორის
აფხაზეთი	870.000	625.000	200.000	45.000
აჭარისტანი	875.000	800.000	25.000	50.000
სამხრეთ-ოსეთი	123.000	55.000	65.000	3.000
ახალქალაქის მაზრა	160.000	45.000	120.000	3.000
ახალციხის „	225.000	120.000	95.000	10.000
გორის „	655.000	375.000	250.000	35.000
თბილისის „	5.335.000	4.775.000	410.000	150.000
კახეთის „	710.000	230.000	450.000	30.000
ქუთაისის „	1.140.000	850.000	225.000	65.000
რაჭა-ლეჩხუმის „	182.000	60.000	115.000	7.000
შორაპნის „	710.000	530.000	165.000	15.000
ზუგდიდის „	317.000	210.000	110.000	7.000
ოზურგეთის „	225.000	130.000	85.000	10.000
ქ. ფოთი	195.000	185.000	—	10.000
სვანეთი	10.000	10.000	—	—

იმპერიალისტების ინტრიგებზე უპასუხებთ საბჭ. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გაძლიერებით

მეჯვრისხევი, 29 ივლისი. შესდგა მეჯვრისხევის თემსაბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელმაც მოისმინა მოხსენება საერთაშორისო წითელი დღის—პირველ აგვისტოს მნიშვნელობაზე. საბჭოს წევრებმა, ბურჟუაზიული სახელმწიფოების საპასუხოთ დაადგინეს ხელი მოაწერონ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე 450 მან. რაოდენობით. აგრეთვე საბჭომ დაადგინა დასთესონ საფონდო მიწები პურეულით და მოსავალი გადასცეს ინდუსტრიალიზაციის ფონდში.

—:—

ჩვენი პასუხი ჩინელ მილიტარისტებს

მუშკოოპის მე-10 თევზის საწყობის თანამშრომლები—ა. აფაქიძე, ზ. ნადარეიშვილი, ე. აგაშენაშვილი, მ. ხუბაშვილი, ა. კვახტალიანი. ვ. ღატორი, მათეოზ ნაზაროვი, ალ. მამედოვი, არუთინოვი და ა. ზერმანი, ხელს ვაწერთ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე თითო თვის ხელფასის რაოდენობით. ვიწვევთ მუშკოოპის მე-9 და მე-24 საწყობების, ხილის განმანაწილებელი პუნქტის და მთავარი საწყობის თანამშრომლებს.

—:—

გავამაგროთ მუშურ-გლეხური სახელმწიფო

ინდუსტრიალიზაციის პირველმა ორმა სესხმა, რომლის რეალიზაციაში ფართო მონაწილეობა მიიღო მუშებმა და გლეხებმა, ჩვენს მუშურ გლეხურ სახელმწიფოს დიდი ნაყოფი მოუტანა. მუშების მიერ გაღებულ თანხებით აგებული იქნა მრავალი ფაბრიკა-ქარხნები მუშათა სახლები და სხვ. ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი უფრო დააჩქარებს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას და წინ წასწევს სახალხო მეურნეობას. მე ახალ სესხზე ხელს ვაწერ ერთი თვის ხელფასის რაოდენობით და ვიწვევ ტრამვაის სხვა მუშებსაც.

ტრამვაის მოძრაობის დარგის მუშა: —
ივ. ხოფერია.

—:—

27 ივლისს შესდგა თბ. **პირველი ამბულატორიის** თანამშრომელთა საერთო კრება, რომელმაც მოისმინა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების კოლექტიურად შენახვის შესახებ და მესამე სესხის მნიშვნელობაზე. თანამშრომლებმა დაადგინეს კოლექტიურად შეინახონ მეორე სესხის ობლიგაციები და ხელი მოაწერონ მესამე სესხზე თითო თვის ხელფასის რაოდენობით.

—:—

„**სოფლის კავშირთან**" ყველ-კარაქ კავშირთან და კოლმეურნეობის ცენტრთან არსებულ ა.ლ.კ.კ. უჯრედის წევრებმა, რიცხვით 20 კაცმა, კოლექტიურად მოაწერეს ხელი ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე 2.000 მანეთის რაოდენობით და გამოიწვიეს: ცეკავშირის, მწყემსის და ზაკსელსოიუზის ა.ლ.კ.კ.-ის უჯრედები.

29 ივლისს შესდგა **ხელოვნების მუშაკთა კავშირის** თანამშრომელთა და კავშირში გაერთიანებულ **ყველა ადგილკომების თათბირი**, რომელზედაც ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის წინასწარ ხელის მოწერის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. დ. დიასამიძემ. თათბირმა დაადგინა ხელი შეუწყონ სესხის რეალიზაციას კავშირის წევრთა შორის და კავშირში მომუშავე თანამშრომლებსა და წევრებმა მოაწერონ ხელი ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.

—:—

სტალინის სახელობის ქარხნის საქვაბე საამქროს მუშა ხელოსნები ხელს აწერენ ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხზე შემდეგი რაოდენობით: ბასიაშვილი—100 მან., არეშიძე—200 მან., მაკაროვი—200 მან., სემიანიშინი—400 მან., კარნილოვი—500 მან., ხუდადოვი—200 მან., ჩიკვაიძე—200 მან., ბალავაძე—200 მან., ლიკტიკი—100 მან., ჯლანტიაშვილი—100 მ., უსანეთაშვილი—100 მან., მაისურაძე—100 მან., ჯანგილაძე—100 მან., პოზოვი—100 მან., საკურაშვილი—200 მან., სმირნოვი—150 მან., ქვრივიშვილი—100 მან., მერებაშვილი—200 მან., ცომაია—200 მან., ბეგაძე—150 მან., მკორონოვი—100 მან., როთველაძე—100 მან., ღინტიბიძე—100 მან., ფორელაშვილი—150 მან., პისკუნოვი—150 მან., კოსტოვა—140 მან., ბექაური—140 მან., საღარეიშვილი—120 მან., შავლაყაძე—150 მან., მერებაშვილი დიმ.—120 მან., ღვალაძე—150 მან., ალბოროვი—100 მან., მნაცაკანოვი—150 მან., ბარბაქაძე—150 მან., ხუბულური—100 მან., ფანცულაია—[illegible] მან., ჯაგაევი—100 მან., ბოტკოველი—200 მან., მელაძე—150 მან., სანდაროვი—150 მან., კადინი—150 მან., ფილიმონოვი—150 მან., ჯაფარიძე—150 მან., ბერიაშვილი—100 მან., დავლიანიძე—100 მან., ბუაძე—100 მან.

—:—

მუშკოოპის პურის სექციის თანამშრომლები ხელს აწერენ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე შემდეგი რაოდენობით:

ივ. გოგოლი—130 მანეთი, საბიაშვილი—110 მან., პატარაკაციშვილი—35 მან., ბასილაშვილი—85 მანეთი, ფ. ქიქოძე—65 მან., გოდერძიშვილი—100 მან., უგრეხელიძე—50 მან., კერესელიძე—55 მან., მეკინულოვი—100 მან.—ქევხიევი—80 მან., ს. ზაკაროვი—35 მან.—ლ. აბზიანიძე—80 მან. ქ. სილაგაძე—35 მან., კარახანოვი—100 მან. გაიტლერი—65 მან., აბრამოვი—65 მანეთი, შ. ხმიადაშვილი—70 მანეთი, ფირუმოვი—30 მან. შ. ნოვოსარჩოვი—120 მან., არუთინოვი—100 მან., ოსიპოვი—80 მან., ს. ოქროპირიძე—100 მან., კაზანჯევი—65 მან. რამიშვილი—85 მანეთი, შ. დავიდოვი — 120 მანეთი, დორაშენკო—60 მან., გიორგაძე—100 მან., მონავარდიშვილი—100 მან., შაკულაშვილი—50 მან და მოსესოვი—100 მან. სულ 2.385 მან. და იწვევენ საქართველოს სახვაჭრობის საპაიო საზოგადოების, ცეკავშირის, მეომარის და „ზაკტპოს" პურის სექციის თანამშრომლებს.

თბილისის საალმშენებლო სკოლის ადგილკომში შემავალ მუშა-მოსამსახურეთა, სკოლის მოწაფეთა პარტიის და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებულმა კრებამ დაადგინა დანიშნულ ვადის გასვლამდე არ გაჰყიდოს მეორე სესხის ობლიგაციები და წინასწარ მოაწერონ ხელი ერთი თვის ხელფასის რაოდენობით ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე.

—:—

თვენახევრის ხელფასი ინდუსტრიალიზაციისათვის

ინვალიდთა საწარმოო კოოპერატიული არტელი „ცდა"-ს წევრთა საერთო კრებამ მოისმინა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის შესახებ. მომხსენებელმა დაწვრილებით გააცნო კრებას ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობა და მოუწოდა წევრებს მიიღონ აქტიური მონაწილეობა სესხის რეალიზაციაში.

კრებამ დაადგინა გადადებულ იქნას თვენახევრის ხელფასი, 1.145 მან. ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის ობლიგაციების შესაძენად. ამავე მიზნით კრებამ გამოიწვია სოც. უზრ. სახ. კომისარიატის, ინვალიდთა კოოპერატიული კავშირის, და ინვალიდთა დამხმარე კომიტეტის, არტელ „ჯარა"-ს, „გლარჯა"-ს, „იმერი"-ს, „შრომა"-ს, „ჯანმრთელობის დაცვის", „ნდობა"-ს, „ფურაჟი"-ს, „აგუნა"-ს და „წითელი ერი"-ს თანამშრომლები.

—:—

სოციალისტური აღმშენებლობის ტემპის გასაძლიერებლად და სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის განხორციელების მიზნით, ხელს ვაწერ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე 250 მანეთის რაოდენობით, შემოტანას ვიწყებ 1-ლი აგვისტოდან და ვიწვევ ა.-კ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოდან: ამხ. ა. გულოიანს, დ. ლომაძეს, ს. დემეტრაშვილს, ქ. ნიკიტინს, ვ. გულბანს, ლ. თიკანაძეს და ფეოდოროვს.

ბათუმიდან: მოეტინ სურმანიძეს, ნ. კუნჯუღიას, დ. კილაძეს, ს. ჯინჭარაძეს, დურსუნ ფაღავას, ა. ლაპარტიანს, გ. ბრელიძეს, ჯამილ ფაღავას, ი. გიორგაძეს, დ. ჯალაღანიას და ვერენიდის.

ფოთიდან: გ. ლომთათიძეს, ჰ. იმედაშვილს, ა. ახობაძეს, ი. დოლობაიას, ლ. ბახუშვილს, ა. ადამიას, ვ. ქეტსელს, ე. გვილესიანს და პაველჩუკს.

სოხუმიდან: პ. მელაძეს, გ. მალანიას, ა. ინაშვილს, ჩოლოკუას (პროფსაბჭო), ლადარიას, ნ. ტრეტენკოს და პრილეპკოს.

„ზაკგეოპრომტორგიდან": ქ. იეგანიშვილს, ა. ცოვიანოვს, გ. უშვერიძეს, ბელიაკოვს, ვ. ნაზოვს, ტატუნაშვილს და კატალევსკის.

ალ. ფრუიძე.

საკრედიტო დაწესებულებები შეუდგენ ხელის მოწერის ჩამოყალიბებას.

ამიერ-კავკ. და საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატებმა წინადადება მისცეს საკრედიტო დაწესებულებებს დაუყოვნებლივ შეუდგნენ ხელის მოწერის ჩამოყალიბებას იმ ვარაუდით, რომ ზოგიერთ ორგანიზაციას, რომელმაც ამის სურვილი განაცხადა, საშუალება მიეცეს ობლიგაციის ღირებულების პირველი გადასახადი შეიტანონ აგვისტოს პირველ ნახევრიდანვე.

ხელისშემწყობი კომისიები

პროფესიონალურ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ დაუყოვნებლივ ჩამოაყალიბონ ადგილებზე (საწარმო-დაწესებულებებში) სახ. კრედიტისათვის ხელისშემწყობი კომისიები, რომელშიაც არჩეული უნდა იქნან ადგილკომის, ადმინისტრაციის და პარტუჯრედის წარმომადგენლები. კომისიების ჩამოყალიბება უნდა დამთავრდეს იმ ვარაუდით, რომ 10 აგვისტოს შესაძლო იქნეს კომისიების საქალაქო თათბირის მოწვევა.

10 პროცენტიანი ანარიცხი

საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატის დადგენილებით, ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის გასაღებული თანხიდან ადგილობრივ ბიუჯეტში ირიცხება კომუნალურ მშენებლობაზე, სოფლის მეურნეობის და ადგილობრივი მრეწველობის კაპიტალურ დაბანდებებზე, ადგილობრივ ტრანსპორტზე, საგზაო, სასკოლო და სამკურნალო მშენებლობაზე.

საგიტაციო მასალა იგვიანებს

ამიერ-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატმა საკავშირო ფინანსთა სახ. კომისარიატს გაუგზავნა სასწრაფო დეპეშა, რომელშიაც ატყობინებს, რომ სესხზე ხელის მოწერამ მთელ ამიერ-კავკასიაში მიიღო მასიური ხასიათი. საგიტაციო კამპანია დაიწყო, მაგრამ აქამდე არ არის მიღებული საგიტაციო მასალა, რაც საგრძნობლად აფერხებს მუშაობას. მასალების სასწრაფოდ გადმოგზავნა აუცილებელია, ვინაიდან ეს მასალები გადამუშავებული უნდა იქნან ადგილობრივ ენებზე.

ხელისშემწყობი რესპუბლიკანური კომისია

სახელმწიფო კრედიტებისათვის ხელის შემწყობ რესპუბლიკანურ კომისიაში არჩეული არიან ამხ. ფ. მახარაძე (თავმჯდომარე), გ. ვაშაძე (მოადგილე), ნ. ქოიავა (მდივანი), და სხვა, სულ 18 კაცი.

[illegible] კავშირის ინდუსტრიალიზაციის დღე

მედსანშრომის მუშაკთა კავშირის თბილისის აქტივის საქალაქო კონფერენციამ მოისმინა კავშირის ცენტრალური გამგეობის ამხ. ჯიჯაძის მოხსენება ინდუსტრიალიზაციის დღის შესახებ.

კონფერენციამ მოიწონა პროფსაბჭოს მიერ ინდუსტრიალიზაციის დღეთ 20 სექტემბრის გამოცხადება.

კონფერენციამ ერთხმად მოიწონა ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის გამოშვება.

საგიტაციო საღამოები

კვირას, 28 ივლისს, სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორამ წითელ არმიელთა საზაფხულო კლუბში და ორჯონიკიძის სახელობის კლუბში ჩაატარა სახელმწიფო კრედიტების საგიტაციო საღამოები.

მოსახლეობის ზრდის აღრიცხვა

მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის აღრიცხვის მოსაწყობად ჯერ კიდევ 1921 წელს, 28 აპრილს გამოქვეყნებულ იქნა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის დებულება.

რა მნიშვნელობა აქვს მოქალაქეობრივი აქტების რეგისტრაციას?

მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის რეგისტრაცია, უპირველესად ყოვლისა წარმოადგენს სახელმწიფოსათვის სამეცნიერო ინტერესს, მხოლოდ ამ რეგისტრაციის საშუალებით სახელმწიფოს შეუძლია იქონიოს წარმოდგენა თუ როგორი ასაკის შემადგენლობის არის მისი მოსახლეობა, როგორი საზღვარი არის დაბადებისა და მომაკვდაობის შორის, ხომ არ სჭარბობს მოსახლეობაში მომაკვდაობა და სხვ.

მმაჩის სწორი ციფრების მიხედვით, სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს ზომები მოსახლეობის ნორმალური ზრდის შესამოწმებლად.

ამას გარდა ცნობები მოსახლეობის ზრდის შესახებ ესაჭიროება მრავალ ორგანოს თავის ყოველდღიურ მუშაობაში.

როგორ უცქერის მოქალაქეობრივი აქტების ჩაწერას ადგილობრივი ხელისუფლება, რა პირობებში უხდებათ მუშაობა მმაჩის ორგანოებს?

ზოგი სამაზრო აღმასკომი მმაჩის ბიუროს გამგეს, გარდა იმისა, რომ იგი აწარმოებს მმაჩის საქმიანობას, აკისრებს კიდევ სხვადასხვა მოვალეობას, რაც ხშირად დიდად აბრკოლებს მოქალაქეობრივი აქტების ჩაწერის საქმეს.

არის შემთხვევა, როცა 7—8 ვერსის მანძილიდან მოსული გლეხი თხოულობს თავისი ახლად დაბადებული შვილის რეგისტრაციაში გატარებას, მაგრამ უარს ეუბნებიან, რადგან სხვა საქმეებით დატვირთულ მმაჩის მუშაკს არ სცალია.

ზოგიერთ მაზრების გამოკვლევამ დაგვანახა, რომ სამაზრო აღმასკომთან სრულიად გაუქმებული იყო მმაჩის ბიურო. თემაღმასკომებში აღმოჩნდა მთელი რიგი დეფექტებისა, მოქალაქეობრივი აქტები ათასობით რეგისტრაციის გარეშე დარჩენილი აღმოჩნდა.

ყოველივე ზემონათქვამიდან ცხადია თუ როგორი სისუსტით ტარდება ცხოვრებაში მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის აღრიცხვა.

ასეთ არა ნორმალურ მდგომარეობას ნაწილობრივ ხელს უწყობს შემდეგი გარემოება: იმ დროს, როდესაც მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩასაწერად არსებობს ცენტრალური ხელმძღვანელი აპარატი შინსახკომთან, მმაჩის ადგილობრივი ორგანოები ზოგან ადმინისტრატიულ განყოფილებებთან მუშაობენ, ხოლო ზოგან მაზრის აღმასრულებელ კომიტეტებთან. ეს აფერხებს ხელმძღვანელობის რაციონალურად განხორციელებას და ჰქმნის გაუგებრობას. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი: მმაჩის ცენტრარქივის შინსახკომთან არსებობა პრაქტიკით არ გამართლდა, ვინაიდან ეს აძნელებს შორეულ მაზრების მცხოვრებლებისათვის ამა თუ იმ ცნობის მიღებას. მოქალაქე იძულებულია ჩამოვიდეს თბილისში. ამიტომ გაუქმებულ უნდა იქნას შინსახკომთან არსებული ცენტრალური არქივი და მისი მასალები უნდა გადაეცეს სათანადო ადგილობრივ ორგანოებს.

ამასთანავე მმაჩის მუშაკები, სადაც კი ეს შესაძლებელია, უნდა განიტვირთონ სხვა საქმეებიდან.

მხოლოდ ამის შემდეგ შევსძლებთ ჩვენ მოქალაქეობრივი აქტების ჩაწერის საქმის მოწესრიგებას.

ლ. მსხილაძე.

მზადება პიონერთა შეკრებისათვის

პიონერთა ორგანიზაციის თბილისის ბიურომ შეადგინა თავისი მონაწილეობის გეგმა ნორჩ პიონერთა ამიერ-კავკასიის შეკრებაზე. გეგმის მიხედვით, რადგანაც თბილისის ორგანიზაციის შემადგენლობიდან პიონერთა საგრძნობი ნაწილი ბანაკში იმყოფება, ისინი 31 აგვისტოს გამოძახებული იქნებიან ბანაკებიდან შეკრებაში მონაწილეობის მისაღებად. ბანაკად პიონერთა მეორე წყების გაგზავნა მოხდება 5 აგვისტოდან.

1 აგვისტოს, დილის 9 საათზე ლენინის სახელობის სტადიონზე მოხდება პიონერთა თბილისის ორგანიზაციის შეკრება, სადაც ჩატარდება თავისუფალი ვარჯიშობანი.

2—3 აგვისტოს შეკრების ყველა მონაწილე გაივლიან საექიმო შემოწმებას.

4 აგვისტოს მოეწყობა ყველა პიონერების, ოქტომბრელების და საბავშო ბაღებში მოსწავლე ბავშვების დემონსტრაცია.

5—6—7 აგვისტოს დელეგატები დაესწრებიან შეკრებას (90 დელეგატი რაიონებიდან და 28 სათემო ორგანიზაციიდან).

8 აგვისტოს საღამოთი ჩატარდება კარნავალი.

9 აგვისტოს, შეკრების დამთავრების შემდეგ, მოხდება შეკრების მონაწილეთა გაცილება სადგურზე.

რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გამოფენილი იქნება თბილისის პიონერ-ორგანიზაციის მიღწევათა ექსპონატები: მოდელები, კედლის გაზეთები და სხვა.

პიონერთა ცალკე კოლექტივები, შეკრების დაწყებამდე, საბინაო-საიჯარო კოოპ. ორგანიზაციებში ჩაატარებენ მფრინავ მიტინგებს, რომლებზედაც განმარტებული იქნება შეკრების მნიშვნელობა. დელეგატების მიერ დათვალიერებული იქნება ფაბრიკა-ქარხნები, მუზეუმი და სხვ. ამჟამად უკვე ტარდება პიონერთა მშობლების რაიონული კრებები, შეკრების მნიშვნელობის განსამარტებლად. ასეთივე მოხსენებების ჩატარება განზრახულია მუშათა კლუბებშიც. დემონსტრაციაზე მონაწილეობას მიიღებს 10.000-მდე ბავშვი.

მაზრებში უკვე მიმდინარეობს პიონერთა სამაზრო შეკრებები (ქუთაისში, აჭარისტანში, აფხაზეთში, სამხრეთ-ოსეთში, და შორაპნის მაზრაში შეკრებები უკვე დამთავრებულია, დანარჩენ ადგილებში დამთავრდება 1-ლ აგვისტომდე). პიონერთა სრულიად საქართველოს შეკრება არ იქნება ჩატარებული. ა.-კავკასიის შეკრებაზე დელეგატები აირჩევიან უშუალოდ მაზრებიდან და ქალაქის რაიონებიდან.

რა ხდება ადგილებზე

აფხაზეთის პროფკავშირთა მეცხრე ყრილობა

სოხუმი, 29 ივლისი. გაიხსნა აფხაზეთის პროფკავშირთა მეცხრე ყრილობა, რომელმაც მოისმინა აფხაზეთის პროფსაბჭოს თავმჯდომარის ჭოლოკუას საანგარიშო მოხსენება პროფსაბჭოს მუშაობის შესახებ.

ორატორმა მოხსენების პირველ ნაწილში დაახასიათა ის პირობები, რომლებშიაც მიმდინარეობს პროფსაბჭოს მუშაობა.

„საანგარიშო პერიოდში—განაცხადა ამხ. ჭოლოკუამ—წევრთა რიცხვი გადიდდა 5,7 პროცენტით. 1 აპრილისათვის აფხაზეთში ითვლებოდა პროფკავშირთა 13.200 წევრი. მუშები შეადგენენ საერთო რაოდენობის 59 პროცენტს. აქტივის ზრდა ბევრად უფრო სწრაფად ხდებოდა, ვიდრე წევრთა მასის ზრდა—აქტივი თითქმის 15 პროცენტით გაიზრდა. ცუდი მდგომარეობაა დაწინაურების საქმეში, დაწინაურება ხდება უგეგმოდ და შემთხვევით. ქვედა საფეხურის პროფორგანოები ჯერ კიდევ მჭიდროდ ვერ მიუდგნენ პროფკავშირების წევრთა მასას. ფაბქარხადგილკომები კიდევ ვერ მიეჩვიენ ამას, რომ სრულად და ყოველმხრივ ემსახურონ მათ მიერ გაერთიანებულ წევრთა ინტერესებს. ჯერ კიდევ ყველგან არ არის დაძლეული უგულო ბიუროკრატიული მიდგომა კავშირის წევრთა მოთხოვნილებებისადმი, არ შეიძლება არ აღინიშნოს სარევიზიო კომისიების დანაშაულებრივი უმოქმედობა. გარეგნულად მათ მუშაობას წუნი არ დაედება, ისინი დროგამოშვებით ამოწმებენ პროფორგანიზაციის ფინანსიურ მდგომარეობას, მაგრამ უბედურება ის არის, რომ მთავარს ვერ ამჩნევენ. შარშან გამომჟღავნებული 14 გაფლანგვიდან არც ერთი არ აღმოუჩენია სარევიზიო კომისიებს. თვითკრიტიკა და საკავშირო დემოკრატია დამაკმაყოფილებლად არ ტარდება. სოციალისტური შეჯიბრება ხელშეკრულებების დადებას ვერ სცილდება. ამ მხრივ პროფკავშირებმა სათანადო ზომები უნდა მიიღონ". (ადს).

შავი ზღვის ესკადრა სოხუმში

სოხუმი, 29 ივლისი. 26 ივლისს სოხუმში მოვიდა შავი ზღვის ესკადრა ფლაგმანის გემის „ჩერვონა უკრაინა"-ს მეთაურობით.

ნაპირზე წითელფლოტელებს აღტაცებით შეეგებენ სოხუმის მშრომელნი. წითელფლოტელებმა მონაწილეობა მიიღეს ექსკურსიებში, დაათვალიერეს ბოტანიკური ბაღი და მაიმუნების ფერმა. აფხაზეთის სახკომსაბჭომ ესკადრის და [illegible] ნავის „კრასნაია აბხაზია"-ს კულტურულ საჭიროებებისათვის გაიღო 3.000 მანეთი (ადს).

საერთაშორისო წითელი დღისათვის

1-ლი აგვისტო და ავიაქიმი

საქ. თავდაცვა-ავიაქიმი საერთაშორისო წითელი დღის აღსანიშნავად აწყობს ავიაქიმის წრეების რაზმების დემონსტრაციას. 27 ივლისიდან დაიწყო წრეებისა და რაზმების შევსება ახალი წევრებით.

ამჟამად მიმდინარეობს მეცადინეობა ახალ წევრებთან.

1-ლ აგვისტოს „სამშენი"-ს სამმართველოსთან იხსნება სამხედრო კუთხე.

თბილისის აღმასკომის ავიაქიმის უჯრედი აწყობს საჩვენებელ სამხედრო კუთხეს, რომლის გახსნა მოხდება 1-ლ აგვისტოს.

ადგილებიდან მოსული ცნობების თანახმად, ავიაქიმის ადგილობრივი ორგანიზაციები გაცხოველებით ემზადებიან 1-ლ აგვისტოსთვის.

ავიაქიმის გორის ორგანიზაცია აწყობს ექსკურსიებს გორის ბანაკის დასათვალიერებლად და გზავნის მომხსენებლებს სოფლებში.

აჭარისტანის ორგანიზაცია პირველ აგვისტოს აწყობს მანევრებს, რომელშიც მიიღებენ მონაწილეობას ავიაქიმის წრეები და ქიმიური რაზმები.

1-ლ აგვისტოს ავიაქიმის ორგანიზაციები სოფლებში გახსნიან სამხედრო კუთხეებს და დაარსებენ ავიაქიმის უჯრედებს.

1-ლ აგვისტოს კამპანია ავიაქიმის მიერ გამოყენებული იქნება ახალგაზრდობის და ქალების მისაზიდათ ავიაქიმის რიგებში.

ამ დღეს ფართედ იქნება გავრცელებული ჟურნალი „ავიაქიმელი".

ამხ. ლუი კარლტონი თბილისში

ამხ. ლუი კარლტონი

გუშინ თბილისში ჩამოვიდა კომინტერნის აღმასკომის და რემედასის აღმასკომის წევრი, ამერიკელი ზანგების წარმომადგენელი ამხ. ლუი კარლტონი. იგი გამოგზავნილია ამიერკავკასიის რესპუბლიკებში რემედასის ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობის გასაცნობათ და საერთაშორისო ანტი-იმპერიალისტური დღის 1-ლი აგვისტოს დემონსტრაციებში მონაწილეობის მისაღებად.

ამხ. კარლტონმა უკვე მოიარა აზერბეიჯანი.

ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა ამხ. კარლტონს ანტი-იმპერიალისტური დღის ჩასატარებლად დაწყებული სამზადისის შესახებ კაპიტალისტურ ქვეყნებში და განსაკუთრებით კი ამერიკაში. საუბარში ამხ. კარლტონმა განაცხადა:

— რემედასის აღმასკომი ღებულობს ცნობებს იმ სამზადისის შესახებ, რომელსაც ადგილი აქვს ამერიკაში 1-ლი აგვისტოს დემონსტრაციასთან დაკავშირებით. ამერიკის მთელ რიგ დიდ ქალაქებში, როგორიცაა ნიუ-იორკი, ჩიკაგო, სან-ფრანცისკო, ვაშინგტონი და სხვა, რემედასის ადგილობრივი ორგანიზაციების ინიციატივით და ამერიკის კომპარტიის დახმარებით მოწყობილია 1-ლი აგვისტოს ჩამტარებელი სპეციალური კომიტეტები. ყველასათვის ცნობილია, რომ ახალი იმპერიალისტური ომისათვის სამზადისში ამერიკა არ ჩამორჩება არც ერთ სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოს. ამიტომ ადვილი გასაგებია, რომ 1-ლი აგვისტოს დემონსტრაციების შესაფერისად ჩატარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ამერიკის პროლეტარიატისათვის.

1-ლი აგვისტოსათვის სამზადისი ამერიკაში წარმატებით მიმდინარეობს და გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ 1-ლი აგვისტოს ამერიკის ყველა დიდ ქალაქებში ქუჩაში გამოვა მთელი პროლეტარიატი.

დანარჩენი ქვეყნების შესახებ შემიძლია გადმოგცეთ, რომ რამდენადაც ერთის მხრივ გაცხარებული მზადებაა ანტი-იმპერიალისტური დღისათვის, კაპიტალისტურ ქვეყნების მთავრობები აძლიერებენ რეპრესიებს კომპარტიის, რემედასის და ყველა აშკარა მემარცხენე ორგანიზაციების წინააღმდეგ.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ანტი-იმპერიალისტური დღე მაინც ჩატარდება ყველა ქვეყნებში და საერთაშორისო პროლეტარიატი მაინც შესძლებს აღიმაღლოს ხმა ახალი იმპერიალისტური სისხლის ღვრისა და ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ.

საშემოდგომო თესვის გეგმა კახეთის მაზრაში

(წერილი გურჯაანიდან)

კახეთის მაზრის მიწადმოქმედების განყოფილებამ უკვე დაამუშავა საშემოდგომო თესვის კამპანიის გეგმა. ამ გეგმით ნავარაუდევია სათესი ფართობის გადიდება 7 პროც., ხოლო მოსავლიანობის კი 4 პროც. ეს მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს საშემოდგომო ნათესების სივრცე მაზრაში არაჩვეულებრივად იქნა გაზრდილი. სახელდობრ 19,6 პროც. შემოდგომის პურის ნათესი 1928 წელში უდრიდა 69.000 ჰექტარს, ქერისა 3.200-ს, წელს კი ნავარაუდევია დაითესოს 70.470 ჰექტარი პურით და 3.615 ჰექტარი ქერით, სულ 74.085 ჰექტარი

სათესლე მასალა

შემოდგომის ნათესებისათვის მაზრას დასჭირდება 11.552 ტონა სათესლე ხორბალი და 474 ტონა ქერი. გეგმა ითვალისწინებს ამ რაოდენობის მასალის ადგილობრივ შერჩევას. 100 ჰექტარზე მოეწყობა ხარისხოვანი სათესლე. ხარისხოვან სიმინდის თესლს თვალსაჩინო რაოდენობით წელსვე მოგვცემს აგროპუნქტები და კოლექტივები.

მაზრაში ეხლა არსებობს 11 პურის სარკვევი პუნქტი და იმყოფება სულ 138 ტრიერი. კიდევ გაიხსნება 7 ახალი, შეივსება არსებული და მოეწყობა ხუთი მოძრავი პუნქტი.

მანქანა-იარაღები, მუშა-საქონელი

დღეს მაზრაში მოიპოვება 100 ტრაქტორი, 138 ტრიერი 79 პურის სათესი, 38 თებშებიანი ფარცხი, 292 კბილებიანი და 6.000 გუთანი. კიდევ საჭირო იქნება: 30 ტრაქტორი, 45 ტრიერი, 2.500 გუთანი, 200 ფარცხი, 50 სათესი, 10 გვიდის საწამლი მანქანა. ტრაქტორებისათვის საჭირო იქნება 26.850 ფ. ნავთი, 2.600 ფ. ზეთი და 600 ფ. ბენზინი. 5 [illegible] მოეწყობა მისაწვდელი წერტი. მუშა-საქონელი მოიპოვება შემდეგი რაოდენობით: ხარი 13.913 სული, ხარ-კამეჩი 20.594, ფურ-კამეჩი—13.080, ცხენი—13.913. ხვნა-თესვაში ცხენებს იშვიათად იყენებენ ხოლმე. მუშა-საქონლით შეიძლება დამუშავდეს 65.000 ჰექტარი. გარდა ამისა კიდევ საჭირო იქნება 532 სული მუშა-საქონლის შეძენა, რომ ნავარაუდევი არე დამუშავდეს.

კონტრაქტაცია

„გასული წლის მაგალითმა გვაჩვენა—ნათქვამია გეგმაში, რომ კონტრაქტაცია დიდ გავლენას ახდენს ნათესების მოდენის გადიდებაზე და თვით აგრიკულტურულ ღონისძიებათა გატარებაზე. ამიტომ მაზრა კისრულობს მთელი 50 პროც., რომელიც ნავარაუდევია რესპუბლიკანურ გეგმაში, ე. ი. 9.000 ჰექტარის ნახევარს, აქედან 1.500 ჰექტარს სწრივად და 3.000 ჰექტარს ჩვეულებრივ.

სოციალისტური სექტორის მონაწილეობა

კოლექტივებს მოწყობილი აქვთ მიწები სულ 8.776 ჰექტარის რაოდენობით. გასულ წელს ქონდათ შემოდგომის პური 3.200 ჰექტარზე, წელს ექნებათ 6.250-ზე, ე. ი მთელი ფართობისა 70 პროც. აქვე მოეწყობა ნავარაუდევ ას ჰექტარზე ხარისხოვანი თესლის მეურნეობა. შირაქის საბჭოთა მამულში დაითესება 1.400 ჰექტარი, რა თქმა უნდა მოწამლული და გაწმენდილი თესლით და რაც შეიძლება სათესი მანქანების საშუალებით, რომ იქნან მათი ყანები საჩვენებელი დანარჩენი გლეხებისათვის.

საჭირო თანხები

კონტრაქტაციისათვის საჭირო იქნება 90.000 მანეთი, ტრაქტორების და მანქანა-იარაღებისათვის—213.700 მან., მუშა-საქონლის შესაძენად 79.800 მან., თესლის შესაძენად მოკლევადიანი სესხი 73.362, სარკვევ პუნქტებისათვის 30.000, სათესლე მეურნეობის მოსაწყობად 2.800 მან. და სხვა. სულ 508.000 მანეთი, რომელიც გაღებული იქნება, როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ ბიუჯეტით.

ალაზნელი.

იშვიათი მოვლენა ებრაელთა ცხოვრებაში

ებრაელობა საუკუნოების განმავლობაში განიცდიდა დევნა-შევიწროვებას, მათ არსად და არასოდეს არ ქონდათ შესაძლებლობა მშვიდობიანი ცხოვრების, არ ჰქონდათ გასაქანი სურვილისამებრ სწავლა-განათლების მიღების. ამ გარემოებამ იქონია გავლენა მათ ყოფა-ცხოვრებაზე და ხელი მიჰყვეს გამხრწნელ საქმიანობას, როგორიც არის კერძო ვაჭრობა. ებრაელობა ზედმიწევნით გაიტაცა ამ „პროფესიამ", მათში შეიქმნა უაღრესი ჩამორჩენილობა კულტურულად, რაც საფუძვლად დაედო ცრუმორწმუნეობას. ასეთივე მდგომარეობაში იყვნენ და ყველაზე გაჭირვებულ ცხოვრებას ეწეოდენ დ. ლაილაშის ებრაელობაც.

მაგრამ რას ვხედავთ ეხლა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ? საბჭოთა ხელისუფლებამ სისწორით გადასჭრა ეროვნული საკითხი და მათ შორის ებრაელებმაც მოიპოვეს თავისუფლება და კულტურული წინსვლის საშუალება.

გარემოება სავსებით შეთვისებული ჰქონია დ. ლაილაშის ადგილობრივ პარტორგანიზაციას და ხელისუფლებას, რომლებმაც უშუალო მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა ებრაელთა კულტურულად მომზადების საქმეში.

რომ დაბა ლაილაშში პარტიისა და კომკავშირის საგრძნობი მუშაობა ჩაუტარებია, ეს დადასტურდა ა. წ. 6 ივლისს, როდესაც ამ სტრიქონების დამწერმა მათი დავალებით მოხსენება გააკეთა დ. ლაილაშის ებრაელობაში მათი მდგომარეობის შესახებ ძველად და ეხლა და ცრუმორწმუნეობისაგან თავის დაღწევის აუცილებლობაზე.

ამ მოხსენებას დაახლოვებით დაესწრო 200 ებრაელი ქალი და კაცი. იყვნენ აგრეთვე აღმასკომის, პარტიისა და კომკავშირის წარმომადგენლებიც. კრებამ ერთხმად დაადგინა: დაარსებულიყო ახალგაზრდა ებრაელთა წრე.

მოხსენების შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ რამდენიმე ებრაელი, რომლებმაც ამ ორი წლის წინად, ამ სტრიქონების ავტორისგან წერა-კითხვა შეისწავლეს სალიკვიდაციო სკოლაში. ისინი მოითხოვდნენ ებრაელთა წრის მუშაობისათვის კლუბის გახსნას სალოცავის ერთ-ერთ ოთახში. ამ აზრს მთელი კრება დიდი აღფრთოვანებით შეხვდა. ერთხმად გამოიტანეს დადგენილება, რათა კლუბი იმ დღესვე გაეხსნათ ებრაელთა სალოცავში. კრების დახურვის შემდეგ, კრების ყველა მონაწილენი მწყობრად გაემართნენ კლუბის გასახსნელად, რაც რამდენიმე წუთის შემდეგ სისრულეში იქნა მოყვანილი.

ისმის საკითხი, გაგვიწია თუ არა ვინმემ წინააღმდეგობა ჩვენი განზრახვის სისრულეში მოყვანის დროს?

სრულიადაც არა, მხოლოდ მკითხავი, რომელიც ჩვეულია ხალხის სიბნელეში ყოფნით მათ ზურგზედ ტყავის აძრობას, სწორედ მან გაილაშქრა სალოცავის კარებზედ ახალგაზრდობის წინაშე, მაგრამ პასუხად მიიღო: ძირს მკითხავები და მატყუარა სულიერი მამები, გაუმარჯოს შრომასა და ცოდნასო.

ახალგაზრდები ერთი-მეორეს ასწრებენ და ხელში წითელი დროშით გაჰკივიან: დღეის შემდეგ ჩვენ გვექნება საშუალება იმ ადგილზე, სადაც აქამდე ვისმენდით გამაბრუებელ და მატყუარა სიტყვებს, რომელიც გვხვევდა სიბნელის ბურუსში, ამიერიდან მოვისმენთ გონების ასამაღლებელ სიტყვებს და შესაძლებლობა მოგვეცემა კულტურული მუშაობის გაღრმავებისა.

დასასრულ უაღრესი მადლობის ღირსია დ. ლაილაშის აღმასკომი, პარტიული და კომკავშირის ორგანიზაციები იმ დაუშრეტელი ენერგიის დახარჯვისათვის, რომელიც მათ გაუღიათ ებრაელ ახალგაზრდობის კულტურულად მომზადების საქმეში.

ეს ფაქტი იშვიათ მოვლენად ჩაითვლება ებრაელთა ცხოვრებაში.

დანარჩენი კუთხის ებრაელ ახალგაზრდობამაც უნდა მიბაძოს ლაილაშის ებრაელ ახალგაზრდობის მაგალითს.

სტუდენტი **მიშა ზონენაშვილი.**

თბ. მუშები სტუმრად წითელარმიელებთან

2000 მუშა ავჭალის ბანაკში

28 ივლისი, დიდხანს დარჩება თბილისის პროლეტარიატის ხსოვნაში.

28 ივლისმა—თბილისის პროლეტარიატის და წითელ მებრძოლთა დაკავშირების დღემ—ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ მშრომელთა და წითელ-არმიას შორის დამყარებული ურყევი კავშირი, რომ წითელი არმია და პროლეტარიატი წარმოადგენს ერთს მთლიან ოჯახს.

მიტინგი თბილისის სადგურზე

ამასთანავე ამ დღემ აჩვენა ყველას, რომ მშრომელები, თუ კი ეს საჭირო იქნება, წითელ არმიასთან ერთად გავლენ წითელი საზღვრების დასაცავად.

28 ივლისს დილით თბილისის სადგურზე თავი მოიყარა 2.000-ზე მეტმა მუშამ ავჭალის ბანაკში გასამგზავრებლად. ექსკურსანტებს განუმარტეს ექსკურსიის მიზნები.

დილის 8 ნახ. საათზე სპეციალური საექსკურსიო მატარებელი გავიდა თბილისიდან.

წყალსადენიდან მუშების რაზმები, დაყოფილი ლეგიონებათ, ორკესტრებით შეუდგნენ აღმართს. ისმის განუწყვეტელი სიცილი, ხუმრობა, გუგუნებენ ორკესტრები, მოისმის ზურნის ხმა.

მამაცათ მიდიან ფიზკულტურელები, დატვირთული სხვადასხვა ხელსაწყოებით.

აღმართი გათავდა, გამოჩნდა კარავთა ქალაქი, ამ დღისათვის საგანგებოდ მორთულ-მოკაზმული.

წითელ-არმიელებმა სტუმრების შესახვედრათ თავი მოიყარეს ბანაკის დიდ მოედანზე და დაიკავეს ამ მოედნის ერთი მხარე. გამოჩნდა სტუმრების პირველი წყება, გაისმა სამხედრო ორკესტრის გუგუნი და „ვაშას" ძახილი. სტუმრების ყოველ ახალ წყებას მასპინძლები ეგებებიან ვაშას ძახილით.

დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. ბ. ადამაძე ხსნის მიტინგს. მისასალმებელ სიტყვას ამბობს დივიზიის დრ. მეთაური ამხ. იოსელიანი.

„თქვენის დახმარებით,—ამბობს ამხ. იოსელიანი,—ჩვენ ამ მინდორზე მოვაწყვეთ ბანაკი. დღეს ჩვენ გაჩვენებთ, თუ როგორ ვმუშაობთ, რა მიღწევები გვაქვს სამხედრო მომზადების დარგში. დივიზიის მებრძოლი სახელით გარწმუნებთ, რომ დივიზია მზად არის ბრძოლისათვის, თუ ეს საჭირო იქნება და მტერს გავცემთ სათანადო პასუხს".

ამხ. იოსელიანს სცვლის № ლეგიონის სამხ. კომისარი ამხ. უგულავა. იგი ამბობს:

„საერთაშორისო წითელ დღეს, 1-ლ აგვისტოს, ჩვენ შევუერთებთ ჩვენ ხმას საერთაშორისო პროლეტარიატის პროტესტს ახალი ომების წინააღმდეგ. მაგრამ, თუ მტერი გაბედავს ჩვენი მშვიდობიან მუშაობისათვის ხელის შეშლას, ჩვენ ავამუშავებთ ზარბაზნებსა და ტყვიამფრქვევებს".

შემდეგ არმიელებს ესალმებიან მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები, ისინი არწმუნებენ წითელ მებრძოლებს, რომ თბილისის პროლეტარიატი, მტკიცედ დაკავშირებული წითელ არმიასთან, ბრძოლის დროს ძმურად ამოუდგება მას გვერდში.

მიტინგი გათავდა. არმიელებმა მიიწვიეს სტუმრები სადილზე. ცის ქვეშ სახელდახელოდ მოწყობილ სასადილოებში სტუმრები შეექცევიან სადილს. სუფთად არის დაწმენდილი კოვზები და ქვაბები. არმიელები თავაზიანად აწვდიან სტუმრებს [illegible], პურს, წყალს.

— „დაჯექით, ამხანაგო, ერთად ვისაუზმოთ,—მიმართავს სტუმარი არმიელს.

— არა, ამხანაგო, ჯერ თქვენ ისაუზმეთ, სტუმარი ხართ—თავაზიანად და ღიმილით უპასუხებს არმიელი.

ამხ. იოსელიანი ესალმება სტუმრებს

საუზმის შემდეგ დასვენება. სტუმრები ათვალიერებენ ბანაკს.

ლენინის ოთახებს, ლამაზ კედლის გაზეთებს, საუკეთესოდ მოწყობილ სასპორტო მოედნებს განცვიფრებაში მოჰყავთ მნახველები. არმიელები ამაყობენ თავიანთ ბანაკით, რადგან ყველაფერი ეს შექმნეს მათ თავიანთ შრომით სულ მოკლე ხანში.

იწყება ქიმიური მეცადინეობა. სტუმრები იყრიან თავს ქიმიური ქალაქის მახლობლად, საიდანაც საუკეთესოდ მოჩანს მეცადინეობის ადგილი.

არმიელები, მეთაურთა ხელმძღვანელობით, მარდათ ასრულებენ ქიმიური ომის სხვადასხვა მომენტებს: ქიმიური ყუმბარების აფეთქება, მიდამოს მოწამვლა მხამიანი გაზებით და ამ მიდამოს დეგაზაცია, ცეცხლმფრქვეველების მოხმარება, ბოლის ფარდის გაკეთება და სხვა.

ქიმიური ომის შემდეგ, წითელმა არმიელებმა აჩვენეს სტუმრებს თავისი მომზადება. აგრიალდნენ ზარბაზნები. არტილერისტებმა თავისი სწრაფი მოქმედებით, დისციპლინიანობით და საარტილერიო საქმის ცოდნით საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვეს სტუმრებზე.

სადილის შემდეგ იწყება ფიზკულტურელების გამოსვლები. მუშა და არმიელი ფიზკულტურელები ეჯიბრებიან ერთი მეორეს, ყველას უნდა გამოიჩინოს თავისი ცოდნა და სიმარჯვე.

ამ ბანაკის ყოველ კუთხეში წააწყდებით რაიმე სანახაობას: ფეხბურთს, ჯირითს, ცეკვას, ბასკეტ-ბოლს და სხვა.

ბანაკში აგრილდა, მთებიდან დაუბერა ნიავმა. მზე გადაიხარა დასავლეთისაკენ. ახლოვდება თბილისში დაბრუნების დრო.

ბანაკის ჯერე დაუმთავრებელ საზაფხულო სცენაზე იმართება კონცერტი. წითელარმიელები მქუხარე ტაშით ეგებებიან თბილისიდან ჩამოსულ მსახიობებს, რომელთა შორის არიან ს. ინაშვილი, ნ. ქუმსიაშვილი, ჭუმბურიძე და სხვ. მთებში მომაჯადოებლად გაისმის ინაშვილის „ინდი-მინდი" და ქუმსიაშვილის „თავო-ჩემო", არმიელებიც სულგანაბულნი უგდებენ ყურს სიმღერას.

პროლეტარული მწერალი ჭაღარა შაქრო ნავთლუღელი, კითხულობს ლექსს, მიძღვნილს წითელ მებრძოლებისადმი.

არმიელები აღტაცებულნი არიან ლექსით და ტაშით და „ვაშას" ძახილით აჯილდოვებენ მოხუც პოეტს.

საკონცერტო განყოფილება გათავდა.

დივიზიის მეთაური ამხ. იოსელიანი ემშვიდობება სტუმრებს და მიმართავს მათ თხოვნით ხშირად ინახულონ ბანაკი.

არმიელები დიდ მანძილზე აცილებენ სტუმრებს.

— მშვიდობით ამხანაგო!

— მშვიდობით კი არა, ნახვამდის, ნახვამდის, კიდევ გვინახულეთ,—ისმის გამოთხოვების დროს.

ელ.

ცეცხლის მფრქვეველთა მუშაობა

ა.-კ. სახკომსაბჭოში

ცემენტის თვითღირებულება

ა.-კ. სახკომსაბჭომ მოისმინა მოხსენება ცემენტის ფასების შესახებ და აღნიშნა, რომ აზერბეიჯანის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს არ მიუღია სათანადო ზომები ცემენტის წარმოების რაციონალიზაციისათვის თვითღირებულების შესამცირებლად. სახკომსაბჭო აზერბეიჯანის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს აძლევს მთელ რიგ პრაქტიკულ წინადადებებს ცემენტის წარმოების გასაუმჯობესებლად და თვითღირებულების შესამცირებლად.

მიწის ხელოვნურად განოყიერების გეგმა

ა.-კ. სახკომსაბჭომ დაამტკიცა ამიერ-კავკასიის მებამბეობის რაიონებში მიწის ხელოვნურად განოყიერების გეგმა, რომლის თანახმადაც აზერბეიჯანში განოყიერებული უნდა იქნეს 38.000, სომხეთში—6.000 და საქართველოში—3.000 ჰექტარი მიწა.

პურის მკა

საგიტაციო გადარბენა

გუშინ, საღამოს 8 საათსა და 10 წუთზე, მოხდა საგიტაციო გადარბენა, რომელიც მოაწყო საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ და „ზარია ვოსტოკა"-ს რედაქციამ. გადარბენას აუარებელი ხალხი დაესწრო. 15 წრემ გამოჰყო გადარბენისათვის 150 ფიზკულტურელი.

სტარტი მოეწყო პროფსაბჭოს შენობასთან.

ფინიშთან აუარებელ ხალხს მოეყარა თავი, მივიდა **ნიკიტინი**, საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის წევრი, რომელმაც მთელი დისტანცია 11 წ. და 15 წამში დაჰფარა.

ფინიშთან აუარებელ ხალხს მოეყარა თავი, რომელიც გადარბენაში მონაწილეთ ტაშითა და „ვაშა"-ს ძახილით ხვდებოდა.

პირველი ათი ადგილი დანაწილებულია შემდეგნაირად: 1. ნიკიტინი (საბჭ. და სავაჭრო მუშაკების კავშირი), 2. ფადულეევი (რკინის გზის პოლკი), 3) ციციშვილი (საბ. და სავაჭ. მუშ. კავშ), 4) რევინი (რკინის გზის პოლკი), 5) რიბაჩენკო (მელითონე), 6) პაცკევიჩი (საბჭოთა და სავაჭ. მუშ. კავშ.), 7) პოპოვი (რკინისგზელი), 8) ანიშუკი (საბჭოთა და სავაჭ. მუშ. კავშირი), 9) კარნუშევი (რკ. გზ. პოლკი) და 10) მელნიკოვი (რკინისგზელი).

გადარბენის ყველა მონაწილემ მთელი დისტანცია დაჰფარა 20 წუთის ფარგლებში.

ფინიშთან 105 კაცი მივიდა.

ქულების დათვლის შემდეგ ადგილები კავშირებს შორის შემდეგნაირად დანაწილდა:

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირი — 657 ქულა, მელითონეები 585, გემთ-კვების მუშაკები—572, რკინის გზელები—483, ტრანსპორტის მუშაკები—430 მშენებლები—391, კომუნალური მუშაკები—371, მბეჭდავები — 310, ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკები — 231, ფეიქრები—219, ებრაელთა წრე—113, მეტყავეები—73.

—:—

№ რკინის გზის პოლკმა, რომელიც მონაწილეობას იღებდა შეჯიბრებაში ყველაზე მეტი ქულა შეაგროვა (665) და „ზარია ვოსტოკა"-ს ჯილდოს მიიღებს. პროფსაბჭოს ჯილდო ერგება საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირს. ინდივიდუალური ჯილდოები (მუშებისათვის) მიიღეს რიბაჩენკომ (მელითონე) და პოპოვმა (რკინის გზელი).

საქართველოს ელექტროფიკაციის 1929-30 წლის საკონტროლო ციფრები

საქართველოს სახკომსაბჭომ და ეკონომსაბჭომ დაამტკიცა საქართველოს ელექტროფიკაციის 1929—30 წ. საკონტროლო ციფრები.

მაგრამ აღნიშნულ ხუთწლიან გეგმის ციფრებში შეტანილ იქნა სათანადო შესწორება, რადგან უმაღლეს საკავშირო ორგანოების გადაწყვეტილებამ ფერო-მარგანეცის წარმოების გაფართოების შესახებ საჭირო გახადა რაიონულ ელსადგურების გაფართოების გათვალისწინება მათ სრულ დატვირთვამდე. ფერო-მარგანეცის ქარხნის ამუშავების მომენტისათვის რიონჰესის სიმძლავრე აყვანილი უნდა იქნეს 41.000 კვტ-მდე, ხოლო ზაჰესისა კი — 37.500 კვტ-მდე; ამასთან გაძლიერებული უნდა იქნეს პროექტით გათვალისწინებულ სხვა ცენტრალური სადგურების საგამოძიებო სამუშაოები. 1929—30 წ. საკონტროლო ციფრებით ხსენებულ სამუშაოების გაფართოების გათვალისწინების გამო ელექტრო-მეურნეობაში დასაბანდებელი თანხები გადიდებულ იქნა 23.578.300 მანეთამდე, ნაცვლად—13.790.000 მანეთისა, რაც გათვალისწინებულია ხუთწლიან პერსპექტიული გეგმით.

წყაროების მიხედვით კაპიტალური დაბანდება შემდეგი სახით არის წარმოდგენილი: საკავშირო ბიუჯეტით—19.553.700 მან., ა.-კ. ბიუჯეტით—3.392.000 მანეთი, ბანკების კრედიტებით—671.000 მანეთი, ადგილობრივი ბიუჯეტით—365.000 მან. და საკუთარი სახსრები—170.000 მან. სულ—24.152.000 მან.

მშენებლობის მიხედვით ხსენებული სახსარი შემდეგნაირად ნაწილდება: 1) რაიონული სადგურები—18.911.500 მან., მათ შორის: რიონჰესის გაფართოება სრულ სიმძლავრემდე — 12.873.700 მან., ზაჰესის გაფართოება — 3.111.500 მან., აჭარისწყალის ჰიდრო-ელსადგური—3.500.000 მან.

ადგილობრივი სადგურები—3.188.800 მან.; სოფლის სადგურები—100.000 მან., კომუნალური სადგურები—115.000 მან., გადასაცემი ხაზები—538.000 მან., გამოკვლევები და პროექტების შედგენა—726.000 მან.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რეორგანიზაცია

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რეორგანიზაციის საკითხის განსახილველად „სოფლის კავშირში" შესდგა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის, საქართველოს სას.-სამ. ბანკის, სტატისტიკურ ცენტრ. სამმართველოს, „საქართველოს ღვინო"-ს, „მწყემსი"-ს, „ბიოლიკი"-ს, „სოფლის მეურნე"-ს, კოლმეურნეობათა ცენტრის და „ყველ-კარაქ კავშირი"-ს წარმომადგენელთა თათბირი. სასოფლო-სამ. კოოპერაციის რეორგანიზაციის შესახებ მოხსენებით გამოვიდა „სოფლის კავშირი"-ს წარმომადგენელი ამხ. ნ. ლაჟუზიანი, რომელმაც აღნიშნა, რომ ჩვენი სასოფლო-სამ. კოოპერაცია ვითარდებოდა უმთავრესად უნივერსალიზმის გზით და მის მთავარ დასაყრდენს შეადგენდა დამზადება-რეალიზაციის ოპერაციები. ეს გარემოება უარყოფითი გავლენას ახდენდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წინაშე მდგომ ამოცანების (სოფლის მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქცია - კოლექტივიზაცია და საწარმოო გაერთიანებათა გაძლიერება) განხორციელებაზე და ამიტომ საქ. კ.პ. (ბ) ცეკამ 29 ივნისს დაადგინა სასოფლო-სამ. კოოპერაციის სტრუქტურა, მისი მომავალი მუშაობა, აგებული იქნეს ისე, რომ სას.-სამ. კოოპერაციამ შესძლოს მის წინაშე მდგომ ძირითად ამოცანების ადვილად განხორციელება და იგი გახდეს ჩვენი სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქციის ნამდვილი ორგანიზატორი. ამ მიზნის განსახორციელებლად სოფლად (არსებულის ნაცვლად) უნდა შეიქმნან ისეთი ძირითადი საწარმოო გაერთიანებები, რომლებიც მაქსიმალურად გააერთიანებენ გლეხობის საწარმოო პროცესებს და საწარმოო საშუალებებს და ამასთანავე თანდათანობით გარდაიქმნებიან კოლექტიურ მეურნეობებად. სას.-სამ. კოოპერაციის ქსელის როგორც ძირითად აგრეთვე უმაღლეს საფეხურებზე უნდა გამოიყოს სპეციალური სისტემები. გაძლიერებულ უნდა იქნეს აგრიკულტურულ დაწესებულებათა (სამანქანო-სატრაქტორო სადგურები და კოლონები, საგრილებელი პუნქტები, ტექნიკური დახმარება, პროდუქტების პირველადი გადამუშავება და სხვ.) ქსელი.

სოფელში უნდა მოეწყოს ერთი სპეციალური სახის საწარმოო ამხანაგობა. თუ სოფელში მეურნეობის უმთავრეს დარგს გარდა განვითარებულია სხვა რომელიმე დარგი, რომელსაც აქვს შემდგომი განვითარების პერსპექტივა, შეიძლება მოწყობილი იქნეს სათანადო სახის მეორე საწარმოო ამხანაგობაც. რაიონებში უნდა მოეწყოს დამამზადებელ-გამსაღებელი ამხანაგობა, რომელშიაც უნდა გაერთიანდნენ ამ რაიონის საწარმოო ამხანაგობები. ეს ამხანაგობები უხელმძღვანელებენ ძირითად ქსელის როგორც ორგანიზაციულ მშენებლობას, აგრეთვე სამეურნეო საქმიანობასაც. თუ რაიონში, გარდა მეურნეობის მთავარი დარგისა, რომელსაც აკავშირებს პირველი სარაიონო ამხანაგობა, არის განვითარებული მეურნეობის მეორე დარგი,—შესაძლოა მოეწყოს სათანადო სახის მეორე რაიონული ამხანაგობა. არსებულ საკრედიტო ამხანაგობებს უნდა ჩამოერთვას დამზადება-რეალიზაციის ოპერაციები. ამხანაგობები გარდაქმნილი უნდა იქნან სპეციალურ საკრედიტო ამხანაგობად. ამასთანავე საჭიროა ამხანაგობათა გამსხვილება და მათი სამოქმედო რაიონის გაფართოება. საკრედიტო ამხანაგობა მოთავსებულ უნდა იქნეს რაიონის ცენტრში და კრედიტების გაცემა უნდა სწარმოებდეს ძირითადი საწარმოო ამხანაგობების საშუალებით.

მომხსენებლის აზრით უახლოეს მომავალში მოწყობილ უნდა იქნას შემდეგი სახის კავშირები: მერძევე-მესაქონლეთა, მევენახე-მეღვინეთა-მეხილეთა, მეფრინველეთა, მეაბრეშუმეთა, მემინდვრეობის კულტურათა და მელიორატიული. კავშირები მოწყობილი იქნებიან ძირითად ქსელის ჩამოყალიბების შემდეგ.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თათბირმა დაავალა „სოფლის კავშირი"-ს კომისიას და საორგანიზაციო განყოფილებას საბოლოოდ შეიმუშაონ სასოფლო-სამ. კოოპერაციის რეორგანიზაციის პროექტი და წარუდგინონ განსახილველად გამგეობას.

თათბირმა საჭიროდ სცნო, რომ რუსეთსა და უკრაინაში გაგზავნილ იქნან სოფლის კავშირის მუშაკები, რომლებიც უნდა გაეცნონ იქაურ მარტივ საწარმოო გაერთიანებათა მშენებლობას და მუშაობას.

სოფლის რადიოფიკაცია

ცეკავშირი სამტრედიის რაიონში აწყობს რადიო-პუნქტებს

ცეკავშირის გამგეობამ გადასწყვიტა საცდელ-საჩვენებელი სახით სამტრედიის რაიონში მოაწყოს რადიო-პუნქტების ქსელი.

რადიო-პუნქტები ეწყობა შემდეგ სოფლებში: კულაშში, ღანირ-ჭაგანში, იანეთში, გომში, ეწერში, დიდ ჯიხაიშში და გოხა-ჯიხაიშში.

სათანადო ხელშეკრულება რადიო-პუნქტების ქსელის მოწყობის შესახებ ცეკავშირის გამგეობასა და ფოსტა-ტელეგრაფი—რადიოს უწყების შორის უკვე დადებულია.

რადიო-ქსელის მოსაწყობად გადადებულია 6—7.000 მანეთამდე.

ამ თანხის ფარგლებში სამტრედიის რაიონის უღარიბეს მოსახლეობის (კოოპერატივის წევრების) ოჯახებში ნისიად დადგმული იქნება რადიო-მიმღები აპარატები.

მუშკორთა საყურადღებოდ

დღეს, 30 ივლისს, საღამოს სრულ 7 საათზე, წითელი არმიის სახლში (რუსთაველის პრ. № 10) შესდგება მუშკორებისა და სამკორების გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში სდგას: 1) საერთაშორისო წითელი დღე და 2) მორიგი გაწვევა წითელ ჯარში.

ჩვენი გაზეთის მუშკორთა დასწრება აუცილებელია

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მე-7 მოწვევის

მე-5 პლენუმი

გაიხსნება

ა. წ. 5 აგვისტოს საღამოს 6 ს. მუშათა სასახლის დიდ დარბაზში.

პლენუმზე დასწრება სავალდებულოა ს.პ.კ.ს. ყველა წევრისა და კანდიდატებისათვის, კავშირების ც. გ. მუშაკთათვის და ქალ. თბილისის ყველა ფაბქარხადგილკომების თავმჯდომარეთათვის.

ს.პ.კ.ს. პრეზიდიუმი

ქრონიკა

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მოგებათა ცხრილი

ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში გამოქვეყნებული იქნება ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის მესამე ტირაჟის მოგებათა სრული ცხრილი.

საკავშირო შეჯიბრება სროლაში

4 აგვისტოს მოსკოვში დაიწყება სრ. საკავშირო შეჯიბრება სროლაში.

საქართველოდან შეჯიბრებაზე გაგზავნილი არიან: ამხ. დავითაშვილი (ქალი, ამიერ-კავკ. სახ. ვაჭრობა), უთნელიშვილი (ამიერ-კავკ. კომუნივერსიტეტი), კანდელაკი (№ ქართ. ლეგიონი), კოხრეიძე (მეხანძრეთა რაზმი), კუზმინი (მეხანძრეთა რაზმი), პოპოვი თ. (№ ლეგ. წითელ არმიელი), ჯიოევი (რკინის გზის სახელოსნო) ქაჯაიანი (მეხანძრეთა რაზმი).

ამერიკელი ტურისტების ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა ამერიკელი ტურისტების ახალი ჯგუფი 7 კაცის შემადგენლობით.

ახალგაზრდობის შეკავშირება კოოპერაციაში

ცეკავშირის გამგეობა ამჟამად რესპუბლიკაში ატარებს ახალგაზრდობის კოოპერაციაში გაერთიანების კამპანიას.

გადაწყვეტილია სამომხმარებლო კოოპერაციაში ათი ათასამდე მშრომელი ახალგაზრდის გაერთიანება 6 აგვისტომდე.

თბ. აღმასკომში

◆ რუსეთის სხვადასხვა ქარხნების მუშაობასთან გასაცნობათ და გაუმჯობესებულ ტექნიკის შესასწავლად ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება აგზავნის 8 მუშას.

◆ შუა ბაზრის ქუჩას ამიერიდან ეწოდება სარეწაო კოოპერაციის ქუჩა.

◆ ყინვალის საექიმო პუნქტის მოსაწყობათ გადადებულია 1012 მ.

◆ ახლო ხანში გაიხსნება ღუმელების მწმენდავთა მოსამზადებელი კურსები.

◆ რუკა. აღმასკომმა გადასწყვიტა გამოსცეს თბილისის ოლქის რუკა.

◆ პროლეტსტუდენტთა ბიუროს საერთო საცხოვრებლის მოსაწყობათ გადაეცა „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბის ყოფ. შენობა.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ ვენერიულ სნებებთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით ქუთაისში გაიხსნა ვენეროლოგიური პროფილაქტორიუმი.

◆ მესტიაში (სვანეთი) საავადმყოფოსთან მოეწყო სამეანო გინეკოლოგიური განყოფილება 10 საწოლით.

◆ ახალი აფთიაქები. ხოფ. ბუღეულში (რაჭა) და ყაზბეგში გაიხსნა აფთიაქები.

◆ ქინა-ქინა. ახლო ხანში საზღვარგარეთიდან მიღებული იქნება 40.000 მანეთის ქინაქინა.

◆ საექიმო რაზმები. ჯანსახკომმა აფხაზეთში გაგზავნა ფსიქონევროლოგიური რაზმი.

◆ სასტუმრო ბორჯომში. საკურორტო სამმართველომ გადასწყვიტა ბორჯომში ააგოს ახალი დიდი სასტუმრო.

სხვადასხვა

◆ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული რკ. გზის სოც. აღზრდის განყოფილება ა. წ. 2 აგვისტოს დაბა სურამში ხსნის სატრანსპორტო სკოლების საზოგადოებათ მეცნიერების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ ორკვირიან კურს-კონფერენციებს.

ხელოვნების ქრონიკა

სამზადისი რუსთაველის თეატრის მომავალ სეზონისათვის

რუსთაველის თეატრის დირექციამ გადასწყვიტა მომავალი სეზონისათვის პროფკავშირების დახმარებით ჩამოაყალიბოს მუშა-მაყურებელთა აუდიტორია. მიღებული იქნება საბონემენტო სისტემა. სულ გამოშვებული იქნება სამი კატეგორიის აბონემენტები. 1-ლი კატეგორიის აბონემენტში შევა 10 წარმოდგენა, აქედან 6 ახალი დადგმა და 4 განახლებული. მეორე აბონემენტში შევა 5 წარმოდგენა, მათ შორის 3 ახალი დადგმა, ხოლო მესამე კატეგორიის აბონემენტის პატრონი დაესწრება სამ წარმოდგენას, მათ შორის ორი ახალი დადგმა იქნება და ერთი განახლებული.

აბონემენტის შეძენა შეუძლია პროფკავშირის წევრებს 50 პროცენტის ფასდაკლებით აბონემენტის საფასურის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად 8 თვის განმავლობაში.

აბონემენტების გაყიდვა უკვე დაწყებულია.

საბჭოთა-სავაჭრო მუშაკთა ლაშქრობა

საბჭოთა-სავაჭრო მუშაკთა კავშირი თავის წევრთა შორის ძლიერ აქტიურად ატარებს გასამხედროებას.

ლაშქრობა, რომელიც ამ დღეებში მოეწყო, საუკეთესოდ ჩატარდა.

სამხედრო დისციპლინა ხომ საერთოდ მეტად ძნელი რამ არის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის, მაგრამ ამ ლაშქრობის დროს არ ყოფილა მისი დარღვევის არც ერთი შემთხვევა, და ამას ერთხმად აღნიშნავენ, ლაშქრობის ყველა ხელმძღვანელები.

350 კაცისაგან შემდგარი ლაშქარი შაბათ საღამოს დაიძრა კოჯორის მიმართულებით. უკანასკნელ საბანკო პუნქტად დანიშნული იყო სოფელი წავკისი, საიდანაც უნდა დაწყებულიყო ლაშქრობა. მწყობრი სიარულით და მხიარული ყიჟინით ლაშქარი რამდენიმე საათში უკვე წავკისში იყო. გლეხობა სიხარულით ეგებება ლაშქრობას და იმართება ცეკვა-თამაში. ლაშქრობის მონაწილენი მიუხედავად დაღლილობისა დიდხანს არ სწყვეტენ ერიამულს.

მოწინავე რაზმებს, წავკელი გლეხების მხურვალე დახმარებით, ლაშქრის მისვლამდე უკვე დაემზადებინათ გემრიელი ვახშამი.

ღამის 12 საათს უკვე გადაცილებული იყო, როდესაც სოფელში ჟრიამული თანდათან მიწყნარდა და ლაშქრობამაც „მოისვენა“.

ბანაკში, გაშლილ ჰაერზე, ძილი ტკბილია, თუნდაც ცარიელ მიწაზე, მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა ლაშქრობის მონაწილეებს დილით ადრე ბუკის პირველსავე ხმაზე წამოშლილიყვნენ.

სწრაფად გათავდა პირის ბანა, ფიზიკური ვარჯიში, ჩაი. ლაშქარი დაიწყო ჯგუფად და გაიმართა პოლიტხელმძღვანელთა საუბრები აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარ თავდასხმის შესახებ. დამთავრდა სალაშქრო გაზეთის „ჩვენი პასუხი“-ს ნომრის დამზადება. გაზეთი მალე გაიკრა შტაბის წინ.

გაიმართა სასწრაფო მიტინგი, რომელზედაც კავშირის თავმჯდომარემ ამხ. ორჯონიკიძემ, ნარსიამ და სხვებმა ილაპარაკეს მიმდინარე საკითხებზე, პირველ აგვისტოს და ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ. ხელიდან ხელში გადადის ფურცელი ქაღალდი, რომელიც თანდათან ივსება სესხზე ხელისმომწერთა გვარებით.

დღის 12 საათისათვის ლაშქარი გაიყო ჯგუფებად და გაიმართა ვარჯიშობა სროლაში, რბენაში და სხვ.

საღამოსთვის მზვერავებს მოაქვთ ცნობა, რომ თბილისის მახლობლად „მტერი“ გამოჩნდა. ლაშქარი დაიძრა თბილისისაკენ საომარი წესით, გაფანტული, მალვით და ცოცვით და მალე მოხდა „მტერთან“ შეხვედრა. ტყვიისმფრქვეველებისა და თოფის ძლიერი სროლის შემდეგ ლაშქარმა აიღო სიმაღლე „400“. ერთი ძლიერი შეტევაც და „მტერი“ საბოლოოდ დამარცხდება.

„ბრძოლა“ დამთავრდა. საღამოს რვა საათზე ლაშქრობის მონაწილენი დარაზმული გამოცხადდნენ საბჭოთა-სავაჭრო მუშაკთა კლუბში, სადაც გაიმართა დიდი მიტინგი.

ხ. თ—ლი.

არქეოლოგიური ექსპედიცია შორაპნის მაზრაში

საქ. მუზეუმმა შორაპნის მაზრაში გაგზავნა არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც უნდა ჩაატაროს არქეოლოგიური კვლევა ე. წ. „დევის ხვრელის“ გამოქვაბულში და მის რაიონში.

ექსპედიციას ხელმძღვანელობს არქეოლოგი გ. ნიორაძე, რომლის სიტყვით, „დევის ხვრელი“ და მისი მიდამოები, სადაც ნაპოვნია უძველესი ქვის ხანის (პალეოლიტის პერიოდი) დროინდელი იარაღები, დიდათ საინტერესოა არქეოლოგიური თვალსაზრისით, რადგან შესაძლებელია იქ აღმოჩენილი იქნეს ქვის ხანის ადამიანის ნაშთებიც.

ქვის ხანის დროინდელი გამოქვაბული საქართველოში ცნობილია მხოლოდ სამ ადგილას. პირველი ასეთი გამოქვაბული აღმოაჩინა გერმანელმა პროფესორმა შმიდტმა 1914 წელს მდ. წყალწითელას მახლობლათ (ქუთ. მაზრა); მეორე ასეთივე უძველესი გამოქვაბულის აღმოჩენა ეკუთვნის პროფ. კრუკოვსკის ჭიათურის მახლობლათ, სოფ. რგანთან. მესამე გამოქვაბული კი—„დევის ხვრელი“—აღმოჩენილია სად. ძირულასთან (შორ. მ.) 1927 წელს არქეოლოგ გ. ნიორაძის მიერ.

უდიდესი ავტომატი — პურის ქარხანა ლენინგრადში

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმში

საბინაო-საიჯარო ამხანაგობების მუშაობის გასაჯანსაღებლად

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა მოხსენება საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობების შესახებ და დაადგინა:

ადმინისტრატიულ ხარჯების შემცირების მიზნით მოხდეს რამდენიმე ამხანაგობის გაერთიანება იმ ვარაუდით, რომ თვითეულ გაერთიანებულ ამხანაგობის განკარგულებაში ბინების ფართობი არ შეადგენდეს 30.000 კვ. მეტრზე მეტს.

შედგენილი იქნეს ამხანაგობათა აპარატის მტკიცე შტატი ენერგიულ და გამოცდილ მუშაკებისაგან.

სასტიკად აეკრძალოს ამხანაგობებს გამგეობის წევრებისათვის ხელფასის მიცემა და სახლის მმართველებისათვის სპეცტანისამოსების დარიგება.

შემცირდეს სხვადასხვა გადასახადები სახლებზე, განსაკუთრებით გარე უბნებში.

ანგარიშ-წარმოების მოგვარების მიზნით მოხდეს მოანგარიშეთა გადამზადება; შემოღებული იქნეს ერთნაირი მარტივი ანგარიშწარმოება; გაძლიერდეს ხელმძღვანელობა; მდგმურებს სისტემატიურად მოეთხოვოს მოწმობები, რომლებითაც ხდება ქირის გამოანგარიშება; საქვითარო წიგნაკები აღირიცხოს ბინათ კავშირში; წინადადება მიეცეს ყველა ამხანაგობას შეადგინოს დავალიანებული პირთა სია და გადაუგზავნოს სანოტარო კანტორას ქირის ასანაზღაურებლად.

დაუყოვნებლივ იქნეს შეკეთებული სახლების სახურავები და სახლების ისეთი ნაწილი, რომელთა შეკეთების დაგვიანება შემდეგში გამოიწვევს ზედმეტ ხარჯებს და სახლის დაზიანებას.

წინადადება მიეცეს ამხანაგობებს კულტურულ და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით მოაწყონ წითელი კუთხეები, გამოსცენ კედლის გაზეთები, დაარსონ სხვადასხვა წრეები, გაადიდონ საბავშო მოედნების რიცხვი, გახსნან საერთო სამრეცხაოები და სამზარეულოები და სხვ.

სასტიკად აიკრძალოს სამზარეულოების გამოყენება საცხოვრებელ ოთახებით.

საბინაო კრედიტები პირველ რიგში მიეცეს გარე უბნებში არსებულ ამხანაგობებს, რომელთა სახლები საჭიროებს სასწრაფო შეკეთებას.

პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ბინათ კავშირს ყოველმხრივ ხელმძღვანელობა გაუწიოს ამხანაგობებს.

საყვედურის გამოცხადება სახლების მმართველებისათვის

დასასრულ პრეზიდიუმმა დაადგინა საყვედური გამოეცხადოს გაფრთხილებით № 45 ამხანაგობის სახლის მმართველს მანველიანს — ფულის დანაკლისისათვის და ამხ-ბის ფულის სესხად გაცემისათვის;

№ 33 ამხ-ბის მმართველ სუხიტაშვილს, № 7 ამხ-ბის მმართველის თანაშემწეს—ელურიძეს — თანხების დანაკლისისათვის;

ჩაეთვალოს ვალად და გადახდეს როგორც უკანონოდ გაცემული: № 29 ამხ-ბის სარევიზიო კომისიის წევრს ალ. ჩხეიძეს—250 მან.; იმავე ამხ-ბის მოანგარიშე ტულუშს—141 მან.; იმავე ამხ-ბის სახლების მმართველს დაიკაოს პლაშჩის შესაძენად მიცემული თანხა და № 45 ამხ-ბის მოანგარიშე ხოლხოცკის გადახდეს 100 მანეთი, როგორც უკანონოდ მიღებული.

სას.-სამ. გადასახადით დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვა

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განყოფილების ცნობით, სას.-სამ. გადასახადით დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვა მთელ საქართველოში დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. აღრიცხვის დაწყების წინ თითქმის ყველა მაზრებში (ოზურგეთის მაზრის გარდა) ჩატარდა წინასწარ მოსამზადებელი კამპანია. მოეწყო დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც განიხილეს მუშაობის გეგმა, გამოჰყვეს პასუხისმგებელი ამხანაგები, რომლებიც მიმაგრებულ იქნენ თემებზე. მათ დაევალა სააღრიცხვო მუშაობის ხელმძღვანელობა. მაზრებში მოეწყო აღმრიცხველთა (თემაღმასკომების მდივნების). გადასამზადებელი კურსები. აღმრიცხველებს შეასწავლეს სასოფლო-სამ. გადასახადის ახალი კანონი, განუმარტეს სასოფლო-სამ. გადასახადის შესახებ ზემდგომ ორგანოებისაგან მიღებული ინსტრუქცია-მითითებები და სააღრიცხვო კამპანიის ტექნიკა. მომზადებული იქნენ აგრეთვე თემებზე მიმაგრებული პასუხისმგებელი ამხანაგებიც. წინასწარი მუშაობის შემდეგ დაიწყო ობიექტების აღრიცხვა.

გორის მაზრის ზოგიერთ თემის აღმასკომის თავმჯდომარე აღრიცხვაში არ ღებულობს არავითარ მონაწილეობას და, როგორც ირკვევა, ეს ამხანაგები სრულიად არ იცნობენ აღრიცხვის წესებს.

რაც შეეხება აღრიცხვას მთლიანად, იგი დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. თუმცა აქა იქ ადგილი აქვს ზოგიერთ ნაკლს. მაგალითად ზოგიერთ მაზრებში (გორის და კახეთის მაზრები) სწორად არ იყო დაყენებული კულაკური მეურნეობის აღრიცხვა; ოზურგეთის მაზრის ზოგიერთ თემებში გამოიტანეს დადგენილება, რომ მათ თემში არ მოიპოვება კულაკური მეურნეობა. აჭარისტანში სრულიად არ უწარმოებიათ კულაკურ მეურნეობათა აღრიცხვა. გარდა ამისა აჭარისტანში არა მიწათმოქმედებითი შემოსავლის აღრიცხვაში დაშვებული იქნა ზოგიერთი შეცდომა. მაგ., თუ გლეხს ჰყავს ცხენი, მიუხედავად იმისა, ამუშავებს იგი ამ ცხენს ქირაზე თუ არა, ცხენის შემოსავალს მაინც ანგარიშობდნენ 200 მანეთის რაოდენობით. ყველა ამგვარ შეცდომების გამოსასწორებლად მიღებულია სასწრაფო ზომები.

აღრიცხვის საბოლოო შედეგები ჯერ გამოურკვეველია, მაგრამ წინასწარი ცნობების მიხედვით გორის, ბორჩალოს და სხვა მაზრებში შემჩნეულია დასაბეგრ ობიექტების ზრდა. კახეთის მაზრაში წვრილფეხა საქონლის რაოდენობა ნაწილობრივად შემცირებულია. დასაბეგრ ობიექტების შემცირება ემჩნევა რაჭალეჩხუმის მაზრას და განსაკუთრებით აჭარისტანს, რის გამო აჭარისტანში გადასახადი შემცირებულია 50 პროცენტით.

ამჟამად ფინანსთა სახკომისარიატის საგადასახადო განყოფილების ინსტრუქტორები არიან რაიონებში. მათ დავალებული აქვთ სააღრიცხვო კამპანიის შემოწმება და აღმოჩენილ დეფექტების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

განუწყვეტელი საწარმოო წელიწადის შემოღება

ა.-კ. ს. მ. უ. ს. განკარგულება

ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ ა.-კ. რესპუბლიკანურ ს. მ. უ. საბჭოებს დაუგზავნა განკარგულება—მიიღონ სასწრაფო ზომები განუწყვეტელი საწარმოო წელიწადის შემოსაღებათ სააღმშ. მასალების დამამზადებელ მრეწველობაში.

რესპუბლიკანურმა ს. მ. უ. საბჭოებმა უნდა შეიმუშაონ აგრეთვე ყველა ღონისძიებები მრეწველობის სხვა დარგების გადასაყვანათ განუწყვეტელ მუშაობაზე. ღონისძიებების ცხოვრებაში გატარებას უშუალოთ უნდა ადევნონ თვალყური თვით რესპუბლიკანურმა ს. მ. უ. საბჭოებმა და ყოველი მიღწევების ან დაბრკოლებების შესახებ სისტემატიურათ მიაწოდონ ცნობები ა.-კ. ს. მ. უ. საბჭოში.

მეორე რიგში (მიმდინარე საბიუჯეტო წლის დასასრულამდე)—ა.-კ. ს. მ. უ. ს. აუცილებლათ მიაჩნია განუწყვეტელი მუშაობის შემოღება სხვადასხვა სახის სააღმშენებლო სამუშაოებზედაც.

საქ. ს.მ.უ.ს.-თან არსებულ კომისიაში

საქართველოს მრეწველობაში განუწყვეტელი საწარმოო წელიწადის შემომღები კომისიის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა სამთო-ქიმტრესტის მოხსენება სამთამადნო მრეწველობაში განუწყვეტელი მუშაობის შემოსაღებათ შემუშავებული გეგმის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სამთო-ქიმტრესტს ჯერ კიდევ ვერ მოუსწრია ყველა იმ სამუშაოების შესრულება, რომელიც მას ჰქონდა დაკისრებული. ასე, მაგალითად ჯერ-ჯერობით არაა გამორკვეული საბრუნავი თანხების საკითხი, არ იციან საჭირო იქნება თუ არა დამატებითი კაპიტალური მშენებლობის წარმოება, არ არის გამორკვეული პროდუქციის თვითღირებულების საკითხი და სხვა.

კომისიამ წინადადება მისცა ტრესტს სასწრაფო წესით შეუდგეს აღნიშნული საკითხების შესწავლას და კომისიის მომავალ სხდომაზე წარადგინოს გეგმა, თუ რომელ წარმოებებში მიაჩნია შესაძლებლათ განუწყვეტელი მუშაობის შემოღება ამთავითვე.

ამ დღეებში კომისია განიხილავს საკითხს განუწყვეტელი საწარმოო წელიწადის შემოღების შესახებ აბრეშუმის და ტყავის ტრესტების წარმოებებში.

ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატში

115 ვაგონი ფართალი და 32.000 ტონა ხორბალი ა.კ. მებამბეებს

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით, მიმდინარე წლის პირველი სამი კვარტალის განმავლობაში ამიერ-კავკასიის მებამბეთა შორის განაწილებული იქნა 115 ვაგონი ფართალი და 32.000 ტონა ხორბალი.

როგორ ჩატარდა კონტრაქტაცია

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით, სომხეთში მებამბე გლეხებს საკონტრაქტაციო ავანსები მიეცათ 16.456 ჰექტარ და მუღანლოში 17.000 ჰექტარ ბამბის ნათესის ანგარიშით; ფაქტიურად კი სომხეთში კონტრაქტაციის წესით ბამბა დათესილია 13.200 ჰექტარზე, ხოლო მუღანლოში 10.000 ჰექტარის სივრცეზე.

საქართველოში გეგმის მიხედვით კონტრაქტაცია უნდა ჩატარებიათ 900 ჰექტარ კარტოფილით ნათესზე. ფაქტიურად კონტრაქტაცია ჩატარებულია 450 ჰექტარზე.

ფასების მდგომარეობა

სას. მეურნეობის ნაწარმოების ფასებს წელს ზრდის ტენდენცია ემჩნევა. ღვინის ფასი გაზრდილია 8,6 პროცენტით, ხორბლის ფასი—20,5 პროცენტით, ლობიო—19,5 პროც., კარტოფილი—15,6 პროც., ხორცი —2 პროც.-დან 19 პროცენტამდე, ცხვრის ხორცი 7 პროცენტიდან 22 პროცენტამდე. კვერცხის ფასი მთელ ამიერ-კავკასიაში შემცირებულია 7 პროცენტით. კვერცხის ფასის შემცირება მოხდა საქართველოს ხარჯზე, სადაც ეს შემცირება უდრის 19 პროცენტს.

ამიერ-კავკასიის მონაწილეობა

ნიჟეგოროდის ბაზრობაზე

ხვალ, 1-ლ აგვისტოს ნიჟნი-ნოვგოროდში გაიხსნება მე-8 საკავშირო ბაზრობა.

ბაზრობაზე განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული საბჭოთა კავშირის შინამრეწველობის პროდუქციის გასაღებას.

ამიერ-კავკასია აქტიურ მონაწილეობას იღებს ბაზრობაზე.

ამიერ-კავკასიიდან ბაზრობაზე გატანილი იქნება რკინის საწოლები, ფანერის ნაწარმოები, გრეხილ-ავეჯეულობა, ფეხსაცმელები, ხალიჩა-ნოხები, აბრეშუმის და შალის ქსოვილები და სხვ.

გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებათ სომხეთის „ჰაიტნარკომპს“ მიზნობრივ სესხის სახით მიეცა 50.000 მან., საქართველოს სარეწაო კოოპერაციას—150.000 მანეთი.

საქართველოს სარეწაო კოოპერაციამ ბაზრობაზე გაგზავნა აბრეშუმის და შალის ქსოვილები 20.000 მეტრის რაოდენობით, სასარჩულე ბამბა, სათამაშოები, ქეჩები და სხ. საქართველოს ლითონის ტრესტმა — რკინის საწოლები; საქ. საბჭოთა მამულების ტრესტმა — ღვინო, კონიაკი და ლიკიორი. სატყეო ტრესტმა—ფანერის ნაწარმოები, მარელისის გრეხილი ავეჯეულობა და სხვ., საკურორტო სამმართველომ—მინერალური წყლები.

სასამართლო

ზნედაცემული მილიციელი

ქ. ზესტაფონში მოხდა ეს ამბავი ამა წლის ივნისში.

ადგილობრივ კინოში სურათს აჩვენებდნენ. კინოს გარს ეხვია დიდძალი ხალხი. ყველას უნდოდა შესვლა, მაგრამ ადგილების სიმცირის გამო ბევრი გარედ დარჩა.

„სადარაჯოზე“ იდგა მილიციელი. არ იფიქროთ, რომ ის წესრიგს სდარაჯობდა. მილიციელი გიორგი ლუტიძე უდარაჯებდა მცირეწლოვანთ.

მან თვალი მოჰკრა პატარა გოგონას, რომელიც კინოს სალაროდან გულდაწყვეტილი გამობრუნდა. ბავშვს შაური დააკლდა ბილეთის ფასზე და ისევ უკან გაბრუნდება სახლისაკენ.

ლუტიძე დაეწევა ბავშვს და ჰპატიჟობს კინოში.

— არა, ძია, მე მხოლოდ შაური მინდა... დანარჩენი მაქვს.

ლუტიძემ მაინც დაპატიჟა ბავში. მოუჯდა გვერდით და დაუწყო „ფერება“. როცა კინო გათავდა, ლუტიძე ბავშვს ეპატიჟება თეატრში (!)

— იქ ამეღამ სატირა მიდის. ბევრს ვიცინებთ.—ატყუებს ბავშვს ლუტიძე.

გულუბრყვილო ბავშვი გაჰყვება ლუტიძეს, რომელსაც ის მიჰყავს ბნელი ქუჩით. აუბნევს გზას და მიიმწყვდევს ბნელ ჩიხში. აქ ლუტიძე ცდილობს თავისი საზიზღარი განზრახვა სისრულეში მოიყვანოს, მაგრამ ბავშვი ჰკივის ცივი ხმით.

ხმაურობა ესმით გამვლელებს დავით და კოლია ლავთაძეებს. გამოჩნდებიან თუ არა ისინი, ლუტიძე თავს ანებებს ბავშვს და გარბის.

— სანამდე ირბენ.... სად გაექცევი პასუხისმგებლობას!—მიაძახებენ ლავთაძეები გაქცეულ ლუტიძეს და შემდეგ დაუწყებენ მშვიდებას გულამოსკვნილ ბავშს, რომელსაც ტანსაცმელი სულ შემოხეული ჰქონდა.

ლუტიძემ მთელი ღამე უძილოდ გაატარა, გრძნობდა, რომ ლავთაძეები არ დაზოგავდენ მას და ყველაფერს აცნობებდენ ხელისუფლებას.

— ერთად ერთი საშუალება ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად ლავთაძეების მოკვლაა, — გადასწყვიტა ლუტიძემ და ხელთ აიღო თავისი „კოლტი“.

ლავთაძეებს სავაჭრო აქვთ ზესტაფონში. ლუტიძე შედის სავაჭროში, სადაც მას ხვდება დავით ლავთაძე.

— კოლია სად არის?—კითხულობს ლუტიძე.

— კოლია მილიციაში არის... შენი „სიკეთის“ მოსახსენებლად,—უპასუხებს ლავთაძე.

ამ დროს ლუტიძე იძრობს რევოლვერს და დაახლის დავით ლავთაძეს. დაჭრილი ლავთაძე ეცემა ძირს და რამდენიმე წუთის შემდეგ კვდება.

ზნედაცემული ლუტიძე გასამართლებულ იქნა ადგილობრივ, საჩვენებელი პროცესით. პროცესი მიმდინარეობდა რკინის გზის მუშათა კლუბში.

ლუტიძეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ათი წლით სასტიკი იზოლაციით და სასჯელის მოხდის შემდეგ გადასახლება მაზრიდან ხუთი წლის ვადით

ბერ.

„ზაკავტოპრომტორგ“-ი ზრუნავდა კერძო ვაჭრებზე

უკანასკნელ ხანებში შეამჩნიეს, რომ „ზაკავტოპრომტორგი“-ს და „მოტორი“-ს შოფერები—სამხედრო გზაზე ავტომობილებს განზრახ აჩერებენ კერძო პირთა სასადილოებსა და სასტუმროებთან.

ამ გარემოებით დაინტერესდა თბილისის ვაჭრობის მომწესრიგებელი განყოფილება და შეუდგა იმის გამორკვევას, თუ რატომ უვლიან გვერდს შოფერები კოოპერატიულ დაწესებულებებს.

გამოკვლევამ აღმოაჩინა შემდეგი:

რათა ბევრი მუშტარი ჰყოლოდათ და მეტოქეობა გაეწიათ კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვის, კერძო პირები შეუთანხმდენ „ზაკავტოპრომტორგის“ და „მოტორის“ ადმინისტრაციას, რომ ავტომობილები გაჩერებულიყო მხოლოდ მათ სასადილოებთან.

სამაგიეროთ კერძო ვაჭრებმა იკისრეს შოფერებისათვის უფასო სადილების და ღამის გასათევი ბინების მიცემა. „ზაკავტოპრომტორგი“-ს სხვა თანამშრომლებს კი ვაჭრები სადილებს აძლევდენ 50 პროც. ფასდაკლებით. „ზაკავტოპრომტორგს“ სპეციალური ხელშეკრულებაც კი აქვს დადებული ზოგიერთ ვაჭართან.

გუშინ, ამ საკითხის განსახილველად ვაჭრობის მომწესრიგებელ განყოფილებაში შესდგა სპეციალური სხდომა დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

თათბირმა დაუშვებლად სცნო „ზაკავტოპრომტორგის“ თბილისის განყოფილების მოქმედება და დაადგინა: დაუყოვნებლივ გაუქმებული იქნეს „ზაკავტოპრომტორგი“-ს თბ. განყოფილების მიერ აღნიშნულ მიზნით კერძო ვაჭრებთან დადებული ხელშეკრულება.

ავტომობილები გაჩერებული იქნენ მხოლოდ კოოპერატიულ სასადილოებთან.

მთელი საქმე გადაეცეს სათანადო ორგანოებს „ზაკავტოპრომტორგის“ თბ. განყოფილების გამგის მისაცემად პასუხისგებაში.

შემთხვევები

ხანძარი

გუშინწინ გამოურკვეველ მიზეზების გამო ცეცხლი გაუჩნდა ხუდადოვის ტყეს. სახანძრო რაზმის მისვლამდე ერთ დესეტინაზე დაიწვა ბუჩქები და ხმელი ბალახი.

თავის მოწამვლა

მარო მიხეილის ასულმა ხატიაშვილმა (მესამე სამილიციო უბანი) თვითმკვლელობის მიზნით დალია ნიშადურის სპირტი, მაგრამ სიკვდილს გადაარჩინეს.

ქურდობა

მილიციამ დააპატიმრა ასან ხაბი-ოღლი, რომელმაც პეტრიწის მოედანზე ამირან კაბაბრიშვილს ჯიბიდან ამოაცალა 20 მანეთი;— დაპატიმრებულია შაონ გასპარის ძე ხაჩატუროვი, რომელმაც ცენტრალურ ბაზარში გიორგი ბიცინაშვილს ჯიბიდან ამოაცალა 70 მანეთი; — ქურდობისათვის დააპატიმრეს შალვა იოსების ძე ჩიკვაიშვილი; — დააპატიმრეს ფატმა ბაგიროვი, რომელმაც „მკერვალი“-ს მეორე ქარხნიდან მოიპარა ერთი კილო და 50 გრამი ძაფი; — დააპატიმრეს ლეონიდ სერგოს ძე ნაუმოვი (უბინაო), რომელსაც ბრალდება ქურდობა.

ჯიბგირობა და ქურდობა

გიორგი კოროტკოვს თბილისის სადგურში ჯიბიდან ამოაცალეს ფული და სხვადასხვა საბუთები; — ვლადიმერ ისიდორეს ძე კახიანს ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალეს 36 მანეთი; — გაქურდეს გიორგი მექვევრიშვილის ბინა (ნოროის აღმართი № 6), წაიღეს სხვადასხვა ნივთები; — გაბრიელ რუხაძეს თათრის მოედანზე ტრამვაის ვაგონში მოპარეს 90 მანეთის ნივთები.

იატაკის ჩანგრევა

სირან ფრუიძის ბინაში (დავითაშვილის ქ. № 8) ჩაინგრა იატაკი. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა, ზარალი ირკვევა.

ხულიგნები

ქალაქის აღმასკომის ადმინისტრატიულმა განყოფილებამ ხულიგნობისათვის თვენახევრით დააპატიმრა: ტერელიც კარაპეტის ძე ჩიჩიანცი, ხორენ გრიგოლის ძე ქელამიანცი, კარაპეტ ოგანესის ძე ერემიანცი, 10 დღით—გიორგი ლავრენტის ძე მგელაძე; ორი თვით. შ. გ. რაზაევი, კული მირზა მამედოვი; ორი კვირით—კოტე არტემის ძე სარქისოვი (ვაჟარი), ერთი თვით — სერგო კალისტრატეს ძე ცაგარეიშვილი (მოსწავლე).

რკინისგზებზე

სამარშრუტო მატარებლის დამტვრევა

განჯა-ალაბაშლას შუა დაიმტვრა კაზანცევის მუხრუჭებით მოწყობილი მატარებელი № 3012.

მატარებლის დამტვრევა გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: მატარებლის გამყოლმა გუბდმა შეცდომით შეაერთა კაზანცევის ორმაგი მუხრუჭი. ამის გამო მოხდა მატარებლის უეცარი თვითდამუხრუჭება.

მატარებელი გაწყდა. მოწყვეტილი უკანა ნაწილი დაეჯახა წინას. ლიანდაგიდან გადავარდა ერთი ცისტერნა. შვიდი ცისტერნა და ერთი დახურული ვაგონი დაზიანდა საგრძნობლად. უმნიშვნელოდ დაზიანდა 12 ცისტერნა.

შემთხვევის ადგილზე განჯიდან გაიგზავნა დამხმარე მატარებელი, რომელმაც 9 საათის მუშაობის შემდეგ აღადგინა მოძრაობა.

არტიკ-ლენინაკანის შტო

არტიკ-ლენინაკანის რკინის გზის შტოს გაყვანა წარმატებით მიმდინარეობს.

ხაზის დასაგებად სამუშაოების ადგილზე ბაქოდან და ნავთლუღიდან სპეციალური სამარშრუტო მატარებლით იგზავნება 32.000 შპალი.

ახალ შტოზე მატარებლების დროებითი მოძრაობის გახსნა განზრახულია სექტემბრიდან.

კვალიფიკაციის შემოწმება

ამიერ-კავკ. რკინის გზის გამგეობამ ამ რამოდენიმე ხნის წინად გამოჰყო სპეციალური კომისია ხაზებზე მომუშავე გზის აგენტების ცოდნის გამოსაკვლევად გზის კომერციულ ექსპლოატაციის დარგში.

კომისიამ მუშაობა უკვე დაამთავრა. სულ გამოცდილ იქნა 306 კაცი. მათგან 21 საქმისათვის შეუფერებელი აღმოჩნდა.

ამ პირებს გზის გამგეობამ წინადადება მისცა მოემზადონ ორი კვირის განმავლობაში და ჩააბარონ ხელმეორე გამოცდები.

უბედური შემთხვევა

— სადგ. აქსტაფაში მატარებლის ქვეშ მოჰყვა მოქ. პოლოსიანი, რომელსაც მატარებელმა გადასჭრა მარჯვენა ფეხი.

— ქარელ-სკრას შუა რკინის გზაზე იპოვეს უგრძნობ მდგომარეობაში მყოფი, ხელებგადაჭრილი 19 წლის ნიკოლოზ მაქსიმოვი.

ფეხბურთი

ამიერ-კავკასია — ჩრდილოეთ კავკასია

შაბათს, 27 ივლისს, როსტოვში გაიმართა ოფიციალური მატჩი ამიერ-კავკასიის და ჩრდილოეთ კავკასიის „დინამო“-ს ნაკრებ გუნდებს შორის.

შეჯიბრება დამთავრდა 2:1 ჩრდილოეთ-კავკასიის გუნდის სასარგებლოდ. შეჯიბრებას სჯიდა მოსკოველი მსაჯი. გამარჯვებული გუნდი გაემგზავრა მოსკოვში „დინამო“-ს საკავშირო პირველობის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად.

ამიერ-კავკასიის გუნდს განზრახული აქვს როსტოვიდან საგასტროლოდ გაემგზავროს რუსეთის და უკრაინის სხვადასხვა ქალაქებში.

ტრანსპორტელები — კომუნალური მუშაკები

კვირას, 29 ივლისს, ლენინის სახელობის სტადიონზე მოხდა ტრანსპორტელთა და კომუნალურ მუშაკთა კავშირების პირველი გუნდების ამხანაგური შეჯიბრება.

ტრანსპორტელები ამ შეჯიბრებაში ძალზე შესუსტებული შემადგენლობით გამოვიდნენ (გუნდის ძველი შემადგენლობიდან თამაშობდა მხოლოდ ხუთი კაცი); მატჩი დამთავრდა 5:5.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 30 ივლისი

დღეს, თბილისის რადიო-ცენტრი გადასცემს შემდეგ პროგრამას:

საღამოს 6 საათიდან—პიონერისა და მოსწავლის საათი—საუბარი: „პიონერთა სრულიად საკავშირო შეკრება—ქართულ ენაზე (ამხ. აბესაძის მოხსენება); რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე; სატრანსლიაციო ხაზით—კარნავალის ტრანსლიაცია; გაზეთი „პროლეტარი“ რადიოთი,—სომხურ ენაზე; დროის შემოწმება და ამინდის ბიულეტენი; მოხსენება: „საბჭოთა კავშირის თავდაცვა (ამხ. ალაფუზოს მოხსენება); რუსულ ენაზე; კომკავშირელების რადიო-გაზეთი, ქართულ ენაზე; რადიოს მეგობართა საათი (ტექნიკური კონსულტაცია); რადიო-გადაცემათა პროგრამა, ესპერანტოს ენაზე; კონცერტის ტრანსლიაცია; უკანასკნელი ამბები.

ნარევი

რადიო-ადამიანი

ავტომატებმა, „რომლებიც ადამიანის განკარგულებებს ასრულებენ“—ე. წ. ელექტრონის ადამიანებმა, როგორც მათ უწოდებენ საზღვარ-გარეთ, უკანასკნელ ხანებში ფართე გავრცელება ჰპოვეს. მათ ასრულებინებენ სხვადასხვა სამუშაოს: ამერიკის საწყალსადენო სადგურებში ისინი პასუხს აძლევენ ტელეფონით მიცემულ შეკითხვებზე წყალის დონეს შესახებ; მაღაროებში ისინი თვალყურს ადევნებენ იმას, რომ შხამიანი გაზების რაოდენობამ ჰაერში არ გადააჭარბოს დასაშვებ რაოდენობას.

ახალი გამოყენება ელექტრონის ადამიანებმა ჰპოვეს რადიო-მიმღებ აპარატებში. ერთმა ამერიკულმა რადიო-ფირმამ დაამზადა რადიოაპარატი, რომელიც მუშაობას იწყებს ადამიანის ხმის ზეგავლენით. საკმაოა აპარატის პატრონმა წარმოსთქვას რაიმე პირობითი ფრაზა, მაგ.,: „ვისმენ“, რომ აპარატი იწყებს რადიო-გადაცემის მიღებას იმ ტალღებზე, რომელზედაც მიმართულია. როცა პატრონს მობეზრდება გადაცემის მოსმენა, ის ამბობს— „კმარა“ და აპარატი სწყვეტს მუშაობას.

გლეხ ეფიმოვის გამოგონება

გლეხმა ეფიმოვმა გამოიგონა თესლის დასახარისხებელი მანქანა, რომელიც სრულიად ახალი სისტემისაა.

გამომგონებელმა მიიღო კარგი დახასიათება ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიიდან (მოსკოვშია). რუსეთის სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოსთან არსებულ გამომგონებლობის ხელის შემწყობ ცენტრალურ ბიუროს განზრახვა აქვს ეფიმოვის გამოგონება დააპატენტოს უცხოეთში. ბიურო, აგრეთვე, მოლაპარაკებას აწარმოებს [illegible] დეპარტამენტთან გამოგონების [illegible] მანქანების მასიურად დამზადების მიზნით. როგორც გამოირკვა [illegible] ამტკიცებენ, ეფიმოვის მიერ გამოგონებულ მანქანას შეუძლია ტრიერის მაგიერობა გასწიოს მთელ რიგ ხორბლეულ კულტურების მიმართ.

დაქტილოსკოპია და ამერიკელი ბოროტმოქმედები

რამდენიმე ათეული წლის წინად კრიმინალოგმა (კრიმინალოგია—მეცნიერება ბოროტმოქმედებათა და ბოროტმოქმედთა შესწავლის შესახებ) ბერტილიონმა წინადადება შეიტანა, რომ ბოროტმოქმედთა გამოსაცნობლად შესწავლილი ყოფილიყო მათი დიდი თითის ანაბეჭდი (დაქტილოსკოპია). მეცნიერება ამბობს, რომ ორი პირი კანის ერთნაირი ხაზებით დიდ თითზე შეიძლება გაჩნდეს მხოლოდ ათი ათასი წლის პერიოდში. ამიტომ ბერტილიონის მეთოდი უტყუარი საშუალებაა ბოროტმოქმედის გამოსარკვევათ, მან საყოველთაო გავრცელება ჰპოვა და აურაცხელი სამსახური გაუწია საგამომძიებლო ორგანოებს. მაგრამ ამჟამად ბოროტმოქმედებათა ტექნიკა, ყოველ შემთხვევაში შეერთებულ შტატებში, იმდენად განვითარდა, რომ დაქტილოსკოპია აღარ იძლევა შესაფერ შედეგებს. გამოცდილი ბოროტმოქმედები „სამუშაოზე“ გასვლის დროს რეზინის ხელთათმანებს იცვამენ ხელზე. მაგრამ ეს ცოტაა. ზოგი ბოროტმოქმედი, რომ გზა-კვალი აუბნიოს პოლიციას, განზრახ სტოვებს ყალბ ანაბეჭდებს. ამისათვის ისინი სარგებლობენ რეზინის ხელთათმანით, რომელზედაც მოხერხებულათ არის აღბეჭდილი ადამიანის ხელის ყველა დეტალები.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

30 ივლისს პარტიული წმენდა იწარმოებს შემდეგ უჯრედებში:

1) ფოლაქების ფაბრიკა—ფაბრიკის შენობაში, საღამოს 6 საათიდან. შემმოწმებელი კომისია: ამხ. პევცოვი, ზურაბოვი და მესხი;

2) ადგილობრივი დეკო—პლეხანოვის სახელობის კლუბი საღამოს 5 საათიდან. შემმოწმებელი კომისია: ამხ. ყურულაშვილი, კალაძე და მიდკო.

3) რკ. გზ. სალიანდაგო სამსახურის მე-6 უბანი, უბნის კლუბი, საღ. 5 საათიდან, კომისია: ცინცაძე, არუთინოვი, მისკაროვი.

4) მე-5 სტამბა—სტამბის შენობაში (კამოს ქ.; 68) დილის 11 საათიდან. შემმოწმებელი კომისია: ამხ. ფილია, რცხილაძე და სამოილოვი.

5) მშენებლები № 2—მშენებელთა კლუბში. შემმოწმებელი კომისია: ამხ. ზაკამოლდინა, კარაკოზოვი და გ. შახსუვაროვი.

6) სოციალური უზრუნველყოფის სახ. კომისარიატი, გლეხთა სახლი და გაზ. „ახალი სოფელი“-ს რედაქცია—გლეხთა სახლის კლუბი. საღამოს 6 საათიდან. შემმოწმებელი კომისია: ამხ. ფურცხვანიძე, სტეპანოვი და ლევრენტიევი.

7) ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველო—ამავე სამმართველოს შენობაში (მტაბის ქ.), საღამოს 6 საათიდან .შემმოწმებელი კომისია: ამხ. თოდრია, არეშიძე და გალიმხაერი.

8) ორთქლმავლების დეპო—ორჯონიკიძის კლუბი, საღამოს 5 საათიდან. შემმოწმებელი კომისია: ამხ. ზაქრაძე, გაბერნკორნ და კესინოვი.

9) ტრამვაის მოძრაობის დარგი—ტრამვაელთა კლუბი. შემმოწმებელი კომისია: ამხ. ჩოჩიევი, კოჩეტკოვი და ტეგეტაშვილი.

10) ვაგონების პარკი—ვაგონების პარკის შენობა. შემმოწმებელი კომისია: ამხ. როთველაძე, მირიმანოვი და თავდიშვილი.

—:—

ქალაქის რაიონის იმ უჯრედების ყველა მდივნები და აღმრიცხველები, სადაც უკვე დამთავრდა პარტიის წმენდა, რომლებიც არ გამოცხადებულან მუშათა და გლეხთა ინსპექციის საორგანიზაციო განყოფილებაში 27 და 28 ივლისს, აუცილებლად უნდა გამოცხადდენ ზემოხსენებულ ადგილზე 30 ივლისს, დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე.

—:—

თბილისის სახ. უნივერსიტეტთან არსებული კომკავშირის უჯრედთა გაერთიანებული ბიურო აცნობებს კომკავშირელებს, რომ დღეს 5 საათზე უნივერსიტეტის ეზოში ეწყობა კარნავალი, რომელშიაც აუცილებლად უნდა მიიღონ მონაწილეობა კომკავშირის წევრებმა და კანდიდატებმა. 2 აგვისტოს შედგება ამავე უჯრედების კრება. დასწრება სავალდებულოა.

—:—

საქართველოს კომ. პ. (ბ) ც. კ. მ.-გ. ქალთა განყოფილება 31 ივლისს დილის 8 საათზე იწვევს თათბირს, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: დვარელიძე (ბინათკავშირი), შავერდოვა (ა.-კ. საოლქო კომ. მ.-გ. ქალთა განყ.), ანდრიაძე (თბ: კომ. მ.-გ. ქალთა განყ.), მატინიანი (მე3 რაიკომი), კარასევა (ლენრაიკომი), მაჩაიძე (ქალაქის რაიკომი), კაპანაძე, მარკოზოვი—(ჯანმრთელობის სახ. კომ.), მარკმანი, ჭყონია (საქართველოს პროფსაბჭ.), ერისთავი (მუშკოოპის გამგეობა), კიღაიძე (ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილება), ჯიბუტი, შიუკაშვილი (საქართველოს ცეკა), ეულიკაშვილი, ბელოზეროვი (ცეკა) და ქართველიშვილი (სარეწკოოპკავშირი).

გაუბედურებული მშობლები მარიამი და იუსტინე, და თამარი მწუხარებით იუწყებიან მათთვის უძვირფასეს

ვალოდია (ლადო) გამყრელიძის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 30 ივლისს, საღამოს 6 საათზე; გამოსვენება 31 ივლისს, 5 საათზე ბინიდან, ფასანაურის ქ. № 4. 2—1 2710

ლიზა და ნინა ალექსის ასულნი გამყრელიძენი და შალვა გრამიტონის-ძე გამყრელიძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს ძვირფასი და დაუვიწყარი ბიძაშვილის

ვალოდია გამყრელიძის

უდროოდ დაკარგვას. ნ. 3050

ედუკია და ელენე იოსების ასული და აკაკი იოსების-ძე ლორთქიფანიძეები აუწყებენ ნაცნობ-ნათესავებს საყვარელ დისწულის

ვალოდია (ლადო) გამყრელიძის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 30 ივლისს, საღამოს 6 საათზე, გამოსვენება 31 ივლისს, 5 ს. ბინიდან (ფასანაურის ქ. სახლი № 4), ვერის ახალ სასაფლაოზე. 2/11

უღრმეს მწუხარებაში მყოფი მეუღლე იონა, დედა ლიზა, შვილები შალიკო და გრიგოლი, დები მაშო, ქსენია და ოლია, მაზლი ლევანი აუწყებენ საზოგადოებას დაუვიწყარ

ვარა გრიგოლის ასული ოჩიგავას

გარდაცვალებას. დასაფლავება 30 ივლისს, დღის 4 საათზე. 2711

დამწუხრებული მეუღლე სერაფიონი, შვილები: ოლია, ვალოდია, ალიოშა და დედა პეპე დგებუაძისა იუწყებიან საყვარელი

ქიქინო თადა დგებუაძის ასული ჩაჩიბაიას

გარდაცვალებას. გამოსვენება ოთხშაბათს, 4 საათზე, ქუთაისის შესახვევი 7, კუკიის სასაფლაოზე. 2713

საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს 1-ლი უბნის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ ა. წ. 27 ივლისს, სამსახური დროს, ტრაგიკულად გარდაიცვალა ენერგიული თანამშრომელი

შალვა ალექსის-ძე ხაზარაშვილი

დაკრძალვა 31 ივლისს, 4 საათზე. 2717

ქმარი გიორგი და შვილი არჩილ აბესაძეები, დედა მარიამი, ძმები გიორგი, ივანე, კოტე, ლადო და ვასიკო ცოლ შვილებით, დები—ნინო, ანიკო და ქსენია ასანიშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობ-მეგობრებს მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

ქსენია დიმიტრის ასული ასანიშვილი-აბესაძის

უდროოდ გარდაცვალებას. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ. დაკრძალვა ხუთშაბათს, 1 აგვისტოს, ავლაბრის სასაფლაოზე. გამოსვენება—დესიძონოვის მოედ. № 22, დღის 4 საათზე.

საზაფხულო ბაღი (ყ. არტო). სამშაბათს, 30 ივლისს,
უკანასკნელი გამოსათხოვარი
სიმფონიური კონცერტი
რესპუბლიკის სახალხო არტისტის ი. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით.
მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტის ალექსანდრე ბატურინის,
და სკრიპკაზე დამკვრელის როზა უმანსკაიას მონაწილეობით.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ნ. 3049

სახკინმრეწვის კინოები
საზაფხულო აპოლო — მხოლოდ 2 დღეს, დღეს და ხვალ მსოფლიო ფილმი ჩანგ
საზაფხულო ეთერი — „პრომეთეუს-ფილმ“-ის მხატვრული ნაწარმოები რეინელი მეამბოხე
საზაფხულო კალახი, მინიონი — პრემიერა კლოუნ ყორყის ბენეფისი
1 აგვისტოდან—თეთრი მხედარი

პ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე-სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე. 13—10

შეშა
მუშკოოპი ჰყიდის თავის მეპაიეებზე შეშას მხოლოდ
ნაღდ ფულზე
ნისიად გაცემა შეწყვეტილია
ცნობებისათვის უნდა მიმართოთ მუშკოოპის სათბობი მასალის ქვე-განყოფილებას მაზუთის შესახვევი № 5, ტელ. № 11—99. ნ 3040

პროფესორი
გ. მ. მუხაძე
წასულია კისლოვოდსკში და დაბრუნდება ენკენისთვეში.
2579 25—1

საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები
1928—29 წლის სეზონი
რაისა ესიპოვა, ა. სკალდოვი, ა. გუგუშვილი, მ. კოჟევნიკოვი, ა. მარტინოვი
ახალ სურათში
„თეთრი მხედარი“
სცენარი გოლდენვეიზერისა და ძიგანის
რეჟისორი ე. ძიგანი
ოპერატორი ს. ზაბოზლაევი
1 აგვისტოდან
კინო-თეატრებში
საზაფხულო აპოლო-ეთერი-მინიონი
ნ. 3051

დაიკარგა: მატრიკული ილია ამბაკოს-ძე სულაქველიძის სახელზე, ჩ. გ. 2709

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი, გაცემული არტემ სულუხიას სახელზე ჩ. გ. 2712

საჭიროა
გაზეთ „კომუნისტი“-ს ცალობით
გამყიდველები
რუსთაველის პრ. № 34
„კომუნისტი“-ს გამომცემლობა

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები სახის სილამაზის დასაცავად.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან.
25—1 2561

დაიკარგა: პურის წიგნაკი სოფო არუთინოვის სახელზე, ჩ. გ. 2715

თმის მკურნალობა
— და —
სამკურნალო კოსმეტიკა
ექიმ
ნ. გ. კონტოროვიჩისა
ფრეილინის ქ. № 1. სოლოლაკის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა
ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება
მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

დაიკარგა საწევრო წიგნაკი № 31664, გაცემული ქუთაისის მაზრის განათლების მუშაკთა პროფკავშირის მიერ ეზეკია კონსტანტინეს-ძე გოგოძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 3047

ქუთაისში
ექიმი ვ. დ. კუჭაიძე
ლენინგრადის სამეანო გინეკოლოგიური ინსტიტუტის შ. გ. ასისტენტი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით საღ. 5—7 ს.
იღებს სპეციალურათ მეანობაში, ქალთა სნეულებათა ავადმყოფთ და ქალთა უროლოგიაში (შარდის ბუშტის, მილის და თირკმელების დაავადებანი). პუშკინის ქ. № 7
2463 25—1

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ.
კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26 01.
2468 13—1

დაიკარგა პურის წიგნაკი № 8 აკაკი გიორგაძის სახელზე. ჩ. გ 2716

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
წასულია. განაახლებს ავადმყოფების მიღებას 1 სექტემბერს.
2533 25—1

ექიმი
მ. გ. შახნაზაროვი
სპეციალურად
სიფილისი, „914“ შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი
ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალები 4—5 საათამდე. ვასილის ქ. (ყოფ კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმახოვის ქუჩ. კუთხე). 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროსპ. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9 12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ. 12 67. 25—1

დაიკარგა კავშირის წიგნაკი 8836, გაცემული გორის მაზრის შინდისის თემის მიწა ტყის კავშირის მიერ ვახტანგ ალექსანდრეს-ძე ნამორაძის სახელზე. ჩ. გ 2715

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი („914“ შეშხაპ.) ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და კანის სნეულება.
მიღება: დილ 7—9 საათ. ნაშუადღ. 4—5 საათ. საღ. 8—9 საათ.
მისამართი კამოს ქ. № 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა), ქალ. მეორე საავადმყოფოს პირდაპირ.
2578 25—1

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი. შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა
მამაკაცთა მიღება: დილით— 7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 1[illegible] ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—11

დაიკარგა: საგზაო სატრ. სამომხ. საზოგადოების საწევრო და სამომხმარებლო წიგნაკი მარიამ ელიაზარის ასული მერაბიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2701

ტირაჟი—42.479
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.